მასწავლებლის წიგნი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისი 2011

ავტორი: თამარ ჯაყელი

რედაქტორები: თინათინ ცერაძე
ირმა ტაველიძე

მხატვრები: მაკა ჯეზირაშვილი
ამირან ისიანი

დიზაინერ - დამკაბადონებლები: თეონა კერესელიძე
თამარ დევდარიანი

დაიბეჭდა შპს „მვპ"- ში.

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011
© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
NATIONAL CURRICULUM AND ASSESSMENT CENTRE

III დონე

მასწავლებლის წიგნი

სარჩევი

შესავალი 4

1. III დონის სახელმძღვანელოს კომპონენტები 5
2. III დონის სახელმძღვანელოს სტრუქტურა 6
   - ა. მოსწავლის წიგნი 6
   - ბ. მოსწავლის რვეული 7
   - გ. მასწავლებლის წიგნი 7
   - დ. მასწავლებლის წიგნის აქტივობების სტრუქტურა 7
3. საყურადღებო შენიშვნები მასწავლებლებისთვის 8
4. III დონის სახელმძღვანელოს მეთოდოლოგია
   - ა. მეთოდიკურ-პედაგოგიური პრინციპები 9
   - ბ. დიდაქტიკური პრიორიტეტები 10
5. მეთოდიკური რეკომენდაციები 11
6. მიზნებისა და შინაარსის რუკა 14
7. პირველი ნაბიჯები 16
8. სპორტული თამაშები 30
9. ისინი ჩემი ნათესავები არიან 41
10. წყლის სამყაროში 49
11. ერთი დღე ქალაქში 55
12. მოდი, მაღაზიობანა ვითამაშოთ! 63
13. მოდი, გავიხსენოთ! 68
15. რა მოგწონს და რა გაინტერესებს? 75

შესავალი

სახელმძღვანელოს სერია "ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის" შედგება ექვსი დონისაგან, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის ქართული ენის ექვსდონიან საგნობრივ პროგრამას.

სახელმძღვანელოს სერიის მთავარი ამოცანაა, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესთავაზოს ისეთი სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს I-VI დონეების სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სტანდარტის მოთხოვნებში მთავარი ადგილი კომუნიკაციურ კომპეტენციას უკავია. შესაბამისად, წარმოდგენილი სახელმძღვანელო თავისი შინაარსითა და მეთოდიკური აპარატით მიმართულია კომუნიკაციური უნარების: მოსმენის, კითხვის, ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებისაკენ. ეს დაეხმარება ჩვენს მოსწავლეებს, იმგვარად დაეუფლონ სახელმწიფო ენას, რომ მომავალში შეძლონ მისი ფუნქციურად გამოყენება პირად ცხოვრებასა თუ პროფესიულ საქმიანობაში.

1. III დონის სახელმძღვანელოს კომპონენტები

სახელმძღვანელო შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:



- **მოსწავლის წიგნი -** შედგება 8 თემისაგან. თითოეული თემა დაახლოებით 4 კვირის განმავლობაში ისწავლება; გამონაკლისს წარმოადგენს პირველი თემა, რომლის სწავლებისათვის დაახლოებით 5 კვირაა საჭირო.



- **მოსწავლის რვეული -** შეიცავს მრავალფეროვან სავარჯიშოებს და ხელს უწყობს იმ მასალის ათვისებას, რომელიც მოსწავლის წიგნით ისწავლება;

- **აუდიოდისკი (CD)** - შეიცავს მოსასმენი ტექსტების აუდიოჩანაწერებს;



- **მასწავლებლის წიგნი** -მასწავლებლის გზამკვლევი, რომელიც დეტალურად აღწერს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი.

- **კომპიუტერული თამაშები** - მოსწავლეს სთავაზობს დამატებით გასართობ აქტივობებს წიგნით შეძენილი ცოდნისა და უნარების განსამტკიცებლად;

2. III დონის სახელმძღვანელოს სტრუქტურა

ა) მოსწავლის წიგნი

მოსწავლის წიგნი 8 თემატური ერთეულისგან შედგება. ესენია:

პირველი ნაბიჯები



სპორტული თამაშები



ისინი ჩემი ნათესავები არიან

წყლის სამყაროში

ერთი დღე ქალაქში

მოდი, "მაღაზიობანა" ვითამაშოთ!

მოდი, გავიხსენოთ!

რა მოგწონს და რა გაინტერესებს?

"პირველი ნაბიჯები" - მისი ძირითადი ფუნქციაა, მოსწავლეს გაამეორებინოს ის საკვანძო ენობრივი საკითხები, რომლებსაც ეფუძნება წიგნის მომდევნო თემები. იგი შედგება 8 ქვეთემისაგან, რომლებიც დაახლოებით ხუთი კვირის განმავლობაში ისწავლება.

II-VIII თემატური ერთეულები - მათ საერთო სტრუქტურა აქვთ. მოსწავლის წიგნში თემატური ერთეულები 4 განშლაზე ანუ 8 გვერდზე ნაწილდება.

- **1-ელ და მე-2 გვერდებზე** იშლება განვლილი და ახალი ენობრივი მასალის ამსახველი თემატური სურათი. მასზე დაყრდნობით მასწავლებელი ამეორებინებს მოსწავლეებს განვლილ მასალას და ამზადებს მათ ახალი თემის ასათვისებლად. თემის დამუშავებისას, როცა მოსწავლე ეტაპობრივად სწავლობს თემის პირველ სურათზე ასახული ელემენტების ქართულ დასახელებებს, ეს უკანასკნელი (თემატური სურათი) ინტერაქციისათვის საყრდენ რესურსად გამოიყენება.
- **მე-5, მე-6, მე-7 გვერდების პრიორიტეტია** ახალი ენობრივი საკითხების დამუშავება, ლექსიკური ცოდნის განმტკიცება, ზეპირმეტყველებისა და წერის უნარების განვითარება.
- **მე-8 გვერდის** ფუნქციაა, მისცეს მოსწავლეებს შეძენილი ენობრივი ცოდნისა და უნარების განმტკიცების, პრაქტიკულად გამოყენებისა და საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირების საშუალება. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელებისა და წარდგენისათვის მოსწავლეს უწევს ოთხივე კომუნიკაციური უნარის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება, რაც ხელს უწყობს ენის დაუფლებას.

ბ) მოსწავლის რვეული - მოსწავლის რვეული თითოეული თემატური ერთეულისათვის მრავლად შეიცავს ისეთი ტიპის აქტივობებს, რომლებიც მოითხოვს წერას, გახაზვას, დახატვას, გაფერადებას და სხვ. წიგნისგან განსხვავებით, მასში გვერდების რაოდენობა არ არის მკაცრად განსაზღვრული. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო რვეული მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან საწერ დავალებებს.

გ) მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნის შემადგენელი ნაწილებია:

- შესავალი ნაწილი, რომელსაც ახლა კითხულობთ. მასში აღწერილია სახელმძღვანელოს შემადგენელი კომპონენტები და სახელმძღვანელოს მეთოდოლოგიური კონცეფცია;
- მეთოდიკური რეკომენდაციები;
- თემატური ერთეულების მიზნებისა და შინაარსის რუკა;
- წიგნის შესაბამისი რვა თემატური ერთეული, რომელშიც დეტალურად და თანამიმდევრულად არის აღწერილი ყველა აქტივობა. ამ აქტივობებშივეა შეტანილი მოსასმენი ტექსტებიც.

დ) მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილი აქტივობების სტრუქტურა:

მასწავლებლის წიგნში თითოეული თემა გაწერილია თანამიმდევრულ აქტივობებად, რომლებიც მასწავლებელმა უნდა შეასრულოს. ყველა აქტივობას აქვს საერთო სტრუქტურა, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ:

აქტივობა 4.(1) მოსმენა-გაგება, კითხვა-გაგება(2)

1. track 10(3). -<u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება**</u>(4)-მოისმინე დიალოგი და თქვი, რომელ დღეს მიდის რეზო?

დიალოგის მოსმენამდე მოსწავლეები აკვირდებიან სურათს - *ვინ საუბრობს? სად არიან? კიდევ რა ჩანს სურათზე? ვინ არის გაკვირვებული? ვინ იცინის?*
მოსწავლეები ისმენენ დიალოგს და ასახელებენ დღეს.

ტექსტი:(5)
- მზია, რა დღეა დღეს?
- დღეს პარასკევია.
- პარასკევი?.. რა კარგია, ხვალ ზოოპარკში მივდივარ!

2. დიალოგის მოსმენის შემდეგ მოსწავლეებს დაუსვით კითხვები: *სად მიდის რეზო? რომელ დღეს მიდის ? რას ამბობს მზია?*
   საჭიროების შემთხვევაში, კიდევ ერთხელ მოასმენინეთ დიალოგი მოსწავლეებს.
3. (6)სრულდება რვ. სავ.; № 12. წაიკითხე და ჩაწერე შესაბამისი სასვენი ნიშანი: „?“ ან „.“. სამუშაოს დასრულების შემდეგ ხმამაღლა წააკითხეთ დიალოგი მოსწავლეებს.

1. აქტივობის ნომერი
2. მითითება უნარებზე, რომლებსაც ავითარებს ეს აქტივობა.
3. მითითება აუდიოჩანაწერზე, რომელიც უნდა ჩაურთოს მასწავლებელმა მოსწავლეებს;
4. მითითება მოსწავლის წიგნის იმ დავალებაზე, რომელიც უნდა შესრულდეს;
5. აუდიოდისკზე ჩაწერილი მოსასმენი ტექსტის ტრანსკრიფცია მასწავლებლისთვის;
6. მითითება მოსწავლის რვეულზე;

3. საყურადღებო შენიშვნები მასწავლებელთათვის

აუცილებელია, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ შემდეგი:

1. **მასწავლებელმა <u>აუცილებლად უნდა დაიცვას წიგნში მოცემულ აქტივობათა თანამიმდევრობა</u>-** თითოეული მათგანი ლოგიკური ჯაჭვის ერთ რგოლს წარმოადგენს, რომელიც წინა აქტივობას ეფუძნება და მომდევნო აქტივობისათვის ამზადებს მოსწავლეს. ამდენად, შეთავაზებული გზიდან გადახვევა არ არის რეკომენდებული. მართალია, სწავლების გზა გაკვალულია, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი პასიურად უნდა გაჰყვეს მას. პირიქით, ძალიან ბევრია დამოკიდებული მასწავლებლის ოსტატობასა და შემოქმედებითობაზე; კერძოდ, იმაზე, თუ როგორ „გააცოცხლებს“ მასწავლებელი კლასში აქტივობას, როგორ წარმართავს იგი აქტივობის ეტაპებს, რამდენად შეძლებს მოსწავლეთა ჩაბმას საგაკვეთილო პროცესში, როგორ გადაჭრის ამა თუ იმ აქტივობის შესრულებისას წარმოქმნილ პრობლემას, რამდენად მოახერხებს მოსწავლეთა ძლიერი მხარეების წინ წამოწევასა თუ სუსტი მხარეების დაძლევას და სხვ.

2. **მასწავლებლის წიგნში არ არის მითითებული აქტივობათა ხანგრძლივობა.** საქმე ისაა, რომ აქტივობის ხანგრძლივობა ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული; კერძოდ, იმაზე, თუ რომელი კლასის (III, IV, V, VI) მოსწავლეებთან მუშაობს მასწავლებელი; როგორია მოსწავლისა და მასწავლებლის გამოცდილება; საგაკვეთილო პროცესში რაზე აკეთებს მასწავლებელი აქცენტს; რა დრო დასჭირდებათ მოსწავლეებს აქტივობის შესასრულებლად; როდის ტარდება გაკვეთილი - დილას თუ სასწავლო დღის ბოლოს და სხვ. მთავარია, მასწავლებელი თანამიმდევრულად გაჰყვეს აქტივობებს და თითოეულს დაუთმოს ის დრო, რაც მოსწავლეებს დასჭირდებათ მის შესასრულებლად.

3. **თანამშრომლობა მშობლიური ენის მასწავლებელთან** - მოსწავლეებს გაცილებით უკეთესი შედეგები ექნებათ, თუკი მშობლიური ენისა და ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები მჭიდროდ ითანამშრომლებენ ერთმანეთთან. სასურველია, ამ ორი საგნის მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ, რომელ მოსწავლეს რა უჭირს და შეთანხმებულად იმოქმედონ პრობლემების დასაძლევად. ასევე სასურველია, მშობლიური ენის მასწავლებელმა იცოდეს, რა სემანტიკურ ველებს შეისწავლის მოსწავლე მეორე ენაში და იგივე ველები გააააქტიუროს მშობლიურ ენაშიც. საერთო თემატიკებზე შეიძლება განხორციელდეს ინტერდისციპლინარული პროექტებიც (მაგ., წყლის ცხოველები). ზოგიერთ შემთხვევაში, ძალიან საინტერესო იქნება პარალელების გავლება ორ ენას შორის, მაგ., გამოიყენება თუ არა მოსწავლეთა მშობლიური ენაში განსხვავებული სახელები მამის დისა (მამიდა) და დედის დის (დეიდა) აღსანიშნავად. ენობრივი მოვლენების ურთიერთშედარება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ენობრივი ცნობიერების განვითარებას, რაც, ზოგადად, აუმჯობესებს ენის ათვისების უნარებს.

4. **მომზადება სავარჯიშოს შესასრულებლად** - მნიშვნელოვანია, მოსწავლეს კარგად ესმოდეს, როგორ უნდა შეასრულოს ესა თუ ის სავარჯიშო. ამიტომაც ვიდრე მოსწავლეები მუშაობას შეუდგებიან, მასწავლებელმა სავარჯიშოს რამდენიმე პუნქტი ნიმუშის საჩვენებლად დაფაზე უნდა შეასრულოს მთელი კლასის თანამონაწილეობით.

5. **დამოუკიდებლად მუშაობა** - მას შემდეგ, რაც მოსწავლე გაიგებს, როგორ უნდა შეასრულოს სავარჯიშო, მას უნდა ვაცადოთ დამოუკიდებლად მუშაობა. ხშირად იმის შიშით, რომ მოსწავლე შეცდომებს დაუშვებს, მასწავლებელი აქტიურად ერევა პროცესებში, რაც მიზანშეწონილი არ არის. თუ მოსწავლეს დამოუკიდებლად დაფიქრებისა და გავარჯიშების საშუალებას არ მივცემთ, მისი უნარების განვითარების პროცესი მკვეთრად შენელდება.

6. **შეცდომების მიმართ კონსტრუქციული დამოკიდებულება** - მეორე ენის შესწავლის პროცესში მოსწავლეები საკმაოდ ხშირად უშვებენ შეცდომებს, რაც სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა კონსტრუქციული დამოკიდებულება გამოიჩინოს ამ შეცდომების მიმართ, რადგან თუ მოსწავლეს შეცდომის დაშვების შიში ექნება, იგი მინიმალურად იაქტიურებს, რაც, ცხადია, შეაფერხებს ენის დაუფლების პროცესს.

   უნდა აღინიშნოს, რომ ენის ათვისებისას დაშვებული შეცდომები ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მასწავლებლისათვის - მას საშუალება ეძლევა, დააკვირდეს, რა ტიპის შეცდომებს უშვებენ მოსწავლეები, გააანალიზოს ამ შეცდომების წარმომშობი მიზეზები და შეარჩიოს ოპტიმალური სტრატეგიები მათ აღმოსაფხვრელად. შეცდომების გაანალიზება და კონსტრუქციულად მათი გამოყენება განეკუთვნება სწავლების იმ კომპონენტთა რიცხვს, რომლებიც მასწავლებლისგან შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს.

.

4. III დონის სახელმძღვანელოს მეთოდოლოგია

ა) მეთოდიკურ-პედაგოგიური პრინციპები

ინსტიტუციურ გარემოში ენის წარმატებული სწავლა/სწავლება დიდწილად არის დამოკიდებული მეთოდიკის გამართულობაზე; მით უფრო მაშინ, როცა საქმე ეხება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს. ჩვენი სახელმძღვანელოს მეთოდოლოგია ეფუძნება არაერთ მნიშვნელოვან პედაგოგიურ-მეთოდიკურ პრინციპს, რომლებიც მის გამართულობასა და ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

გამოვყოფთ რამდენიმე პრინციპს:

- **ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება**

სახელმძღვანელო უპირატესობას ანიჭებს და იყენებს სწავლების ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც სრულად მიესადაგება მოზარდების გონებრივი განვითარების კანონზომიერებებს, მათი აზროვნების კონკრეტულ-ხატოვან და მოქმედებით ბუნებას. ეს სტრატეგიებია:

- **თვალსაჩინო მეთოდი** - აქტივობებში უხვად გამოიყენება ილუსტრაციები, სქემები, დემონსტრაცია, კომპიუტერული თამაშები, რეალური საგნები, ნახატები;
- **მულტისენსორული მეთოდი -** აქტივობები, რომლებიც ააქტიურებს ისეთ სენსორულ-კინესთეტურ-მოტორულ სისტემებს, როგორებიცაა: ხატვა, გაფერადება, გამოჭრა, დაწებება, ლოტოთი თამაში, რიტმული მოძრაობები, სიმღერა, განსახიერებები მიმიკა-ჟესტიკულაციით, როლური თამაში, სმენითი და ხედვითი მეხსიერების განმავითარებელი აქტივობები და სხვა.

ამ მეთოდების გამოყენებით, სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს შემეცნებითი ხასიათის აქტივობებსაც, რომლებიც ააქტიურებს ისეთ კომპლექსურ კოგნიტურ ოპერაციებს, როგორებიცაა: დაჯგუფება-დახარისხება, შედარება, კატეგორიზაცია, წარმოსახვა.

- **ენობრივი მასალის მრავალმხრივი და საფუძვლიანი დამუშავება**

ენობრივ-კომუნიკაციური უნარ-ჩვევების დაუფლება ძალზე ხანგრძლივი პროცესია და ბევრ ვარჯიშს მოითხოვს. ამ პროცესის ხელშესაწყობად მეთოდიკური აპარატი სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავს, კერძოდ:

- ერთი თემატური ერთეულის ფარგლებში განსხვავებული უნარების (მოსმენის, კითხვის, ინტერაქციის, წერისა და შესაბამისი ქვეუნარების - კატეგორიზაციის, დამახსოვრების და სხვ.) განვითარებაზე მუშაობისას გამოიყენება ერთი და იგივე ენობრივი მასალა, რაც აადვილებს მის ათვისებას;
- უნარების ათვისებისა და განმტკიცების ფაზებისათვის გათვალისწინებულია მრავალფეროვანი აქტივობები;
- თითოეული თემატური ერთეულის ბოლოს მოსწავლისათვის შეთავაზებულია პროექტი, რომლის განხორციელებისას ან პრეზენტაციისას იგი ნასწავლ ენობრივ მასალას გამოიყენებს;
- თემატურ ერთეულებს შორის გაბმულია შინაარსობრივი ხიდები: ყოველ მომდევნო თემატურ ერთეულში გადადის წინა ერთეულის ენობრივი მასალაც. ამგვარად, ენის სწავლება სპირალური პროგრესიის გზით მიდის: ახალი თემატური ერთეული ემსახურება არა მარტო ახალი მასალის ათვისებას, არამედ ძველის განმტკიცებასაც.

- **ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება და თითოეული მოსწავლის წინსვლის ხელშეწყობა**

მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გონებრივი და ფსიქო-ემოციური წყობით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, ინტერესთა სფეროთი, მიდრეკილებებით, აზროვნების სტილით, ათვისების რიტმით, სასწავლო პროფილით. იმისათვის, რომ თითოეულ მოსწავლეს მიეცეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა, სახელმძღვანელო მათ სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობათა ფართო სპექტრს. თითოეული უნარის განმავითარებელ აქტივობათა ნაკრები სხვადასხვა სირთულის სავარჯიშოებისაგან შედგება და იძლევა დიფერენცირებული სწავლების საშუალებას. მასწავლებლის წიგნი მასწავლებელს სთავაზობს რჩევებს დიფერენცირებული სწავლების ხელშესაწყობად.

---

1. მეთოდი და მეთოდოლოგია - ჩვენს სახელმძღვანელოში ტერმინი „მეთოდი“ აღნიშნავს სწავლების კონკრეტული ტექნიკებისა თუ ხერხების ერთობლიობას, რომლის მიზანია, გამოიწვიოს მოსწავლეში კონკრეტული ქცევა ან კონკრეტული აქტივობა. მაგ., აქტიური მეთოდი გულისხმობს ყველა ხერხს, რომელსაც მასწავლებელი გამოიყენებს მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციის, აგრეთვე მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად; მეთოდოლოგია კი გულისხმობს მეთოდებისა და მიდგომების მწყობრ მთლიანობას, რომელიც წარმოშობს კონკრეტულ და ორიგინალურ სასწავლო კურსს.

ბ) დიდაქტიკური პრიორიტეტები

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ადრეულ ასაკში ენის სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოს სერიის სხვადასხვა დონეზე დიდაქტიკური პრიორიტეტები განსხვავებულადაა განაწილებული.

ცხრილში მუქი ფერით აღინიშნება მესამე დონის პრიორიტეტები.

ცხრილი 1.

დიდაქტიკური პრიორიტეტები	**III დონე**
მოსმენა - ზეპირმეტყველება	
ფონეტიკური უნარები	
მოსმენა-ამოცნობა - გაგება	
მოსმენა-გააზრება	
რეპროდუცირება, ლექსიკური მარაგის გაზრდა-გამდიდრება	
ინტერაქცია	
მონოლოგური მეტყველება	
წინადადებების, მცირე ზომის ტექსტების გაშიფვრა-წაკითხვა	
კითხვის მოქნილობა	
კითხვა-გაგება	
კითხვა - გააზრება -გაანალიზება	
სიტყვების გამოწერა, წინადადებების წერა	
ტექსტების შედგენა/დაწერა	

ცხრილის დეტალური განხილვა

III დონის სახელმძღვანელოში ენის ათვისების მთავარ საშუალებას კვლავ მოსმენა წარმოადგენს. სახელმძღვანელოს მეთოდიკური აპარატი და სასწავლო მასალა მიმართულია შემდეგი უნარების განვითარებისაკენ:

მოსმენა და ზეპირი მეტყველება

1. **ფონეტიკური უნარები -** ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების აღქმისა და გამოთქმის უნარი. საშუალებები - მრავალფეროვანი აუდიოჩანაწერები (ენის გასატეხები, სიმღერები, ლექსები, დიალოგები და სხვა);
2. **გაგება -** ამოცნობა - მცირე ზომის ინფორმაციულ-შემეცნებითი, თხრობითი და აღწერითი ტექსტების გაგება;
3. **რეპროდუცირება-** მოსმენილი ტექსტის ზეპირად თქმის უნარი. აღსანიშნავია, რომ პატარები ყველაფერს ხალისით იმეორებენ, მიუხედავად იმისა, ესმით თუ არა მოსმენილის შინაარსი. რეპროდუცირება ხელს უწყობს როგორც სწორი გამოთქმის ჩამოყალიბებას, ისე ლექსიკური მარაგის შეძენა-გამდიდრებასა და სემანტიკური მეხსიერების გამდიდრებას, რაც მეტყველების განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამას გარდა, ლექსების, დიალოგების,ზღაპრების, სკეტჩების დაზეპირებისას მოსწავლის მეხსიერებაში ილექება რიტმული სეგმენტები. ამ სეგმენტებს მოსწავლე შემდგომში გაუცნობიერებლად დაეყრდნობა, როგორც ერთგვარ ყალიბს, რომელსაც ასამეტყველებლად გამოიყენებს.
4. **ინტერაქცია -** ნაცნობ თემატიკასთან დაკავშირებით კითხვების დასმა/პასუხების გაცემა; ნაცნობ თემატიკაზე (ცხოველები, სეზონები და სხვა) დიალოგების, გამოცანების შედგენა; ინფორმაციის მიწოდება საკუთარი ინტერესების, ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობრების შესახებ და სხვა.

წერა-კითხვა

1. **კითხვის მოქნილობა -** გაშიფრვის უნარის ავტომატიზაცია.

2. **წაკითხვა - გაგება-** ეს მოქნილობისაგან მკვეთრად განსხვავებული უნარია. შესაძლებელია, მოსწავლემ ძალიან სწრაფად წაიკითხოს პატარა ტექსტი, მაგრამ აზრი ვერ გამოიტანოს. მოქნილობაზე ვარჯიშის დროს მოსწავლე თვალების მოძრაობით მისდევს სტრიქონებს, კითხულობს იმას, რასაც ხედავს და არა იმას, რასაც იაზრებს. სწორედ ამის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოს მეთოდური აპარატი მიჯნავს ამ ორ უნარს და მოსწავლესა და მასწავლებელს სთავაზობს გაგებაზე მიმართული საკითხავი ამოცანების პაკეტს. მოსწავლე კონკრეტული ამოცანით მიდის ტექსტთან და გააზრებულად კითხულობს მას დასმული საკითხავი ამოცანის გადასაჭრელად. ამგვარი აქტივობები ხელს უწყობს აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებას. საკითხავი ამოცანები ამ დონეზე მიმართულია, ძირითადად, ექსპლიციტური, ტექსტის ზედაპირზე მოცემული ინფორმაციის ამოცნობა-გაგებისაკენ (და არა ტექსტში ნაგულისხმევი ინფორმაციისაკენ, რომლის გააზრებაც კომპლექსურ კოგნიტურ ოპერაციებს მოითხოვს).

3. **ტექსტების შედგენა/დაწერა -** III დონის სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს სამ-ოთხწინადადებიანი ტექსტების შედგენას მოდელების მიხედვით.

5. მეთოდიკური რეკომენდაციები

1. **რეკომენდაცია მოსმენა-გაგების უნარის განვითარებისთვის** - მოსასმენ ტექსტებს ყოველთვის ახლავს კონკრეტული მოსასმენი ამოცანები (მაგ., მოისმინე და დააკავშირე, მოისმინე და შეავსე ცხრილი და ასე შემდეგ), რომლებიც მოსწავლემ უნდა გადაჭრას ტექსტის მოსმენის საფუძველზე. მოსმენის პროცესის სწორად წარმართვისათვის უნდა გავითვალისწინოთ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი:
   ა) მოსწავლეს არ მოეთხოვება ყველაფრის ერთბაშად გაგება ტექსტიდან. ასეთი მოთხოვნა არაპროდუქტიული იქნება, რადგან სიტყვიერ ნაკადში მოსწავლე ვერც ერთი ინფორმაციის აღქმას ვერ მოასწრებს. მოსასმენი სავარჯიშოს პირობა ერთგვარი ორიენტირია, რომელიც ტექსტის მოსმენისას კონკრეტული ინფორმაციისკენ წარმართავს მოსწავლის ყურადღებას. ამდენად, მასწავლებელმა მოსწავლეთა ყურადღება უნდა გაამახვილოს სავარჯიშოს კონკრეტულ მოთხოვნაზე.

   ბ) ტექსტის მობილიზებული, მიზანმიმართული მოსმენისათვის მოსწავლეს კარგად უნდა ესმოდეს სავარჯიშოს პირობა, ანუ ის, თუ რა ამოცანის გადასაჭრელად უნდა მოისმინოს ტექსტი. ამდენად, სავარჯიშოს შესრულებამდე მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ მისი პირობა თითოეულ მოსწავლეს კარგად აქვს გაგებული.

2. **მოსასმენ სავარჯიშოებზე მუშაობის სტრატეგია** - მოსასმენი სავარჯიშოების შესრულებისას აუცილებელია, დავიცვათ შემდეგი თანამიმდევრობა.

1. სანიმუშოდ აქტივობის ერთი-ორი პუნქტი დაფაზე უნდა შესრულდეს, რათა მოსწავლემ კარგად გაიგოს, რას ითხოვენ მისგან. სწორად გაგებული ამოცანა მისი წარმატებით შესრულების აუცილებელი წინაპირობაა.
2. მას მერე, რაც მოსწავლეები კარგად გაიაზრებენ შესასრულებელ ოპერაციას, მათ აუცილებლად უნდა დააცადოთ დამოუკიდებლად მუშაობა (იხ. ზემოთ, 3.5).
3. მოსწავლეებს ხელმეორედ მოასმენინებთ ტექსტს, რათა მათ, შეძლებისამებრ, შეავსონ და გაასწორონ თავიანთი ნამუშევრები.
4. დამოუკიდებელი სამუშაოს დასრულების შემდეგ იწყება ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი-პასუხების ერთობლივად შემოწმება-შეჯერება და შეცდომების გასწორება. ამ ეტაპზე მოსწავლეები გაიაზრებენ და ასწორებენ საკუთარ შეცდომებს, რაც მათ წინსვლას უწყობს ხელს. პასუხების განსხვავებული ვარიანტების შემთხვევაში, მოსწავლეებს პირდაპირ ნუ მიაწოდებთ მზამზარეულ პასუხს; ეცადეთ, მოსწავლეები თავად მივიდნენ სწორ პასუხამდე. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს კვლავ მოასმენინეთ სათანადო ნაწყვეტები.
5. დასასრულს, მოსწავლეებმა ტექსტი თავიდან ბოლომდე უნდა მოისმინონ.

3. **სახალისო აქტივობა ზეპირმეტყველებისათვის -„ტელეეკრანიდან“**

ამზადებთ "ტელევიზორის" ყუთს: მუყაოს ყუთს ისე გამოჭრით, რომ "ეკრანის" ადგილი ცარიელი იყოს. აქეთ-იქით ღილაკებს დაუხატავთ. უბრალო საშუალებებით გააკეთებთ ორ "მიკროფონს". აქტივობის დაწყებისას "ეკრანიდან" გამოაცხადებთ "მიკროფონით" ხელში: გამოდის ამა და ამ სკოლის მოსწავლე, ესა და ეს. მოსწავლე "მიკროფონით" ხელში გამოდის, ანუ იყურება "ეკრანიდან" და ესალმება ყველას: გამარჯობა! ამის მერე, ნასწავლი მასალის შესაბამისად, აიღებთ მისგან პატარა ინტერვიუს.
„ტელეეკრანი“ ძალიან ახალისებს მოსწავლეებს და ეს აქტივობა შეგიძლიათ პერიოდულად გამოიყენოთ დიალოგების ან ინტერვიუების გასათამაშებლად. მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეგიძლიათ მოთხოვნები გაამარტივოთ ან გაართულოთ - ზოგიერთ მოსწავლეს შეიძლება მხოლოდ სახელი ათქმევინოთ, ზოგს - გაცილებით მეტი. მთავარია, ყველას მისცეთ "ეკრანზე" გამოჩენის საშუალება.

4. **დიალოგის გათამაშების მოდელირება -** მოგეხსენებათ, რომ დიალოგის გათამაშება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კომუნიკაციურ მიდგომებში. ამ ასაკის მოსწავლეებს განსაკუთრებული დახმარება დასჭირდებათ დიალოგის მეწყვილესთან გასათამაშებლად. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ მოდელირების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს შესასრულებელი აქტივობის პროცესის „გაცოცხლებას“ მოსწავლეთა თვალწინ. გთავაზობთ მოდელირების მაგალითს:

1) სავარჯიშოს მონაცემები დაფაზე დაწერეთ იმავე დიზაინით, როგორც იგი რვეულშია წარმოდგენილი.
2) თავდაპირველად ხმამაღლა წაიკითხეთ ყველა მონაცემი, თან მიუთითეთ თითოეულ მათგანზე.
3) გამოიყვანეთ მოსწავლე. შეთანხმდით, ვინ დასვამს კითხვებს, ვინ უპასუხებს.
4) გამოკვეთეთ ის მონაცემები, რომლებიც უნდა გამოიყენოს კითხვების დამსმელმა და ისინი, რომლებიც უნდა გამოიყენოს მოპასუხემ.
5) ერთად გაითამაშეთ დიალოგი. გათამაშების პროცესში დაფაზე მიუთითეთ შესაბამის მონაცემებზე, რათა მოსწავლეებმა აღიქვან, როგორ იყენებთ მათ (შესაბამის მონაცემებს) დიალოგის წარმართვისას.
6) გამოიყვანეთ კიდევ ერთი მოსწავლე და როლები გაცვალეთ - ის დაგისვამთ შეკითხვებს, თქვენ უპასუხებთ მათზე.
7) გამოიყვანეთ წყვილი, რომელიც თქვენი დახმარებით წარმართავს დიალოგს.
8) დასასრულს, მოსწავლეები დამოუკიდებლად ამუშავეთ წყვილებში. იარეთ რიგებში, გაამხნევეთ გაუბედავი მოსწავლეები და, საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მათ.

შენიშვნა: ანალოგიურ მიდგომებს გამოიყენებთ იმ სავარჯიშოებისთვის, რომლებიც მონოლოგურ მეტყველებას მოითხოვს.

5. **კითხვა-გაგებაზე მუშაობის სტრატეგიები -** კითხვა-გაგებაზე სამუშაოდ სახელმძღვანელო ითვალისწინებს საკითხავ ამოცანებს, რომელთა გადასაჭრელად მოსწავლის ყურადღება უნდა წარიმართოს შინაარსის გაგებისაკენ. ეს ამოცანები შეიძლება იყოს ნახატების ტექსტთან დაკავშირება, ცხრილის შევსება, კითხვებზე პასუხის გაცემა, არასწორი ინფორმაციის გადახაზვა, ნაკლული ინფორმაციის შევსება და სხვა. ამ საკითხავი სავარჯიშოების შესრულების დროს აუცილებელია, დავიცვათ შემდეგი თანამიმდევრობა:

1) **ნიმუშის მიცემა** - სანიმუშოდ დაფაზე უნდა შესრულდეს სავარჯიშოს ერთი-ორი პუნქტი, რათა მოსწავლეებმა კარგად გაიგონ, რას ითხოვენ მათგან. სწორად გაგებული ამოცანა მისი წარმატებით შესრულების აუცილებელი წინაპირობაა.

2) **დამოუკიდებლად მუშაობა** - მას მერე, რაც მოსწავლეები კარგად გაიაზრებენ შესასრულებელ ოპერაციას, აუცილებლად უნდა აცადოთ მათ დამოუკიდებლად მუშაობა (იხ. ზემოთ, 4.7). თუ კლასში არიან ისეთი მოსწავლეები, რომლებსაც ძალიან უჭირთ კითხვა და თავს ვერ ართმევენ ამ ტიპის ამოცანებს, შეკრიბეთ ისინი ცალკე მაგიდასთან და, სანამ სხვები დამოუკიდებლად მუშაობენ, დაეხმარეთ მათ საკითხავი დავალების შესრულებაში. ამისათვის ამ ჯგუფში გაერთიანებულ მოსწავლეებს უნდა მისცეთ გარკვეული საყრდენები, რომელთა დახმარებით ისინი ეტაპობრივად გადალახავენ სიძნელეებს (მასწავლებლის წიგნში ამგვარი საყრდენები ახლავს არაერთ საკითხავ დავალებას თითოეულ წინადადებაზე ფოკუსირებული შეკითხვების სახით. ეს შეკითხვები მოსწავლეებს გაუადვილებს ინფორმაციის მოძიებასა და ამოკითხვას). უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ჯგუფის მოსწავლეებთან მუშაობისას მთავარი პედაგოგიური ამოცანაა, საკუთარი თავისადმი რწმენა განვუმტკიცოთ მათ. ამიტომაც მათ უნდა შევთავაზოთ ადეკვატური დავალებები, ანუ დავალებები, რომელთა შესრულებაც არ აღემატება ამ ჯგუფის მოსწავლეთა შესაძლებლობებს. ადეკვატური დავალებების მიცემის შემთხვევაში, აღნიშნული ჯგუფის მოსწავლეების სწავლის მოტივაცია ამაღლდება და ისინი თანდათანობით გააუმჯობესებენ თავიანთ შედეგებს.

3) **პასუხების შედარება-გაანალიზება** - ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე, დრო დავუთმოთ მოსწავლეთა პასუხების შედარება-გაანალიზებას. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი მოსწავლე პასუხს გასცემს ამა თუ იმ კითხვას, უნდა გაარკვიოთ, აქვს თუ არა ვინმეს განსხვავებული პასუხი. განსხვავებული პასუხის/პასუხების არსებობის შემთხვევაში, მოსწავლეებს სთხოვეთ, მიუბრუნდნენ ტექსტს და გაარკვიონ, რომელი მათგანია სწორი. ასეთი მიდგომა აუმჯობესებს კითხვა-გაგების უნარებს და ხელს უწყობს აქტიური მკითხველის აღზრდას.

4) **გაუბედავი მოსწავლეების დახმარება** - გაუბედავი/პასიური მოსწავლეების ჩართვა პასუხების შეჯერების პროცესში - შევნიშნავთ იმასაც, რომ მოსწავლეთა პასუხების შედარება-გაანალიზების პროცესი კარგი საშუალებაა გაუბედავი/პასიური მოსწავლეების გასააქტიურებლად. მათ აუცილებლად უნდა მიაღებინოთ მონაწილეობა ამ პროცესში. ამისთვის შეგიძლიათ, აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში ჰკითხოთ ამგვარ მოსწავლეებს, თუ ვის მოსაზრებას ემხრობიან ისინი და სხვ. ამგვარი მიდგომით მასწავლებელი საშუალებას მისცემს სუსტ მოსწავლეებს (რომელთაც, შესაძლოა დაკარგული აქვთ საკუთარი თავის რწმენა), დარწმუნდნენ საკუთარ შესაძლებლობებში, თანდათანობით დაიბრუნონ საკუთარი თავის რწმენა და გააქტიურდნენ.

6. **რეკომენდაცია კითხვა-გაგების უნარის განვითარებისთვის** - როგორც აღვნიშნეთ, ყველა საკითხავ ტექსტს ახლავს კონრეტული საკითხავი ამოცანები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე კონკრეტული ამოცანით მივიდეს ტექსტთან. ეს, ერთი მხრივ, გაუადვილებს მას კითხვის პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მის აქტიურ მკითხველად ჩამოყალიბებას. საკითხავი ამოცანის წინმსწრებად დასმის შემთხვევაში ჩნდება ორი კითხვა:
   - რატომ გაუადვილებს მოსწავლეს კითხვის პროცესს? - საქმე ისაა, რომ კითხვა-გაგება თავისთავად ძალიან კომპლექსური აქტივობაა (სიტყვების/წინადადების გაშიფვრა, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მორფო-სინტაქსური ელემენტების აღქმა და მათზე დაყრდნობით სიტყვებს შორის არსებული კავშირის გაგება, წინადადებებსა და ტექსტის ნაწილებს შორის არსებული აზრობრივი კავშირების გაგება და სხვა), რომელშიც სხვადასხვა ტიპის სააზროვნო პროცესი მონაწილეობს. ამდენად, მთლიანი ტექსტის გაგება-გააზრების პროცესში მოსწავლეს სჭირდება გარკვეული საყრდენები. სწორედ ასეთ საყრდენს წარმოადგენს საკითხავი ამოცანა, რომლის გადასაჭრელად მოსწავლე ყურადღებას წარმართავს ტექსტის მხოლოდ ერთი ნაწილისკენ და მიზანმიმართულად დაამუშავებს მას (არა მთლიან ტექსტს, არამედ ნაწილს). შინაარსის გახსნა ეტაპობრივად წარიმართება საკითხავი ამოცანების გადაჭრის კვალდაკვალ.
   - რატომ შეუწყობს ხელს აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებას? - თუ მოსწავლეს არ მივცემთ კონკრეტულ საკითხავ ამოცანას, ანუ არ დავუსახავთ მას კონკრეტულ საკითხავ მიზანს, იგი პასიურად ჩაიკითხავს ტექსტს თავიდან ბოლომდე, მთელი ძალისხმევით არ ცდილობს ტექსტში ჩადებული ინფორმაციის გააზრებას. პასიური მკითხველი კითხულობს იმას, რასაც ხედავს (და არა იმას, რასაც იაზრებს) და ელის, რომ ტექსტში ჩადებული ინფორმაცია თავისთავად გადაიშლება მის თვალწინ. სინამდვილეში კი ეს ასე არ ხდება. ტექსტის წაკითხვა-გაგება სხვა, უფრო მაღალი დონის პროცესების ჩართვას მოითხოვს, ვიდრე მისი მხოლოდ წაკითხვა-გაშიფვრა. ამ სააზროვნო პროცესების გასააქტიურებლად კი აუცილებელია, მოსწავლე მიზანმიმართულად კითხულობდეს ტექსტს.

7. **წერითი უნარების განმავითარებელი სახალისო აქტივობა „საფოსტო ყუთი“** - მუყაოს ყუთისგან დაამზადეთ "საფოსტო ყუთი" და ხატვის გაკვეთილზე, ხატვის მასწავლებლის დახმარებით, ლამაზად გააფორმებინეთ იგი მოსწავლეებს. შემდგომში, ნასწავლი ენობრივი მასალის გამოყენებით, მოსწავლეები ერთმანეთს მისწერენ მარტივ წერილებს, ბარათებს და ამ ყუთში ჩაყრიან მათ. თქვენ პერიოდულად ამოიღებთ "წერილებს", დაურიგებთ მათ ადრესატებს და წააკითხებთ.

III დონე – მიზნებისა და შინაარსის რუკა

თემატური ერთეული	ძირითადი ლექსიკა	ძირითადი ენობრივი საკითხები, ენობრივი კონსტრუქციები, ფორმულები
პირველი ნაბიჯები	სეზონები, კვირის დღეები, დღის მონაკვეთები, ყოველდღიური საქმიანობა, საათი, ტანსაცმელი, ცხოველები, რიცხვები; გარეგნობა: გრძელი, მოკლე, მსუქანი, გამხდარი; თვისებები : მხიარული, კეთილი.	• სივრცეში ორიენტირება: ადგილის ზმნიზედები და თანდებულები (წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, ქვევით;-ში/-ზე) • დროში ორიენტაცია (... საათზე; დილით, შუადღისას, საღამოს; გუშინ, დღეს, ხვალ; ორშაბათს... -ში/-ზე თანდებულებით - ზამთარში/გაზაფხულზე, აპრილში და სხვ.); • ზმნის ახლანდელი დრო (აწმყო) • **ყოფნა** ზმნა სამივე დროში (იყო - არის - იქნება)
სპორტული თამაშები	სათამაშო სივრცე: სპორტული დარბაზი, სტადიონი, მოედანი, კორტი; გუნდი, სპორტის სახეობები; სპორტული ინვენტარი.	• მიმღეობა (ფეხბურთ**ელ**ი, კალათბურთ**ელ**ი...) • სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები აწმყო დროში • რიგობითი რიცხვითი სახელები; • ...ზე დიდი / პატარა... • ყველაზე დიდი / პატარა.
ისინი ჩემი ნათესავები არიან	ნათესავები; უფროსი/უმცროსი; რიცხვები 20-დან 40-მდე; ჩემი, ჩვენი, მისი.	• კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩემი, ჩვენი, მისი) • სიტყვაწარმოება (სადაურობა: -ელი) • სადაურია? თბილის**ელი**ა; • . . . -ზე უფროსი/უმცროსია; • ყველაზე უფროსი; ვისთან ერთად?
წყლის სამყაროში	წყლის ცხოველები: სელაპი, ვეშაპი, პინგვინი, მედუზა, დელფინი და სხვა; მათი სხეულის ნაწილები (ფარფლები, ლაყუჩები და სხვ.) წყლის ცხოველთა მოძრაობა (დაცურავს, დახოხავს, დაბაჯბაჯებს).	• ზმნის ახლანდელი (აწმყო) და წარსული (წყვეტილი) დრო: არის - იყო; აქვს - ჰქონდა; უყურებს - ნახა) • ზედსართავი სახელები და მიმღეობები (გარეგნობა: უშნო, ლამაზი, რბილი, მაგარი, თვისება/ხასიათი: საშიში, ჭკვიანი, მხიარული) • სიტყვაწარმოება (- იანი: ულვაშიანი...) • აქვს ულვაში, არის ულვაშიანი.
ერთი დღე ქალაქში	ქალაქი: ქუჩა, შადრევანი, გადასასვლელი, შუქნიშანი, გაჩერება და სხვა; ტრანსპორტის სახეობები, ქუჩაში მოძრაობის წესები.	• მოქმედებითი ბრუნვა კონკრეტული ფუნქციით (ფეხით / ავტობუსით ... წასვლა) • სივრცეში ორიენტაცია (-ზე, -ში, -თან) • ზმნის წარსული დრო (წყვეტილი): დგას - იდგა; ზის - იჯდა; წევს - იწვა; ჰქვია - ერქვა; ხატავს - დახატა; • სუბიექტისა და ობიექტის ფორმები წარსული დროის (წყვეტილი) ფორმებთან მარტივ წინადადებაში (ბიჭი ხატავს ძაღლს / ბიჭმა დახატა ძაღლი) • მარტივი მიზეზის გამოხატვა (იმიტომ, რომ)
მოდი, მაღაზიობანა ვითამაშოთ!	მაღაზიის სახეობები; სად რა იყიდება; პროფესიები; ვინ რას აკეთებს (გამყიდველი ყიდის და სხვ.)	• სიტყვაწარმოება (ერთსართულიანი...) ზმნის წარსული დრო (წყვეტილი): ყიდულობს - იყიდა • ყიდვასთან დაკავშირებული ფორმულები (მომეცით, ინებეთ, რა ღირს)
7. მოდი, გავიხსენოთ!	მახსოვს, არ მახსოვს; მე მგონი; შარშან, მომავალ წელს.	• მოთხრობითი ბრუნვა; ზმნის წარსული დრო (წყვეტილი): რა ქნა მზიამ გუშინ? მზიამ დახატა, იმღერა, ისადილა და სხვა. • სიტყვაწარმოება (-იანი): წვიმიანი, ქარიანი, მზიანი...
8. რა მოგწონს და რა გაინტერესებს?	სპორტული, მხიარული, საინტერესო, მოსაწყენი, სევდიანი, უშნო, საშიში, სასაცილო, კარგი, ცუდი, ლამაზი, მხიარული, საინტერესო, სასაცილო, მოსაწყენი.	• საგანთა, მოვლენათა შეფასება: მომწონს/არ მომწონს იმიტომ, რომ ... მაინტერესებს; მარტივი მიზეზის გამოხატვა (იმიტომ, რომ); • შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა (მომწონს/არ მომწონს; მაინტერესებს / არ მაინტერესებს; ვეთანხმები / არ ვეთანხმები) • ადამიანთა/საგანთა შედარება (მაღალი - უფრო მაღალი - ყველაზე მაღალი).

<table>
<tr><td rowspan="2">ტექსტის სახეები</td><td colspan="2">ძირითადი მიზნები</td></tr>
<tr><td>კონკრეტული თემისათვის</td><td>საერთო ყველა თემისათვის</td></tr>
<tr><td>ზღაპარი, ლექსი, დიალოგი, დღის რეჟიმი, გაკვეთილების ცხრილი, მოკლე აღწერითი და ინფორმაციული ტექსტები.</td><td>• წინა დონის ენობრივი მასალის გამეორება, მომზადება ახალი ენობრივი საკითხების ასათვისებლად;
• ინტერაქცია საყვარელ სეზონზე; სასკოლო საქმიანობაზე;
• ადამიანის გარეგნობის აღწერა და სხვა.</td><td rowspan="9">• ახალი ლექსიკის სწავლა;
• სურათის აღწერა;
• დიალოგების მოსმენა-გაგება;
• დიალოგების გათამაშება;
• მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება;
• ვარჯიში კითხვის მოქნილობაზე;
• მოკლე ტექსტების შედგენა ნიმუშის მიხედვით;
• დაკვირვება ენობრივ საკითხებზე;
• ინტერაქცია ნაცნობ თემატიკაზე.</td></tr>
<tr><td>ლექსი, დიალოგები, გამოცანები, აღწერითი ტექსტი.</td><td>ინტერაქცია სპორტის სახეობებსა და სპორტულ აქტივობებზე; სკოლის აღწერა.</td></tr>
<tr><td>ლექსი; დიალოგები; კომიქსი; მოკლე ინფორმაციული ტექსტი.</td><td>სურათის აღწერა; ინტერაქცია ოჯახზე, ნათესავებზე; სამ-ოთხწინადადებიანი ტექსტის შედგენა ოჯახის შესახებ.</td></tr>
<tr><td>მოკლე შემეცნებით-ინფორმაციული ტექსტი, დიალოგი, გამოცანა, დიალოგი.</td><td>ცხოველის აღწერა-დახასიათება; მოდელის მიხედვით ინფორმაციული ტექსტის შედგენა ცხოველზე/ცხოველებზე.</td></tr>
<tr><td>ზღაპარი, დიალოგი, ლექსი, ინსტრუქცია, აღწერითი ტექსტი.</td><td>ზღაპრის გაგება, ინტერაქცია ტრანსპორტის სახეობებზე, ქუჩაში მოძრაობის წესებზე; სურათებზე დაყრდნობით ამბის გადმოცემა.</td></tr>
<tr><td>ლექსი, დიალოგი, აღწერითი ტექსტი.</td><td>ინტერაქცია "მაღაზიაში", სუპერმარკეტის აღწერა.</td></tr>
<tr><td>ლექსი, ზღაპარი; დღის რეჟიმი; ამბავი, დიალოგები.</td><td>ერთი დღის საქმიანობათა აღწერა წარსულ დროში; მოქმედებების, მოკლე ამბის წარსულში გადმოცემა.</td></tr>
<tr><td>ზღაპარი, კომიქსი; ტელეპროგრამა; დიალოგი, აღწერითი ტექსტი.</td><td>მოვლენათა/საგანთა/პერსონაჟთა შეფასება, საკუთარ დამოკიდებულების გამოხატვა; ინტერაქცია დღის განრიგზე.</td></tr>
</table>

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, წიგნის პირველი თემის ძირითადი ფუნქციაა, მოსწავლეს გაამეორებინოს წინა დონის სახელმძღვანელოში დამუშავებული ის საკვანძო ენობრივი საკითხები, რომლის ცოდნაც დასჭირდება მოსწავლეს წიგნის მომდევნო თემების დასაძლევად.

მოსწავლის წიგნი. გვ. 4–5 (4 5)

აქტივობა 1. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

შენიშვნა: თემის პირველი სურათი ასახავს იმ ძირითად შინაარსს, რომელიც უფრო დეტალურად იშლება ამავე თემის მომდევნო გვერდებზე. შესაბამისად, თემის ამ პირველ სურათს ერთგვარი მოთელვის მიზნით იყენებთ.

1. კითხვების დახმარებით გაამახვილებთ მოსწავლეთა ყურადღებას პერსონაჟებზე (ვინ არის? რა ჰქვია?), მათ გარეგნობასა და ჩაცმულობაზე, მოქმედებებზე (რას აკეთებენ?), წელიწადის დროებსა და თვეებზე და სხვა.
2. *მისალმება-დამშვიდობების ფორმულების (გამარჯობა, დილა მშვიდობისა, კარგად იყავი, ნახვამდის, საღამო მშვიდობისა) გასახსენებლად შესთავაზეთ შემდეგი თამაში: არეული თანამიმდევრობით ასახელებთ ფორმულებს,* ყველა მისალმების ფორმულაზე მოსწავლეებმა ხელის ჩამორთმევა უნდა განასახიერონ. ყველა დამშვიდობების ფორმულაზე - ხელი მაღლა ასწიონ.
3. **თამაში - „რა მახსოვს?“** - მოსწავლეები ხურავენ წიგნებს. თქვენ მათ უსვამთ სხვადასხვა ტიპის შეკითხვას (*რამდენი? რა ფერის? როგორი? სად?* და *სხვა*). მოსწავლეები, მხედველობით მეხსიერებაზე დაყრდნობით, იხსენებენ მასალას და პასუხობენ თქვენს შეკითხვებს.



მოსწავლის წიგნი. გვ. 6 (6)

აქტივობა 1. დღის რეჟიმთან დაკავშირებული ლექსიკის გამეორება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 5, №1. დააკავშირე, ვინ ვინ არის.
2. 🎧 track 1 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 2, №2. მოისმინე და გამოიცანი, რა არის. მიუთითე სურათზე.

მოსასმენი გამოცანა.

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, იძახის
და კედელზე კიდია,
დღე და ღამე ისრები
მიდიან და მიდიან.

3. დაასახელებინეთ მოსწავლეებს ამავე საავარჯიშოს სხვა ნახატებზე გამოსახული საგნები.
4. ასწავლეთ მოსწავლეებს ეს გამოცანა ზეპირად.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 5, №3. დააკავშირე.
6. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 6, №1. დააკვირდი, წაიკითხე და დააკავშირე.
7. 🎧 track 2 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 6, №2. მოისმინე და დახატე; პირველი საათია. სამი საათია. შვიდი საათია. ცხრა საათია. თორმეტი საათია. №3. დააკვირდი და დაწერე.

8. **<u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u>** — დააკვირდი. წარმოდგენილ ნახატებზე დაყრდნობით, მოსწავლეები იხსენებენ დღის მონაკვეთის დასახელებებს.
9. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 7, №4. წაიკითხე, შემოხაზე სწორი ვარიანტი და ჩაწერე. ნიმუშის მისაცემად ერთ პუნქტს ერთობლივად ასრულებთ დაფაზე.
10. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 7, №5. დააკავშირე და წაიკითხე.

აქტივობა 2. ინტერაქცია დღის რეჟიმზე (წიგნის მეორე დავალება)

1. **<u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u>** - წაიკითხე წინადადებები და დააკავშირე შესაბამის სურათთან. მოსწავლეები აკვირდებიან ნახატებს, ა) და ბ) წინადადებებს დამოუკიდებლად აკავშირებენ შესაბამის ნახატთან. მოწმდება პასუხები. ბოლოს, მოსწავლეები პასუხობენ წიგნში წარმოდგენილ შეკითხვებს.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 7, №6. აირჩიე და ჩაწერე. ცხრილის შევსების შემდეგ სვამთ კითხვებს: *თამრიკო, შენ რომელ საათზე იღვიძებ? კიდევ ვინ იღვიძებს 8 საათზე? შენ, თინა, რომელ საათზე საუზმობ? და ასე შემდეგ.*
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 8, №1. ჰკითხე მეწყვილეს, როდის რას აკეთებს და შეავსე ცხრილი. მოსწავლეებს გარკვეული დახმარება სჭირდებათ წყვილებში ინტერაქციის წარსამართავად - აუცილებელია ამ პროცესის მოდელირება ანუ მისი გაცოცხლება მოსწავლეთა თვალწინ და ჩვენება იმისა, თუ როგორ უნდა წარმართონ ინ-



ტერაქცია. მოდელირებისათვის:

1. დაფაზე გადაიტანეთ სავარჯიშოს მონაცემები იმავე დიზაინით, როგორც ის რვეულშია წარმოდგენილი.
2. აჩვენეთ და ხმამაღლა წააკითხეთ მოსწავლეებს „ბუშტში“ ჩაწერილი კითხვა: *რომელ საათზე . . ?* შემდეგ მიუთითეთ ცხრილის მონაცემზე „იღვიძებ“ და დაასრულეთ შეკითხვა: *რომელ საათზე იღვიძებ?* იგივე გაიმეორეთ ცხრილის ყველა მონაცემისათვის - თან მიუთითეთ და თქვით: *რომელ საათზე საუზმობ? რომელ საათზე სადილობ?* და ასე შემდეგ. ამ სტრატეგიის მიზანია, მოსწავლეებმა აღიქვან *„ბუშტში“* ჩასმული ენობრივი კონსტრუქციის გამოყენების წესი.
3. გამოიყვანეთ მოსწავლე და შეასრულეთ მასთან ერთად სავარჯიშო - დაუსვით კითხვები (თან მიუთითეთ მათზე), მოსწავლის პასუხები ჩაწერეთ ცხრილის სათანადო უჯრაში.
4. გამოიყვანეთ ერთი წყვილი, რომელიც ამ დავალებას თქვენი დახმარებით შეასრულებს თანაკლასელების წინაშე.
5. ბოლოს, მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ წყვილებში. დადიხართ რიგებში, ამხნევებთ გაუბედავ მოსწავლეებს და, საჭიროებისამებრ, ეხმარებით მათ.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 8, №2. დაწერე, როდის რას აკეთებს შენი მეწყვილე და წაიკითხე. ნიმუშის ჩვენება ამ შემთხვევაშიც სასურველია. - გამოიყვანეთ ერთი-ორი მოსწავლე, რომელთაც თქვენს ცხრილზე დაყრდნობით იმავე ტიპის დავალებას შეასრულებინებთ. იარეთ რიგებში და, საჭიროებისამებრ, მოსწავლეებს მიეცით დამატებითი მითითებები.

აქტივობა 3. საჭმელ-სასმელთან დაკავშირებული ლექსიკის გამეორება

📖 სრულდება რვეულის შემდეგი სავარჯიშოები:

1. გვ. 8, №3. დააკვირდი და დაასახელე, რა არის.
2. გვ. 8, №4. დაახარისხე, რომელია საჭმელი და რომელია სასმელი.
3. გვ. 9, №5. მოძებნე და შემოხაზე. პასუხი:

წ	ვ	ე	ნ	ი	მ	პ	უ	რ	ი
ზ	კ	წ	ხ	ო	რ	ცა	ი	უ	ს
პ	კ	ვ	ე	რ	ცა	ხ	ი	ი	ა
რ	ა	რ	ძ	ე	ფ	ქ	ა	რ	ი
ქ	ა	ლ	ი	ს	ყ	ვ	ე	ლ	ი
ო	ქ	ა	თ	ა	მ	ი	ხ	ვ	ი
ნ	ა	მ	ცა	ხ	ვ	ა	რ	ი	კ
ა	ცა	თ	ყ	ა	დ	ბ	ი	ვ	გ

აქტივობა 4. ინტერაქცია საყვარელ საჭმელ-სასმელზე

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 9, №6. მონიშნე, რომელი საჭმელი და სასმელი გიყვარს ან არ გიყვარს.
2. თამაში „გამოიცანი“: კლასს ყოფთ ორ ჯგუფად. გამოგყავთ ერთ-ერთი მოსწავლე თავისი რვეულით, მაგ., ნიკო. ჯგუფებმა ორ თქმაში უნდა გამოიცნონ, რა უყვარს და რა არ უყვარს ნიკოს. ორ-ორი თქმა აქვთ. დასასრულს, ნიკო განაცხადებს, რა უყვარს და რა არ უყვარს მას.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 9, №7. გამოიყენე ცხრილი და დაწერე, რა გიყვარს და რა არ გიყვარს.
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 10, №1. დაასახელე, რას ჭამ დილით, შუადღისას და საღამოს და ჩაწერე. მოაწყვეთ გამოკითხვა და მოსწავლეებთან ერთად დაადგინეთ,



რომელია ყველაზე გავრცელებული საჭმელები.

5. სრულდება რვ. სავ. გვ. 10, №2. მოძებნე, ვის რა უყვარს, დაწერე და წაიკითხე. გამოიყენეთ კომპლექსურ, რამდენიმე საფეხურიან სავარჯიშოზე მუშაობის სტრატეგია: ა) სანიმუშოდ სავარჯიშოს ერთი პუნქტის შესრულება დაფაზე; ბ) დამოუკიდებლად მუშაობა; გ) რიგებში სიარული და იმ მოსწავლეთა დახმარება, რომელთაც უჭირთ დავალების შესრულება; ე) პასუხების ერთობლივად შემოწმება.
6. სრულდება რვ. სავ. გვ. 11, №3. ჰკითხე, რომელი საჭმელი და სასმელი უყვარს შენს მეწყვილეს. წყვილებში მუშაობის ხელშესაწყობად გამოიყენეთ ზემოთ შეთავაზებული სტრატეგია - მოდელირება (იხ. აქტივობა 2. პუნქტი 3.)
7. სრულდება რვ. სავ. გვ.11, №4. თქვი, რა უყვარს შენს მეწყვილეს და რა არ უყვარს.

აქტივობა 5. წერა

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 11, №5. გამოიყენე და შეადგინე მენიუ შენი მეწყვილისათვის. მოსწავლეებს კარგად აუხსენით, რომ უნდა დაწერონ ის სასმელ-საჭმელები, რომლებიც უყვარს მეწყვილეს.
2. ჩემი საყვარელი საუზმე/სადილი - მოსწავლეებმა ცალკე ფურცელზე უნდა შეადგინონ თავიანთი საყვარელი საუზმის (სადილის ან ვახშმის) მენიუ, ნახატებით გააფორმონ და დაასათაურონ. გამოაკრავთ კლასში ყველა მოსწავლის საყვარელ მენიუს და კვირის განმავლობაში ინტერაქციისათვის გამოიყენებთ. სასურველია, თითოეული მოსწავლისათვის შეიქმნას დოსიეები ანუ ერთგვარი პორტფოლიოები, რომლებშიც ჩააკრავთ ამ ტიპის ნამუშევრებს.

აქტივობა 6. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 11, №6. დაასრულე სიტყვა სურათის მიხედვით.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 12, №1. წაიკითხე სიტყვები და გადახაზე არასწორი.

აქტივობა 7. ინტერაქცია დღის რეჟიმზე

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 12, №2. დააკვირდი და თქვი, როდის რას აკეთებს გია.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ.12, №3. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ, თქვენ როდის რას აკეთებთ. წყვილებში ინტერაქციის ხელშეწყობის მიზნით, გამოიყენეთ ზემოხსენებული მოდელირების სტრატეგია და გააცოცხლეთ ინტერაქციის პროცესი მოსწავლეთა თვალწინ:

   ა) *სავარჯიშოს მონაცემები დაფაზე დაწერეთ იმავე დიზაინით, როგორც ის რვეულშია წარმოდგენილი.*

   ბ) თავდაპირველად ხმამაღლა წაიკითხეთ ყველა მონაცემი, თან მიუთითეთ თითოეულ მათგანზე.

   გ) შემდეგ გამოიყვანეთ მოსწავლე და მასთან ერთად გაითამაშეთ დიალოგი. გათამაშების პროცესში დაფაზე მიუთითეთ შესაბამის მონაცემებზე, რათა მოსწავლეებმა ნათლად აღიქვან, რომელი ეკუთვნის კითხვის დამსმელს, რომელი - პასუხის გამცემს.

   დ) გამოიყვანეთ კიდევ ერთი მოსწავლე და როლები გაცვალეთ - ის შეკითხვებს დაგისვამთ, თქვენ უპასუხებთ.

   ე) გამოიყვანეთ წყვილი, რომელიც თქვენი დამხარებით წარმართავს დიალოგს.

   ვ) დასასრულს, მოსწავლეები დამოუკიდებლად ამუშავეთ წყვილებში. იარეთ რიგებში, გაამხნევეთ გაუბედავი მოსწავლეები და, საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მათ.



აქტივობა 8. ლექსიკის გამეორება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ.13, №4. ჩამოთვალე, რა საგნებს სწავლობ სკოლაში.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ.13, № 5. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ.13, № 6. მოძებნე და შემოხაზე. პასუხი:

ქ	ა	რ	თ	უ	ლ	ი	ს	ი	მ
მ	ა	თ	ს	კ	ო	რ	ტ	ი	უ
ბ	უ	ნ	ე	ბ	ა	ფ	ი	ზ	ი
ი	ნ	გ	ხ	ა	ტ	ვ	ა	ქ	რ
ცვ	ე	კ	ს	ი	მ	ღ	ე	რ	ა

აქტივობა 9. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 13. №7. წაიკითხე სიტყვები და გადახაზე არასწორი.

აქტივობა 10. კითხვა-გაგება

1. <u>**სრულდება მესამე დავალება**</u> - წაიკითხე წინადადებება, მოძებნე სურათზე და დაასახელე, ვინ არის. მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ. მუშაობის დასრულებისას მოწმდება პასუხები.
2. შემდეგ ხმამაღლა აკითხებთ იმავე ტექსტს.
3. ლექსიკური ცოდნის გასამყარებლად პასუხობენ თქვენს შეკითხვებს: *რას აკეთებს მზია? რას აკეთებს რეზო და ასე შემდეგ.*

აქტივობა 11. მოსმენა-გაგება, ინტერაქცია

1. 🎧 track 3 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 14, №1. მოისმინე, რა უყვარს და რა არ უყვარს გიას და მონიშნე. გამოიყენეთ მოსასმენ სავარჯიშოზე მუშაობის სტრატეგია: ა) ნიმუშის შესრულება დაფაზე; ბ) დამოუკიდებლად მუშაობა; გ) ხელმეორედ მოსმენა ინფორმაციის შევსება-გასწორების მიზნით; ე) პასუხების ერთობლივად შემოწმება. შემოწმებისას, საჭიროებისამებრ, კვლავ მოასმენინეთ ტექსტი მოსწავლეებს.

<u>*მოსასმენი ტექსტი;*</u>

მე მიყვარს ხატვა, ეზოში თამაში,
წიგნის კითხვა და ტელევიზორის ყურება.
არ მიყვარს სიმღერა, ჭამა და ცეკვა.

2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 14, №2. გამოიყენე ცხრილი და დაწერე.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 14, №3. ჰკითხე, რა უყვარს შენს მეწყვილეს. იარეთ რიგებში და დააკვირდით, ახერხებენ თუ არა მეწყვილეები ერთმანეთში ინტერაქციას. თუ დიდი ნაწილი ვერ ახერხებს, კვლავ მიმართეთ მოდელირებას (იხ. ზემოთ, 5. 2).
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 14, №4. თქვი, რა უყვარს შენს მეწყვილეს და რა - არა.

აქტივობა 12. ლექსიკის გამეორება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 14, №5. დაალაგე თანამიმდევრულად.
2. **<u>სრულდება წიგნის მეოთხე დავალება</u>** - დააკვირდი და წაიკითხე. სქემაზე დაყრდნობით იმეორებთ ლექსიკურ ერთეულებს: *გუშინ, დღეს, ხვალ.*
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 15, №6. დაასახელე, რა დღეა დღეს?
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 15, №7. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი. სანიმუშოდ პირველ პუნქტს დაფაზე ასრულებთ.
5. 🎧 track 4 მოსწავლეები ისმენენ სიმღერას და შემდეგ მღერიან (მანანას სიმღერა).

აქტივობა 13. კითხვა-გაგება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 15, №8. წაიკითხე და მიუთითე შესაბამის სურათზე. დაიცავით საკითხავ ტექსტებზე მუშაობის პრინციპი: ა) სანიმუშოდ სავარჯიშოს ერთ

პუნქტს ასრულებთ დაფაზე. ბ) აცდით მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობას. გ) დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად სვამთ მათ, ვისაც კითხვა უჭირს და ეხმარებით. დ) სამუშაოს შედეგები დაფასთან მოწმდება. შემოწმების პროცესში აუცილებლად ჩართეთ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც დაეხმარეთ.

2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 16, №1. წაიკითხე და შეავსე გიას გაკვეთილების ცხრილი.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 16, №2. დააკვირდი ცხრილს. რომელ დღეს რა გაკვეთილები აქვს გიას? დაწერე და წაიკითხე.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 17, №3. უპასუხე და ჩაწერე.

აქტივობა 14. ინტერაქცია გაკვეთილების ცხრილზე

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 17, №4. შეავსე შენი გაკვეთილების ცხრილი.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 17, №5. შეადარე შენი გაკვეთილების ცხრილი გიას გაკვეთილების ცხრილს. დაასახელე, რა მსგავსებაა და რა განსხვავებაა. მოსწავლეებს დაეხმარეთ შეკითხვებით: *რამდენი გაკვეთილი აქვს გიას ორშაბათს? თქვენ? ორშაბათს გიას აქვს სპორტი? თქვენ?* და *ასე შემდეგ.*
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 18, №1. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან და წაიკითხე. დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს იმავე შინაარსის კითხვები დაუსვით: *როდის გაქვს ხატვა, თამრიკო? სანდრო, რომელ საათზე გაქვს ბუნება? რა გაქვთ ხვალ დილას? რას აკეთებს თინა?* და *სხვა.*
4. 🎧 track 5 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 18, №2. მოიმინე და შეავსე.

მოსასმენი ტექსტი

- *როდის გაქვს მათემატიკა?*
- *ორშაბათს.*
- *რომელ საათზე გაქვს?*
- *ათ საათზე.*
- *რას აკეთებ გაკვეთილზე?*
- *ვანგარიშობ.*

5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 18, №3. დასვით შეკითხვები და უპასუხეთ.

მიზნები: ლექსიკის გამეორება, ინტერაქცია დღის რეჟიმთან დაკავშირებით, მენიუს შედგენა, გავეთილების ცხრილის შევსება, კითხვა-გაგება, მოსმენა-გაგება.

ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები: *დღის რეჟიმი, საჭმელ-სასმელი.*

მოსწავლის წიგნი. გვ. 7

7

აქტივობა 1. წელიწადის დროებთან დაკავშირებული ლექსიკის გახსენება-გამეორება

1. <u>**სრულდება წიგნის მეხუთე დავალება**</u> - ჩამოთვალე წელიწადის დროები.
2. <u>**სრულდება წიგნის მეექვსე დავალება**</u> — დააკვირდი სურათებს, დაასახელე, რომელ სურათზე წელიწადის რა დროა.
3. <u>**სრულდება წიგნის მეშვიდე დავალება**</u> - მოძებნე და წაიკითხე გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის თვეები.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 19, № 4. წაიკითხე და შემოხაზე. სანიმუშოდ პირველი პუნქტი ერთობლივად შეასრულეთ დაფაზე.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 19, №5. დაალაგე თანამიმდევრობით და ჩაწერე, წელიწადის რა დროა. სანიმუშოდ პირველი პუნქტი ერთობლივად შეასრულეთ დაფაზე. მომდევნო პუნქტების შესრულების წინ, ერთობლივად დააზუსტეთ თვეების თანამიმდევრობა.
6. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 20, № 1. ჩაწერე ერთი სიტყვით.

აქტივობა 2. კითხვა-გაგება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 20, №2. წაიკითხე და მიუწერე კი ან არა.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 20, №3. გაასწორე მცდარი წინადადებები და წაიკითხე.
3. <u>**სრულდება წიგნის მერვე დავალება**</u> - წაიკითხე, რა უყვართ ლიას და იას და რატომ.



აქტივობა 3. მოსმენა-გაგება, წერა, კითხვა

1. 🎧 track 6 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 21, №4. მოისმინე და მონიშნე, ვის რომელ თვეში აქვს დაბადების დღე.

<u>*მოსასმენი ტექსტი:*</u>

ჩემი დაბადების დღე არის მაისში. (ლია)
2. ჩემი დაბადების დღე იანვარშია. (ია)
3. ჩემი დაბადების დღე არის აგვისტოში. (რეზო)
4. მე აპრილში მაქვს დაბადების დღე. (მზია)
5. მე ოქტომბერში მაქვს დაბადების დღე. (გია)
6. ჩემი დაბადების დღეც ოქტომბერშია. (დათო)

2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 21, № 5. გამოიყენე ცხრილი და დაწერე, ვის როდის აქვს დაბადების დღე.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 22, № 1. დაწერე, როდის არის შენი დაბადების დღე და წაიკითხე.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 22, №2. წაიკითხე და დააკავშირე ერთმანეთთან.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 22, №3. უპასუხე შეკითხვებს.
6. <u>**სრულდება წიგნის მეცხრე დავალება**</u> - როდის არის შენი დაბადების დღე?
7. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 22, №4. დაასახელე, წელიწადის რომელი დრო და რომელი თვე გიყვარს შენ და რატომ.
8. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 22, №5. დააკავშირე ნაწერი ნახატთან.

აქტივობა 4. ამინდთან დაკავშირებული ლექსიკის გამეორება

1. <u>**სრულდება წიგნის მეათე დავალება**</u> - წაიკითხე და დააკავშირე
2. იგივე დავალება სრულდება რვეულშიც. მოსწავლეებმა ხაზებით უნდა დააკავშირონ წინადადებები ნახატებთან **(იხ.** რვეულის აქტივობა №58).
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 23, №6 ჩაწერე, როგორი ამინდია.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 23, №7. აირჩიე და ჩაწერე. №8. თქვი და დაწერე.

აქტივობა 5. ტანსაცმელთან და ფერებთან დაკავშირებული ლექსიკის გამეორება 1.

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 23, №9. წაიკითხე და დააკავშირე ნახატთან.
2. გადაათამაშეთ მე-9 სავარჯიშოს ლექსიკა კითხვების გამოყენებით: *რა ფერის არის . . . ? როგორია, გრძელია თუ მოკლე?*

3. ყველანი ერთად კითხულობთ ტანსაცმლის აღმნიშვნელ სიტყვებს.
4. შემოიტანეთ ზმნები: *მაცვია, მახურავს.* დაასახელეთ, რა გაცვიათ და თან მიუთითეთ შესაბამის საგანზე, დაიხურეთ ქუდი და თქვით: *მახურავს ქუდი.* აჩვენეთ და ასწავლეთ აგრეთვე ლექსიკური ერთეული: *კაშნე.*
5. შეასრულეთ მოძრავი ლექსიკური სავარჯიშოები ჩაცმა-დახურვასა და ტანსაცმელზე. ამისათვის:
   ა) მიუსადაგეთ მოქმედებას შესაბამისი მიმიკა-ჟესტიკულაცია. გთავაზობთ ვარიანტს:

მაცვია შარვალი	ხელების ჯიბეში ჩადების ჟესტი
მახურავს ქუდი	ხელის თავზე მიტანა
მაცვია პალტო	ღილების შეკვრა
მაცვია მაისური	ხელის მოძრაობით მითითება მოკლე სახელოებზე
მიკეთია სათვალე	თვალებთან წრიულად შეერთებული ცერა და საჩვენებელი თითები
მიკეთია კაშნე	ხელებით წარმოსახვითი კაშნეს შემოხვევა

   ბ) რამდენჯერმე დაასახელეთ მოქმედებები შესაბამისი მიმიკა-ჟესტიკულაციის თანხლებით, მოსწავლეები ისმენენ და იმეორებენ იმავეს სათანადო ჟესტიკულაციის გამოყენებით.
   გ) თანამიმდევრულად ასახელებთ მოქმედებებს, მოსწავლეები თქვენ მიერ დასახელებულ მოქმედებებს მიუსადაგებენ შესაბამის ჟესტიკულაციას;



   დ) ამბობთ მოქმედებებს არეული რიგით. მოსწავლეები თქვენ მიერ დასახელებულ მოქმედებებს მიუსადაგებენ შესაბამის ჟესტიკულაციას.
   ე) ბოლოს, ყველას ერთად გაამეორებინებთ შესწავლილ მასალას.
6. **თამაში** - ერთი მოსწავლე განასახიერებს რომელიმე მოქმედებას და დანარჩენები ასახელებენ.
7. **გამოცანები** - **<u>თამაში:</u>** აღწერთ, ვის რა აცვია და - რა ფერის; მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, ვინ არის ჩაფიქრებული. შეიძლება გუნდური თამაშის მოწყობაც: თითოეული გუნდი ამზადებს გამოცანას, ანუ აღწერს ვინმეს ჩაცმულობას; შემდეგ წარადგენს მომზადებულ გამოცანას და სხვა გუნდები ამოიცნობენ, ვინ არის ჩაფიქრებული. თქვენ დადიხართ რიგებში და გუნდებს ეხმარებით გამოცანის შედგენაში. მოსწავლეებმა შეიძლება ნახატებიც მიაშველონ სათქმელს.
8. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 24, №1. მოძებნე და შემოხაზე. პასუხი:

კ	ს	ა	პ	ა	ლ	შ	ი
ა	ხ	ჯ	ე	მ	პ	რ	ი
ბ	შ	ა	რ	ვ	ა	ლ	ი
ა	ე	ჟ	ა	კ	ე	ტ	ი
ვ	ცᲘ	ტ	ნ	კ	ს	ბ	კ
ლ	პ	ნ	გ	ქ	უ	დ	ი
წ	მ	ა	ი	ს	უ	რ	ი
პ	ა	ლ	ტ	ო	რ	ტ	ა

9. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 24, №2. დააკავშირე. №3. დააკვირდი და დაასახელე.
10. გაახსენეთ ნასწავლი ფერები (წითელი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი, შავი, თეთრი, ყავისფერი, სტაფილოსფერი, ცისფერი), მიუთითებთ კლასში არსებულ ნივთებზე, სურათებზე, მოსწავლეთა ტანსაცმელზე და მოსწავლეები სათანადო ფერს ასახელებენ.
11. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 25, №4. დახატე და გააფერადე ცისარტყელა.
12. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 25, №5. მოძებნე და გადახაზე არასწორი.

აქტივობა 6. ინტერაქცია, კითხვა

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 25, №6. დააკვირდი და აღწერე სურათები.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 26, №1. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 26, №2. დაუსვით ეს შეკითხვები ერთმანეთს და უპასუხეთ.

მიზნები: ლექსიკის გახსენება, კითხვა-გაგება, წერა, მოსმენა-გაგება, ინტერაქცია ტანსაცმელზე/ჩაცმულობაზე.

ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები: *წელიწადის დროები, თვეები, ამინდი, ტანსაცმელი, ფერები.*

მოსწავლის წიგნი. გვ. 8

აქტივობა 1. ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკის გახსენება

1. <u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება**</u> - დაასახელე, რომელი ცხოველები ხატია სურათზე.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 26, №3. დააკვირდი და მონიშნე სათანადო უჯრა. სავარჯიშოს დაწყებამდე, მოსწავლეებს დაასახელებინეთ ცხრილის პირველ სტრიქონში გამოსახული ცხოველები, ჰკითხეთ, რომელია მათგან შინაური, რომელი - გარეული. დაუკავშირეთ შეკითხვები მათ პირად ცხოვრებას: *ვის ჰყავს ძაღლი? როგორი, დიდი თუ პატარა? ვის ჰყავს კატა? რა ჰქვია? ვის ჰყავს ცხენი?*



ვის უნდა კატა/ძაღლი? ამის შემდეგ შეასრულებინეთ მოსწავლეებს სავარჯიშო.

3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 26, №4. გამოიყენე ცხრილი და გადაწერე.

აქტივობა 2. კითხვა-გაგება

1. <u>**სრულდება წიგნის მეორე დავალება**</u> - მოძებნე, წაიკითხე და დაასახელე. დავალების შესრულების პროცესში სვამთ ორი ტიპის შეკითხვას: *რა ჰყავს ძაღლს? რას ჰყავს გოჭი?*
2. დაუკავშირეთ შეკითხვები მათ პირად გამოცდილებას: *ვის ჰყავს წიწილა? გოჭი? რამდენი?* და ასე შემდეგ.
3. <u>**სრულდება წიგნის მესამე დავალება**</u> - დააკვირდი, წაიკითხე და გაიმეორე. დავალების შესრულების შემდეგ ჰკითხეთ: *რას აქვს ნისკარტი?* (წიწილას, ქათამს, ბატს, იხვს, ჭუკს); *რას აქვს ფრთები? რას აქვს კუდი? რას აქვს ფაფარი?*
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 27, № 5. წაიკითხე, გამოიცანი და ჩაწერე, რომელია. დაიცავით საკითხავ სავარჯიშოებზე მუშაობის პრინციპი: ა) სანიმუშოდ სავარჯიშოს ერთ გამოცანას ასრულებთ დაფაზე. ბ) აცდით მოსწავლეებს დანარჩენ გამოცანებზე დამოუკიდებლად მუშაობას. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად სვამთ მათ, ვისაც კითხვა უჭირს და ეხმარებით. გ) სამუშაოს შედეგებს დაფასთან ამოწმებთ. შემოწმების პროცესში აუცილებლად ჩართეთ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც დაეხმარეთ (დაწვრილებით იხ. მასწ. წიგნი, 5.5).
5. ხმამაღლა წააკითხეთ მოსწავლეებს გამოცანები.

აქტივობა 3. ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკის გახსენება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 27, № 6. დააკვირდი და მონიშნე სათანადო უჯრა. სავარჯიშოს დაწყებამდე, მოსწავლეებს დაასახელებინეთ ცხრილის პირველ სტრიქონში გამოსახული ცხოველები, შეეკითხეთ, რომელია მათგან შინაური, რომელი - გარეული. დაუკავშირეთ შეკითხვები მათ პირად ცხოვრებას: *ვის ჰყავს ღორი? ვის ჰყავს ძროხა? რამდენი? მოდის თუ არა მელია საქათმესთან?* ამის შემდეგ შეასრულებინეთ მოსწავლეებს სავარჯიშო.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 27, № 7. გამოიყენე ცხრილი და გადაწერე. გვ. 28,

№ 1. დაწერე, რომელი ცხოველები გყავს სახლში. № 2. წაიკითხე. გამოიცანი, რომელი ცხოველია და დახატე.

აქტივობა 4. ფრინველებთან დაკავშირებული ლექსიკის გახსენება

📖 სრულდება რვეულის შემდეგი სავარჯიშოები:

1. გვ. 29, № 3. მონიშნე ფრინველები და გადაწერე ანბანის რიგის მიხედვით.
2. გვ. 29, № 4. შემოხაზე, რომელი არ არის შინაური ფრინველი და დაასახელე.
3. გვ. 30, № 1. მოძებნე და შემოხაზე. პასუხი:

მ	გ	ი	ს	ტ	მ	წ	ხ	ო	ლ
ა	ო	ვ	ყ	ვ	ა	ვ	ი	კ	ნ
მ	ზ	ს	ა	რ	ვ	ნ	ც	გ	ყ
ა	თ	უ	თ	ი	ყ	უ	შ	ი	ჯ
ლ	ი	ბ	დ	ა	ფ	ვ	კ	ხ	მ
ი	ქ	ა	თ	ა	მ	ი	ჯ	ვ	ფ
ქ	ი	ტ	ვ	ც	ს	ბ	დ	ი	ს
ლ	ვ	ი		ფ	ო	გ	დ	ტ	ა

4. გვ. 30, № 2. დაწერე, რომელი ფრინველები გყავს სახლში.
5. გვ. 30, № 3. წაიკითხე. გამოიცანი, რომელი ფრინველია და დახატე.

აქტივობა 4. ნაშიერებთან დაკავშირებული ლექსიკის გახსენება



📖 სრულდება რვეულის შემდეგი სავარჯიშოები:

1. გვ. 31. № 4. დააკავშირე ერთმანეთთან და დაასახელე.
2. გვ. 31. № 5. გადახაზე არასწორი წყვილები.
3. გვ. 31. № 6. ჩაწერე სწორად და წაიკითხე.
4. გვ. 32. № 1. წაიკითხე სიტყვები და გადახაზე ორი არასწორი.

აქტივობა 5. კითხვა-გაგება, ინტერაქცია ცხოველებზე

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 32. № 2. წაიკითხე და შემოხაზე სწორი წინადადება. დაიცავით კომპლექსურ სავარჯიშოზე მუშაობის ეტაპები: ა) სანიმუშოდ სავარჯიშოს ერთი პუნქტის შესრულება დაფაზე; ბ) დამოუკიდებლად მუშაობა; გ) რიგებში სიარული და იმ მოსწავლეთა დახმარება, რომელთაც უჭირთ დავალების შესრულება; ე) პასუხების შემოწმება მთელი კლასის მონაწილეობით.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 32. №3. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან. აქაც იცავთ ზემოთ დასახლებულ ეტაპებს. სავარჯიშოს დასრულებისას მოსწავლეებს ხმამაღლა წააკითხეთ კითხვა-პასუხები.
3. ჩაატარეთ გამოკითხვა - ვის რომელი ცხოველი უყვარს და რატომ. დაეხმარეთ პასუხის გაცემაში: *იმიტომ, რომ პატარაა/ლამაზია/საყვარელია; იმიტომ, რომ აქვს ფაფარი* და *სხვა*.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 33. №4. დაუსვით ეს შეკითხვები ერთმანეთს და უპასუხეთ. თავდაპირველად თქვენ უსვამთ მოსწავლეებს შეკითხვებს: *რა გყავს სახლში? რომელი ცხოველი გიყვარს? რატომ?*
5. **თამაში** „ტელეეკრანიდან“(იხ. მასწ. წ. 5.3): გამოიყვანეთ მოსწავლეები ”ტელეეკრანთან” და აიღეთ მათგან პატარა ინტერვიუ ცხოველების თემაზე: *რა ცხოველები გყავს? რომელი ცხოველი გიყვარს?*
6. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 33. №5. დახატე და დაწერე. მოსწავლეები ცარიელ გრაფაში ხატავენ ცხოველებს, რომლებიც უყვართ.

აქტივობა 6. შედარება

1. გამოიყვანეთ სხვადასხვა სიმაღლის მოსწავლეები და ჰკითხეთ, ვინ ვისზე დაბალია/მაღალია.
2. ჩაიფიქრეთ ერთ-ერთი მოსწავლე და დაახასიათეთ იგი სხვებთან მიმართებაში. მაგ., *თინაზე მაღალია* და *დიტოზე დაბალია. ვინ არის?* მოსწავლეები ამოიცნობენ. ანალო-

გიური სავარჯიშო შეიძლება შესრულდეს სხვადასხვა ზომის ფერადი ფანქრების (უფრო გრძელი/მოკლე), სასკოლო ავეჯის (უფრო დიდი/პატარა), სხვ. გამოყენებით.

3. 📖📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 33. №6. დააკვირდი და ჩაწერე. გვ. 34. №1. გამოიცანი და ჩაწერე.

მიზანი: ლექსიკის გამეორება-გახსენება; კითხვა-გაგება; ინტერაქცია ცხოველებზე.

ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები: *შინაური და გარეული ცხოველები, ნაშიერები; კატა ვეფხვ***ზე პატარაა,** *ვეფხვი კატა***ზე დიდია.**

მოსწავლის წიგნი. გვ. 9

აქტივობა 1. საცხოვრებელთან დაკავშირებული ლექსიკის გამეორება

1. <u>**სრულდება წიგნის მეოთხე დავალება**</u> - წაიკითხე და მოძებნე სურათზე ტექსტში მოცემული ინფორმაცია.
2. 📖📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 34. №2. წაიკითხე და დააკავშირე. №3. წაიკითხე და დააკავშირე სურათთან. გვ. 35. №4. გაიხსენე, რომელი სად ცხოვრობს. №5. წაიკითხე ტექსტი და დააკავშირე სურათთან. ჩაწერე სათანადო რიცხვი.
3. 🎧 track 7 📖📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 35. №6. მოისმინე ლექსი და დააკავშირე სურათთან.

<u>*მოსასმენი ტექსტი:*</u>

ჩიტს ბუდე აქვს,
დათვს - ბუნაგი,
ციყვს - ფუღურო,
თაგვს კი სორო.



ყველა თავის ბინას აგებს,
ყველა თავის სახლში ცხოვრობს.

4. 📖📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 36. № 1. დააკვირდი სურათს დ ჩაწერე. მოსწავლეებს ჯერ წააკითხეთ ყუთში მოცემული სიტყვები. სანიმუშოდ ერთი პუნქტი დაფაზე შეასრულეთ.

აქტივობა 2. სახლის ინტერიერთან დაკავშირებული ლექსიკის გამეორება.

1. <u>**სრულდება წიგნის მეხუთე დავალება**</u> - წაიკითხე და დააკავშირე. ეს დავალება სრულდება მთელი კლასის მონაწილეობით. იმავე ტიპის დავალებას მოსწავლეები დამოუკიდებლად ასრულებენ რვეულში (იხ. სავ. გვ. 36. №2)
2. მოსწავლეები პასუხობენ თქვენს *შეკითხვებს: სად ვიძინებთ? სად ვიბანთ ხელებს? სად ვუყურებთ ტელევიზორს?*
3. **თამაში:** სწორია თუ არა? - ასახელებთ ოთახს და შემდეგ ხან სწორად და ხან მცდარად ასახელებთ ამ ოთახის დანიშნულების შესაბამის მოქმედებას (მაგ. *სააბაზანოში ვარ, ვუყურებ ტელევიზორს*), მოსწავლეებმა ტაში უნდა შემოკრან მხოლოდ სწორი ვარიანტის შემთხვევაში (მაგ. *სააბაზანოში ვარ, პირს ვიბან*).
4. ასახელებთ ოთახს, მოსწავლეებმა შესაბამისად უნდა განასახიერონ (მაგ., *საძინებელი!* მოსწავლეები თვალებს ხუჭავენ, "იძინებენ"; *სააბაზანო!* მოსწავლეები "პირს იბანენ და ა. შ.); შემდეგ ასახელებთ მოქმედებებს (პირს ვიბან . . .), მოსწავლეები ასახელებენ ოთახს.
5. დასვით კითხვები: *რას ვაკეთებთ საძინებელ ოთახში? - ვიძინებთ, რას ვაკეთებთ სამზარეულოში? - ვჭამთ; სად ვიბანთ პირს? - სააბაზანოში - რას ვაკეთებთ სასტუმრო ოთახში? - ტელევიზორს ვუყურებთ.*
6. 📖📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 36. № 2. წაიკითხე და დააკავშირე. № 3. წაიკითხე და ჩაწერე შესაბამისი სურათის ნომერი.
7. 📖📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 36. № 4. წაიკითხე და გაიმეორე.
8. 📖📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 37. №5. წაიკითხე და დაასახელე შესაბამისი ნომერი. შეასრულებინეთ შემდეგი ლექსიკური სავარჯიშოები: ბ) ასახელებთ კონკრეტულ ავეჯს, მოსწავლეები ასახელებენ შესაბამის ნომერს. გ) ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას. დ) ასახელებთ ნომერს არეული თანამიმდევრობით, მოსწავლეები ასახელებენ შესაბამის სიტყვას.
9. მიუბრუნდით წიგნის მეორე დავალების სურათებს და დასვით შეკითხვები ავეჯის გარშემო (*რომელ ოთახში რა დგას; რა რის*

მარცხნივ/მარჯვნივ/წინ/უკან დგას; რა რაზე მაღალია/დაბალია, დიდია/პატარაა).

10. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 37. № 6. დააკავშირე შესაბამის ოთახთან. გვ. 38. № 1. ჩაწერე შესაბამისი ოთახის ნომერი. № 2. წაიკითხე სიტყვები და გადახაზე არასწორი. №3. დახატე შენი ოთახი.

11. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 39. № 4. აირჩიე და ჩაწერე გამოტოვებულ ადგილებში.

აქტივობა 3. მოსმენა-გაგება, ადამიანის გარეგნობის აღწერა

1. <u>**სრულდება წიგნის მეექვსე დავალება**</u> — წაიკითხე და უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს სურათის მიხედვით. დაუკავშირეთ კითხვები მოსწავლეთა გამოცდილებას: *მაცივარი გაქვს? სად დგას? რამდენი სარკე გაქვს? როგორი, დიდი თუ პატარა? რამდენი საწოლი/კარადა გაქვს?* და სხვა.

2. 🎧 track 8 <u>**სრულდება წიგნის მეშვიდე დავალება**</u> - მოისმინე და მიუთითე სურათზე, ვინ არის - ბიჭი, გოგო, კაცი, ქალი.

მოსასმენი ტექსტი

1. არის მსუქანი. აქვს გრძელი თეთრი თმა. აცვია შავი კაბა. 2. არის გამხდარი. აქვს მოკლე ყავისფერი თმა. აცვია გრძელი ლურჯი შარვალი. 3. არის პატარა და გამხდარი. აქვს ყავისფერი კიკინები. აცვია ყვითელი კაბა. 4. არის გამხდარი. აქვს მოკლე ყავისფერი თმა. აცვია თეთრი მაისური და მოკლე ლურჯი შარვალი.

3. გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკის გასახსენებლად მოსწავლეებს დაუსვით დამატებითი კითხვები ნახატზე წარმოდგენილი პერსონაჟების გარეგნობასთან დაკავშირებით.



4. აჩვენეთ მოწავლეებს გოგოს/ბიჭის, ქალის/კაცის სურათები, ნახატები და იკითხეთ: *რომელია მსუქანი? გამხდარი? მაღალი/დაბალი? რომელს აქვს გრძელი/მოკლე თმა?*

<u>**დამატებითი რესურსი:**</u> შესაბამისი გარეგნული იერის მქონე (გამხდარი/მსუქანი, მაღალი/დაბალი/ გრძელ და მოკლეთმიანი) ადამიანების სურათები, ნახატები, ფოტოები. ამგვარი სურათები შეიძლება მოიძიოთ: თქვენს პირად ფოტოარქივში, სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოებში, ჟურნალებში და სხვა).

მიზანი: ლექსიკის გამეორება-გახსენება, მოსმენა-გაგება, ადამიანის გარეგნობის აღწერა;

ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები: *სახლის ინტერიერი, ტანსაცმელი, გარეგნობა; აქვს გრძელი თმა, აცვია მწვანე პერანგი, უკეთია სათვალე სხვა.*

მოსწავლის წიგნი. გვ. 10 10

აქტივობა 1. ადგილის/მიმართულების გამომხატველი ლექსიკის გახსენება

1. გამოიყვანეთ 4-5 მოსწავლე. დააყენეთ ერთმანეთის უკან სიმაღლის მიხედვით, რომ კარგად ჩანდნენ და დასვით კითხვები: *ვინ არის ნიკოს წინ? ვინ არის ნიკოს უკან? ვინ არის სანდროს წინ?* და ასე შემდეგ.
2. მოსწავლეები დააყენეთ ერთმანეთის გვერდით და დასვით კითხვები: *ვინ არის დიტოს მარჯვნივ? მარცხნივ* და ასე შემდეგ.
3. დააყენეთ მოსწავლეები შუა რიგებში და შეასრულებინეთ ინსტრუქციები: *ერთი ნაბიჯი წინ ! ერთი ნაბიჯი მარცხნივ! ერთი ნაბიჯი მარჯვნივ! უკან!* თქვით არეული თანამიმდევრობით და მოუმატეთ ტემპს. შესაძლებელია გუნდური შეჯიბრების მოწყობაც.
4. გამოიყენეთ რესურსად საკლასო ოთახში განლაგებული ნივთები, ავეჯი: *რა დგას მაგიდის უკან? რა კიდია დაფის მარჯვნივ* და ასე შემდეგ.
5. ვინ სად ზის: *ვინ ზის თინას წინ/ უკან? ვინ ზის ლელას მარჯვნივ? მარცხნივ?*
6. <u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება**</u> - წაიკითხე, დააკვირდი და მიუთითე.
7. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 40. №1. დააკავშირე ერთმანეთთან.
8. 🎧 track 9 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 40. №2. მოისმინე და მიუთითე ისრით. დაიცავით მოსასმენ სავარჯიშოზე მუშაო-

ბის ეტაპები: ა) სანიმუშოდ სავარჯიშოს ერთი-ორი პუნქტის შესრულება; ბ) დამოუკიდებლად მუშაობა, გ) თავიდან მოსმენა შემოწმების მიზნით; ე) ერთობლივად (მოსწავლეების თანამონაწილეობით) შეამოწმეთ პასუხები (იხ. მასწ. წიგნი, 5.1).

მოსასმენი რეპლიკები:

• *1. რეზო მოდის უკან. 2. გია მიდის მარცხნივ. 3. მზია მიდის მარჯვნივ. 4. ია მიდის წინ. 5. ლია მოდის უკან. 6. დათო მიდის მარჯვნივ. 7. ბომბორა მიდის წინ.*

9. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 40. №3. დააკვირდი და ჩაწერე, **კი** ან **არა**. მოსწავლეები დავალებას მეორე სავარჯიშოს ცხრილზე დაფუძნებით ასრულებენ.

10. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 41. №4. მოძებნე სურათზე. დაასახელე, სად არიან და ჩაწერე. სავარჯიშოს შესრულებამდე, მოსწავლეებს დაუსვით კითხვები პერსონაჟთა ადგილმდებარეობის შესახებ.

აქტივობა 2. რიცხვების გახსენება 10-დან 20-მდე

1. <u>**სრულდება წიგნის მეორე დავალება**</u> - გაიხსენე რიცხვები. დააკვირდი და დაასახელე.
2. კლასს ყოფთ ორ ჯგუფად. თითო ჯგუფიდან გამოგყავთ ორ-ორი წყვილი. ასახელებთ რიცხვს, მეწყვილეებმა თითებით უნდა აჩვენონ შესაბამისი რაოდენობა. გუნდის წევრები ეხმარებიან მეწყვილეებს: თვლიან, უსწორებენ შეცდომებს. იგივე თამაში შეიძლება ფანქრების გამოყენებითაც.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 41. №5.



წაიკითხე და შეავსე.

4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 42. №1. შეადგინე სიტყვა. № 2. დაასახელე და ჩაწერე სიტყვიერად. № 3. გაანაწილე სწორად.

აქტივობა 3. კითხვა-გაგება

1. <u>**სრულდება წიგნის მესამე დავალება**</u> - წაიკითხე, მოძებნე სურათზე და დაასახელე, ვინ არის. დაიცავით საკითხავ ტექსტებზე მუშაობის ეტაპები: ა) სანიმუშოდ სავარჯიშოს ერთ-ორ პუნქტს ასრულებთ დაფაზე. ბ) აცდით მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობას. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად სვამთ მათ, ვისაც კითხვა უჭირს და ეხმარებით. გ) სამუშაოს შედეგებს დაფასთან ამოწმებთ. შემოწმების პროცესში აუცილებლად ჩართეთ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც დაეხმარეთ.
2. გაახსენეთ მოსწავლეებს ბომბორას პარკის გასართობები. თუ მათ მე-2 დონე არ გაუვლიათ, დაფაზე დაწერეთ და აუხსენით შემდეგი სიტყვები: *წიგნის მაღაზია, ნაყინის სახლი, სიცილის ოთახი, კარუსელი.* იკითხეთ: *რა არის წიგნების მაღაზიაში? რა არის ნაყინის სახლში? რა არის სიცილის ოთახში? დიდი სარკეები. რას აკეთებს კარუსელი? ტრიალებს. (თუკი გაქვთ მეორე დონის მოსწავლის წიგნის ერთი ეგზემპლარი, აჩვენეთ მოსწავლეებს ბომბორას პარკი).*
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 43. №4. წაიკითხე და უპასუხე. № 5. შეარჩიე და ჩასვი.

აქტივობა 4. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 43. № 6. წაიკითხე და დააკავშირე. გვ. 44, № 1. შეადგინე წინადადებები.

მიზანი: ლექსიკის გამეორება-გახსენება, მოსმენა-გაგება, წერა, ადგილმდებარეობის გამოხატვა, კითხვა-გაგება, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე.

ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები: *მარჯვნივ/მარცხნივ, წინ/უკან, რიცხვები 10-დან 20-მდე.*

მოსწავლის წიგნი. გვ. 11

11

აქტივობა 1. ადამიანის გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკის გახსენება

1. მოსწავლეები აკვირდებიან წიგნის პირველი დავალების სურათს. აუხსენით მათ, რომ ეს არის სიცილის ოთახი. ეკითხეთ: *რა არის ამ ოთახში? როგორია დათო სარკეში? როგორია დათო სინამდვილეში? როგორია ლია სარკეში? როგორია ლია სინამდვილეში?*
2. track 10 **<u>სრულდება წიგნის მეოთხე დავალება</u>** - მოისმინე და გამოიცანი, ვინ არის. ისმენენ ცალ-ცალკე რეპლიკებს და ასახელებენ სათანადო პერსონაჟს.
3. მოსასმენი ტექსტი
4. <u>(ია)</u> - ნახე, ნახე, როგორი დაბალი და მსუქანია!
5. <u>(ლია)</u> - ნახე, ერთი, როგორი გამხდარი და მაღალია! რა სასაცილო კისერი აქვს?
6. სრულდება რვ. სავ. გვ. 44, №2. გაიხსენე და ჩაწერე ცხრილი. სავარჯიშოს შესრულებამდე, გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება ცხრილის მონაცემებზე.
7. სრულდება რვ. სავ. გვ. 44. № 3. დააკვირდი და ჩაწერე ცხრილში.
8. სრულდება რვ. სავ. გვ. 45. № 4. დააკავშირე ერთმანეთთან. № 5. მიუწერე საპირისპირო სიტყვა და წაიკითხე. № 6. თქვი და დაწერე სურათის მიხედვით; როგორი თმა აქვს. № 7. თქვი და დაწერე სურათის მიხედვით: როგორია?



აქტივობა 2. კითხვა-გაგება, კითხვის მოქნილობა

1. **<u>სრულდება წიგნის მეხუთე დავალება</u>** - წაიკითხე და დააკავშირე შესაბამის სურათთან. დაიცავით საკითხავ სავარჯიშოებზე მუშაობის პრინციპი: ა) სანიმუშოდ სავარჯიშოს ერთ-ორ პუნქტს ასრულებთ დაფაზე. ბ) აცდით მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობას. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად სვამთ მათ, ვისაც კითხვა უჭირს და ეხმარებით. გ) სამუშაოს შედეგებს დაფასთან ამოწმებთ. შემოწმების პროცესში აუცილებლად ჩართეთ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც დაეხმარეთ (დაწვრილებით იხ. მასწ. წიგნი, 5.5).
2. გაავარჯიშეთ მოსწავლეები ტექსტის ხმამაღლა წაკითხვაში.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 46, № 1. დააკავშირე.
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 46, №2. დაწერე ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე.

აქტივობა 3. ადამიანის გარეგნობის აღწერა

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 46, №3. დააკვირდი და ჩაწერე, როგორია და რა აქვს. გვ. 47, № 4. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.
2. **გამოცნობა კითხვა- პასუხით -** მოსწავლეთა სახელებს წერთ ფურცლებზე. კენჭის ყრის შემდეგ პირველი მოსწავლე იღებს ფურცელს. თქვენ სვამთ შეკითხვებს, მოსწავლე პასუხობს, დანარჩენები უნდა მიხვდნენ, ვისი სახელი წერია ფურცელზე. იმავე ტიპის კითხვებს უსვამთ: *გოგოა თუ ბიჭია? გრძელი თმა აქვს თუ მოკლე? რა ფერის შარვალი/კაბა აცვია?* და *ასე შემდეგ.* ამ აქტივობას რამდენჯერმე გამოიყენებთ.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 47, №5. დაუსვით ეს შეკითხვები ერთმანეთს. ჩაიფიქრეთ ნაცნობი პერსონაჟი ან თქვენივე კლასელი. №6. დაახასიათე ნაცნობი პერსონაჟი ან კლასელი. აუცილებელია ამ პროცესის მოდელირება, ანუ მისი გაცოცხლება მოსწავლეთა თვალწინ და ჩვენება იმისა, თუ როგორ უნდა წარმართონ ის. მოდელირებისათვის:
   ა) დაფაზე დაწერეთ სავარჯიშოს მონაცემები - ყუთში ჩაწერილი კონსტრუქციები.
   ბ) დაასახელეთ და დაფაზე დაწერეთ თქვენ მიერ შერჩეული პერსონაჟი.

გ) აღწერეთ პერსონაჟი დაფაზე დაწერილი კონსტრუქციების გამოყენებით. გამოყენებისას მიუთითეთ შესაბამის ენობრივ კონსტრუქციაზე, რათა აჩვენოთ მოსწავლეებს, როგორ ხდება მათი გამოყენება.

დ) გამოიყვანეთ დაფასთან მოსწავლე. დაეხმარეთ მას იმავე ოპერაციის განხორციელებაში: პერსონაჟის შერჩევა და მისი აღწერა დაფაზე მოცემული მონაცემების გამოყენებით.

მიზანი: ლექსიკის გახსენება, ადამიანის გარეგნობის აღწერა, კითხვა-გაგება, კითხვის მოქნილობა, წერა.



მხიარული ამბები

4. მოისმინე და გამოიცანი, ვინ არის. მიუთითე სურათზე.

5. წაიკითხე და დაიკავშირე შესაბამის სურათთან. დაასახელე, ვინ არის.

ჩიპოლინი

ა)

1. პატარა გოგოა და ცხოვრობს მარტო. აცვია კრიალა წინდები და დიდი შალი ფეხსაცმელები. აქვს წითელი თმა. აქვს ცხენი და მაიმუნი.

ბომბონა

ბ)

2. დიასალი და მსუქანია. უყვარს ნამცხვრები და კანფეტები. ცხოვრობს სასლის სახურავზე. დიფერენციას და ძალიან მხიარულია.

კარლსონი

გ)

3. პატარა ხიხვის ბიჭია და ცხოვრობს ზღაპრების ქვეყანაში. მისი მეგობრები ანიან: ბოხუი მეასალე გოგონა, ფეხსაცმელების წყვილად ფურრიტნი, მუსიკის მასწავლებელი მსხალა და პატარა ალუმელაკო.

პეპი

დ)

4. დიასალი და მსუქანია. არის ძალიან ეკეთილი. უყვარს ბავშვები და მათთან თამაში. ცხოვრობს პარლაში.

მოსწავლის წიგნი. გვ. 12-13 (12) (13)

აქტივობა 1. სპორტულ თამაშებთან დაკავშირებული ლექსიკის სწავლა

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 48. №1. წაიკითხე და ჩაწერე, რომელია. სავარჯიშოს შესრულებამდე, მოსწავლეები ჯერ სურათებს ათვალიერებენ, შემდეგ კითხულობენ ყუთში მოცემულ სიტყვებს.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 48. №2. წაიკითხე და შემოხაზე, რა აქვს საერთო ამ სიტყვებს. გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება სპორტის სახეობების აღმნიშვნელი სიტყვების წარმოებაზე და დაასახელებინეთ, რა სიტყვებისაგან შედგება თითოეული მათგანი. წესით, მოსწავლეები ყველა სიტყვას უნდა იცნობდნენ, გარდა ჩოგანისა, რომელიც შეგიძლიათ აჩვენოთ წიგნის პირველი დავალების სურათებზე.
3. პარალელის გავლება მშობლიურ ენასთან - ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა ჰქვია სპორტის ამ სახეობებს მათ მშობლიურ ენაზე.
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 49. №3. მოძებნე და შემოხაზე ეს თამაშები ცხრილში.



ც	ხ	ე	ნ	ბ	უ	რ	თ	ი	
ფ	ე	ხ	ბ	უ	რ	თ	ი		
წ	ლ		მ						
ყ	ბ	ჩ	ო	გ	ბ	უ	რ	თ	ი
ა	უ		ტ						
ლ	რ		ო						
ბ	თ		ბ						
უ	ი		უ						
რ			რ						
თ			თ						
ი			ი						
კ	ა	ლ	ა	თ	ბ	უ	რ	თ	ი

აქტივობა 2. ინტერაქცია სპორტის სახეობებზე

1. მოსწავლეები პასუხობენ თქვენს შეკითხვებს:
   ა) *ვინ <u>უყურებს</u> ტელევიზორში ფეხბურთს? კალათბურთს? ხელბურთს?* და ასე შემდეგ.
   ბ) *ვინ <u>თამაშობს</u> ფეხბურთს? ვინ თამაშობს კალათბურთს? ჩოგბურთს?* და ასე შემდეგ.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 49. № 4. გაანაწილე ცხრილში, რომელია შენთვის ნაცნობი თამაში და რომელი - არა. ჩამოათვლევინეთ მოსწავლეებს, რომელი სახეობა/სახეობები გაუგიათ, უნახავთ.
3. მოსწავლეები კვლავ პასუხობენ თქვენს შეკითხვებს: - *ვის უყვარს კალათბურთი? ფეხბურთი?* და ასე შემდეგ.

აქტივობა 3. მოსმენა-გაგება, ინტერაქცია

1. track 11 სრულდება რვ. სავ. გვ. 50. № 1. მოისმინე და შეავსე ცხრილი: ვის რა უყვარს? მოსასმენი ტექსტი, მე-2 დონის ტექსტებთან შედარებით, შეიცავს უფრო მეტ ინფორმაციას, რომლის ერთბაშად აღქმა გაჭირდება. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა კარგად გაიგონ, რომ მოცემულ ეტაპზე მხოლოდ იმის გაგება მოეთხოვებათ, თუ ვის რა უყვარს **(დაწვრილებით იხ. მასწ. წიგნი, 5.4)**. დაიცავით მოსასმენ სავარჯიშოზე მუშაობის ეტაპები: ა) ნიმუშის დაფაზე შესრულება; ბ) დამოუკიდებლად მუშაობა; გ) ხელმეორედ მოსმენა ინფორმაციის შევსება-გასწორების მიზნით;

ე) პასუხების ერთობლივად შემოწმება. შემოწმებისას, საჭიროებისამებრ, კვლავ მოასმენინეთ ტექსტი მოსწავლეებს **(იხ. მასწ.** წიგნი 5.1).

<u>მოსასმენი ტექსტი:</u>

1. გია: *ჩემი საყვარელი სპორტია ფეხბურთი, კალათბურთი და წყალბურთი. არ მიყვარს ხელბურთი. ვთამაშობ მარტო ფეხბურთს და კალათბურთს.*

2. ლია: *მე მიყვარს კალათბურთი და ხელბურთი. კალათბურთი ლამაზი თამაშია. მე არ ვთამაშობ კალათბურთს. ვთამაშობ ხელბურთს. არ მიყვარს ფეხბურთი და ჩოგბურთი.*

3. დათო: *მე ვთამაშობ ფეხბურთს. ვარ მეკარე. კიდევ მიყვარს ხელბურთი და ჩოგბურთი. ჩოგბურთს ცუდად ვთამაშობ. არ მიყვარს წყალბურთი.*

4. რეზო: *მე ძალიან მიყვარს სპორტი. მიყვარს კალათბურთიც, წყალბურთიც, ჩოგბურთიც და ფეხბურთიც. ყველაზე ძალიან ფეხბურთი და წყალბურთი მიყვარს. არ ვთამაშობ მარტო წყალბურთს და ჩოგბურთს. არ მიყვარს მარტო ხელბურთი.*

5. მზია: *მიყვარს ჩოგბურთი. ვთამაშობ ჩოგბურთსაც და ხელბურთსაც. არ მიყვარს ფეხბურთი.*

2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 50. № 2. ცხრილის მიხედვით, შეავსე წინადადებები და წაიკითხე. რამდენადაც ეს სავარჯიშო ეფუძნება წინა სავარჯიშოს ცხრილს, მის შესრულებამდე შეამოწმეთ, რომ ცხრილი ყველას სწორად ჰქონდეს შევსებული ან გადაიტანეთ იგი (ცხრილი) დაფაზე.

3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 50. №3. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.



სავარჯიშოს შესრულებამდე გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია **(იხ. მასწ. წიგნი, 5.5**).

4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 51. № 4. ჩაწერე, შენ რა გიყვარს და რა არ გიყვარს და წაიკითხე.

5. 🎧 track 11 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 52. № 5. მოისმინე თავიდან და მონიშნე ცხრილში, ვინ რისი თამაში იცის (სავარჯიშოს შესრულების პროცედურაზე იხ. ამავე აქტივობის პირველი პუნქტი).

6. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 51. № 6. ჩაწერე, ვინ რას თამაშობს და წაიკითხე.

7. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 51. №7. დაუსვით ერთმანეთს კითხვები და უპასუხეთ. სავარჯიშოს შესრულებამდე გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია (იხ. **მასწ. წიგნი,** 5.5).

8. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 52. №1. ჩაწერე, შენ რას თამაშობ და წაიკითხე.

აქტივობა 4. ლექსიკის სწავლა

📖 სრულდება რვეულის შემდეგი სავარჯიშოები:

1. გვ. 52. № 2. წაიკითხე და დააკავშირე ნახატთან.
2. გვ. 52. №3. დააკავშირე ერთმანეთთან.
3. გვ. 52. № 4. დააკავშირე ერთმანეთთან, გადაწერე და წაიკითხე.

აქტივობა 5. ლექსიკის სწავლა, მომზადება ტექსტის წასაკითხად

მომზადება საკითხავი დავალების შესასრულებლად:

1. ტექსტის ირგვლივ არსებული (კონტექსტუალური) ელემენტების დამუშავება. მოსწავლეები:
   ა) აკვირდებიან წიგნის პირველი დავალების სურათებს, ასახელებენ ცალკეულ სურათზე გამოსახულ სპორტის სახეობას.
   ბ) სურათებზე დაყრდნობით ასწავლეთ ახალი ლექსიკური ერთეულები *(სტადიონი, კორტი, ფარი, ჩოგანი, ბადე, აუზი).*
   გ) შეკითხვების გამოყენებით გადაათამაშეთ ეს ლექსიკური ერთეულები: - *რომელ სურათზე არის ფარი? რამდენი ფარია? რომელ სურათებზეა სტადიონი? რას თამაშობენ ამ სტადიონზე? რომელია უფრო დიდი? რომელ სურათზეა ბადე? აუზი? რას თამაშობენ აუზში? რომელ სურათზეა კორტი? რას თამაშობენ კორტზე?*
2. ტექსტის გაგებისათვის აუცილებელი ლექსიკის დამუშავება:
   ა) გუნდი - დაასახელებინეთ მოსწავ-

ლეებს საყვარელი ფეხბურთის გუნდი. დაწერეთ ორი მათგანის სახელი დაფაზე. განმარტეთ და დაწერეთ: *ფეხბურთის გუნდი*. ჰკითხეთ მოსწავლეებს: *რამდენი გუნდი თამაშობს ფეხბურთს? რამდენი ფეხბურთელია გუნდში?* (თუ არ იციან, თქვენ უთხარით). დაწერეთ დაფაზე: *ფეხბურთის გუნდში არის 12 წევრი. რამდენი კალათბურთელია კალათბურთის გუნდში?* იგივე იკითხეთ ხელბურთზე და მონაცემები იმავენაირად დაწერეთ დაფაზე: *კალათბურთის გუნდში არის 5 წევრი. ხელბურთის გუნდში არის 7 წევრი.*

ბ) წევრი - წაუკითხეთ მოსწავლეებს თქვენ მიერ დაწერილი წინადადებები. შემდეგ იკითხეთ: -*რამდენი წევრია კალათბურთის გუნდში?* კლასი დაყავით სამ გუნდად, დაარქვით გუნდებს სახელები. გამოიყვანეთ გუნდები რიგრიგობით და ჰკითხეთ მოსწავლეებს: - *ამ გუნდში რამდენი წევრია?*

გ) სპორტული დარბაზი: მოსწავლეებს აჩვენეთ სპორტული დარბაზის სურათი და თქვით: *ეს არის სპორტული დარბაზი. აქ თამაშობენ კალათბურთს. აქ არის სათამაშო მოედანი.* შემდეგ იკითხეთ: -*სად არის ჩვენი სათამაშო მოედანი, ეზოში თუ დარბაზში? სად არის ფეხბურთის სათამაშო მოედანი, მინდორში თუ დარბაზში? ცხენბურთის სათამაშო მოედანი?*

3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 53. № 5. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან. ჩაწერე, რომელი სპორტული თამაშია. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ხმამაღლა წააკითხეთ წინადადებები.



4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 53. №6. წაიკითხე და გამოიცანი, რა თამაშია. ამ სავარჯიშოს შესასრულებლად მოსწავლეები იყენებენ წიგნში წარმოდგენილ სურათებს. გვ. 53. №7. დააკავშირე ერთმანეთთან.

5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 54. №1. ჩაწერე, რა სპორტია. სავარჯიშოს დასრულებისას გამოიყვანეთ მოსწავლეები დაფასთან და დააწერინეთ პასუხები. თუ შეცდომით დაწერენ, გაასწორეთ მთელი კლასის მონაწილეობით.

6. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 54. №2. აირჩიე და ჩაწერე. დაიცავით კომპლექსურ სავარჯიშოებზე მუშაობის ეტაპები: ა) სანიმუშოდ სავარჯიშოს ერთი პუნქტის შესრულება დაფაზე; ბ) დამოუკიდებლად მუშაობა; გ) რიგებში სიარული და იმ მოსწავლეთა დახმარება, რომელთაც უჭირთ დავალების შესრულება; ე) პასუხების ერთობლივად შემოწმება.

აქტივობა 6. ინფორმაციული ტექსტის წაკითხვა-გაგება

1. მოსწავლეებმა თემის ძირითად სურათზე წარმოდგენილი ტექსტები უნდა დააკავშირონ შესაბამის სურათებთან. ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ტექსტების ამომწურავად წაკითხვა და გაგება (იხ. მასწ. წიგნი, 5. მეთოდიკური რეკომენდაციები, 6). სანიმუშოდ წაიკითხეთ ხმამაღლა პირველი ტექსტი და ჰკითხეთ მოსწავლეებს: - *რომელი სპორტული თამაშია? რომელ სურათზეა ეს თამაში?* ამის შემდეგ გააგრძელებთ მუშაობას ჩვეული წესით: ა) აცდით მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობას. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად სვამთ იმ მოსწავლეებს, რომელთაც კითხვა უძნელდებათ და ეხმარებით მათ. დ) სამუშაოს შედეგებს დაფასთან ამოწმებთ (დაწვრილებით იხ. მასწ. წიგნი, 5, 5).
2. მუშავდება პირველი ტექსტი - დაფაზე წერთ ქვემოთ მოცემულ წინადადებებს. ტექსტის წაკითხვის საფუძველზე, მოსწავლეებმა უნდა გაარკვიონ, სწორია თუ არა:
   ა) კალათბურთის გუნდში ხუთი წევრია. კი/არა
   ბ) კალათბურთს სტადიონზე თამაშობენ. კი/არა
   გ) კალათბურთის მოედანი დიდია. კი/არა
   დ) ბურთს ხელით თამაშობენ. კი/არა
   ე) ფარს აქვს კალათა. კი/არა
3. პასუხები მოწმდება მთელი კლასის მონაწილეობით.
4. მუშავდება მეორე ტექსტი - დაფაზე

წერთ ქვემოთ მოცემულ ტესტურ კითხვებს არჩევითი პასუხებით. ტექსტის წაკითხვის საფუძველზე, მოსწავლეებმა უნდა გაარკვიონ, რომელია სწორი პასუხი. წყვილები ერთად მუშაობენ და რვეულში ინიშნავენ სწორ პასუხს. ბოლოს, პასუხები დაფაზე მოწმდება მთელი კლასის მონაწილეობით.

ა) რამდენი თამაშობს?
- 5
- 7
- 6
- 11
- 2

ბ) სად თამაშობენ ბურთს:
- წყალში
- მინდორზე
- სპორტულ დარბაზში
- მიწაზე

გ) რა ჰქვია სათამაშო მოედანს?
- აუზი
- სტადიონი
- დარბაზი
- კორტი

დ) რა არის მოედანზე?
- ფარი
- კარი
- ბადე

ე) რით თამაშობენ ბურთს:
- ჩოგნით
- ფეხით
- ცხენით
- ხელით
- მოტოციკლეტით

5. ამავე პრინციპით მუშავდება დანარჩენი



ტექსტებიც. იყენებთ დაფაზე დაწერილ იმავე ტესტურ კითხვებს - უბრალოდ, ახალ ტექსტზე გადასვლისას უნდა წაშალოთ მონიშნული პასუხები.

6. მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს და ასახელებენ, რას აქვს ბადე *(კარს, ჩოგანს, კალათას)*.

მიზანი: ახალი ლექსიკის სწავლა, დიალოგის მოსმენა-გაგება, ინტერაქცია სპორტის სახეობებზე, ინფორმაციული ტექსტის წაკითხვა-გაგება.

ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები: სპორტული დარბაზი, სტადიონი, სათამაშო მოედანი, გუნდი, ჩოგანი, ფარი, ფეხბურთი, კალათბურთი, ცხენბურთი, მოტობურთი, ჩოგბურთი. წევრი, ფეხბურთის/კალათბურთის/ხელბურთის გუნდი.

მოსწავლის წიგნი. გვ. 14

14

აქტივობა 1. ლექსიკის გამეორება/სწავლა, ინტერაქცია

1. <u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება**</u> - მოსწავლეები აკვირდებიან და ასახელებენ სურათზე გამოსახულ ცხოველებს.
2. თუ მოსწავლეებმა კარგად არ იციან ცხოველთა სახელები, შეასრულეთ შემდეგი სავარჯიშოები: დაასახელეთ ცხოველები არეული თანამიმდევრობით. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი სურათის ნომერი. შემდეგ პირიქით, დაასახელეთ სურათის ნომერი, მოსწავლეები ასახელებენ შესაბამის სურათზე გამოსახულ ცხოველს.
3. **თამაში** "გამოიცანი, რა ვარ" - ქაღალდებზე წერთ სხვადასხვა ცხოველის სახელებს. გამოგყავთ ერთი მოსწავლე და აძლევთ მას ერთ-ერთ ქაღალდს (სხვა მოსწავლეებმა არ უნდა დაინახონ, რა წერია ქაღალდზე). მოსწავლემ უნდა განასახიეროს ცხოველი, რომლის სახელიც წერია ქაღალდზე. თანაკლასელებმა უნდა გამოიცნონ, რომელი ცხოველია განსახიერებული და დაასახელონ იგი. შესაძლებელია კლასის დაყოფა ჯგუფებად და წარწერებიანი ქაღალდების ჯგუფებში განაწილება. ამა თუ იმ ჯგუფის წევრებმა რიგრიგობით უნდა განასახიერონ ქაღალდზე მითითებული ცხოველები. სხვა ჯგუფებმა უნდა ამოიცნონ და დაასახელონ განსახიერებული ცხოველები.

აქტივობა 2. ცხოველების აღწერა

1. დასვით კითხვები წიგნის პირველ დავალებაში წარმოდგენილი ცხოველების გარეგნობის შესახებ: *რომელს აქვს გრძელი კისერი? რომელს აქვს მოკლე ფეხები? რომელს აქვს გრძელი/მოკლე კუდი/ყურები? რომელს აქვს ხორთუმი? (თუ მოსწავლეებმა არ იციან ეს სიტყვა, ასწავლეთ იგი). რომელს აქვს დიდი/პატარა თავი? რომელს აქვს ფაფარი?*
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 54, № 3. წაიკითხე და ჩაწერე, რომელია. გვ. 55. №4. დაასახელე და ჩაწერე, რომელია.
3. <u>**თამაში „გამოიცანი“**</u> - ერთ-ერთ მოსწავლეს ზურგზე დაუმაგრებთ ქაღალდზე დაწერილი ცხოველის სახელს. თანაკლასელებმა მინიშნებებით უნდა მიახვედრონ, რომელი ცხოველის სახელი წერია ქაღალდზე. მაგ., *აქვს გრძელი ყურები* და ასე შემდეგ. შეიძლება გუნდებს შორის შეჯიბრის მოწყობაც - თითოეულმა გუნდმა უნდა მიახვედროს თავისი წევრი, რომელი ცხოველის სახელი აქვს ზურგზე მიმაგრებული. წინასწარ უნდა განისაზღვროს თამაშის პირობებიც, კერძოდ, რამდენი მინიშნების მიცემის უფლება აქვს გუნდს, ან რამდენ თქმაში უნდა ამოიცნოს ცხოველი მოსწავლემ, რომელსაც ზურგზე ქაღალდი აქვს მიმაგრებული.
4. წიგნის პირველი დავალების სურათზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ თქვენს კითხვებს: *რომელია კურდღელზე პატარა ცხოველი? რომელია ლომზე დიდი ცხოველი? რომელია სპილოზე მაღალი ცხოველი?* და სხვა.
5. სრულდება რვ. სავ. გვ. 55, № 5. დააკ-



ვირდი, დაასახელე და ჩაწერე, რომელია.

6. სრულდება რვ. სავ. გვ. 55, № 6. იპოვე შეცდომა და წაიკითხე.

აქტივობა 3. მოსმენა-გაგება, ინტერაქცია

1. საჭირო ლექსიკის გასახსენებლად სრულდება რვ. სავ. გვ. 56, № 1. იპოვე სურათზე და ჩაწერე შესაბამისი ციფრი.
2. track 12 <u>**სრულდება წიგნის მეორე დავალება -**</u> მოისმინე და მიუთითე, რომელი ცხოველები თამაშობენ ფეხბურთს. გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მათ მხოლოდ ლექსში დასახელებული ცხოველების ამოცნობა ევალებათ. მოსმენამდე მოსწავლეებს კიდევ ერთხელ დაასახელებინეთ წიგნის პირველი დავალების სურათებზე გამოსახული ცხოველები.

<u>*მოსასმენი ტექსტი:*</u>

”მხიარული ფეხბურთელები”

(შემოკლებით)
უფეხბურთოდ ცხოვრება
ულრან ტყეში ძნელია,
მეკარეა მელია,
სპილო თავდამსხმელია.
ყურნაცარა დახტუნავს,
ოფლი გასდის წურწურით,
ბურთს თამაშობს დათუნაც,
უკან დასდევს ძუნძულით.
გამოვარდა ჟირაფი,
ატყდა აურზაური,
ჭრელი ბურთი კარისკენ
გააგზავნა თავურით.
კუმ გამოჰყო თავი და
ისიც მინდვრად გავიდა:
-მეც მსურს ბურთის თამაში!-
უცებ გაჩნდა ციყვუნა...
ჟირაფს თავზე შეახტა,
არ დაყოვნდა წუთით,
ძირს ისკუპა და კურდღელს
გამოსტაცა ბურთი.
ფეხბურთელი კარამდე
მიაცილეს ტაშით,
ბურთი განზე დარჩა და
ციყვი შეხტა კარში.

გივი ჭიჭინაძე

3. სრულდება რვ. სავ. გვ. 56, № 2. დააკვირდი სურათს. წაიკითხე და მონიშნე სწორი ვარიანტი. ნიმუშის მიცემის შემდეგ აცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა. პასუხები შეამოწმეთ მთელი კლასის მონაწილეობით.
4. მესამე დავალების სურათზე დაყრდნობით, დაუსვით მოსწავლეებს ისეთი ტიპის შეკითხვები, რომლებიც დაეხმარება მათ ლექსის შინაარსის გაგებაში (მაგ.,

რომელ ცხოველს ჩამოსდის ოფლი წურწურით? რომელმა გააგზავნა ბურთი თავით? და სხვა).

აქტივობა 4. კითხვა-გაგება

1. **<u>სრულდება წიგნის მესამე დავალება</u>** - წაიკითხე წინადადებები და მოძებნე სურათზე. დაასახელე შესაბამისი რიცხვები.
2. **<u>სრულდება წიგნის მეოთხე დავალება</u>** - წაიკითხე ლექსი, დააკვირდი სურათს და დაასახელე, რომელია.

აქტივობა 5. ლექსის დასწავლა.

1. შეასწავლეთ მოსწავლეებს ლექსი „მხიარული ფეხბურთელები“. ლექსის თქმისას მაქსიმალურად გამოიყენეთ მიმიკა-ჟესტიკულაცია. გთავაზობთ ლექსის სწავლების სახალისო სტრატეგიებს: კლასი გაყავით ორ ჯგუფად. ლექსის მონაკვეთი, სხვადახვა ვარიაციით, ათქმევინეთ ჯერ ერთ ჯგუფს, შემდეგ მეორეს (ეს ბავშვებს ძალიან ახალისებს):

- ხმის ტემბრის დაბოხებით ან დაწვრილებით;
- ჩურჩულით, ხმამაღლა;
- ნელი/ჩქარი ტემპით;
- ამბობთ სტრიქონის დასაწყისს, მოსწავლე ასრულებს სტრიქონს/ლექსს;
- ბოლოს ყველა ერთად იმეორებს ლექსს.

მიზნები: ლექსიკის სწავლა, ცხოველების აღწერა, მოსმენა-გაგება, კითხვა-გაგება, ლექსის დასწავლა.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: აქვს გრძელი კისერი და პატარა თავი, აქვს გრძელი/მოკლე ყურები და სხვა.



მოსწავლის წიგნი. გვ. 15 15

აქტივობა 1. რიგობითი რიცხვითი სახელების აღქმა-გაგება

1. რიგობითი რიცხვითი სახელების ასახსნელად მიმართეთ შემდეგ სტრატეგიას: გამოიყვანეთ ხუთი მოსწავლე, დაამწკრივეთ ისინი ერთმანეთის უკან და გადაითვალეთ შემდეგნაირად: *თამრიკო არის პირველი, ნიკო არის მეორე, თინა არის მესამე* და ასე შემდეგ. შემდეგ მოსწავლეებს გაამეორებინებთ რიგობით სახელებს პირველიდან ხუთამდე, თან მიუთითებთ შესაბამის მოსწავლეზე.
2. დასვამთ შეკითხვებს (ხუთი მოსწავლე კვლავ ჩამწკრივებულია): *ვინ არის მესამე? ვინ არის მეოთხე?* მისთ. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი თანაკლასელი (რიგში მესამე/მეოთხე და ა.შ.).
3. გამოიყვანეთ ათი სხვა მოსწავლე და შეასრულეთ იმავე ტიპის სავარჯიშო.
4. გადაათამაშეთ რიგობითი რიცხვითი სახელები მერხების გამოყენებით, მაგ., *ვინ ზის პირველ მერხზე? მეორე მერხზე?* და ა.შ.
5. ყველას ერთად გაამეორებინებთ რიგობით რიცხვით სახელებს პირველიდან მეათის ჩათვლით.

აქტივობა 2. რიგობითი რიცხვითი სახელების ათვისება

1. track 13 **<u>სრულდება მოსწავლის წიგნის მეხუთე დავალება</u>** - მოისმინე, წაიკითხე და გაიმეორე. თავდაპირველად დაასახელებინეთ მოსწავლეებს სურათზე გამოხატული ცხოველების სახელები. შემდეგ შეასრულეთ დავალება. დაასახელებინეთ, რიგში მერამდენეა ესა თუ ის ცხოველი, მაგ.: *ჟირაფი არის პირველი, სპილო არის მეორე* და ასე შემდეგ.
2. დაასახელეთ, რიგში მერამდენეა სურათზე გამოხატული ესა თუ ის ცხოველი (ასახელებთ მხოლოდ რიგობით რიცხვით სახელს), მოსწავლეები დაასახელებენ შესაბამის ცხოველს.
3. მოსწავლეები კითხულობენ და ასახელებენ რიგობით რიცხვით სახელებს.
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 61. № 4. დააკვირდი და მიუწერე.
5. სრულდება რვ. სავ. გვ. 61, № 5. შეავსე ნიმუშის მიხედვით. სავარჯიშოს დამოუკიდებლად შესრულებამდე, გაავარჯიშეთ მოსწავლეები რიგობითი

რიცხვითი სახელების წარმოებაზე დაფის გამოყენებით. დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ, პასუხები დაფაზე შეამოწმეთ.

6. ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვინ რომელ (მერამდენე) მერხზე ზის.
7. სრულდება რვ. სავ. გვ. 62. № 1. წაიკითხე და გადახაზე ზედმეტი. № 2. წაიკითხე და შეავსე. № 3. დათვალე და ჩაწერე.

აქტივობა 3. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. **<u>სრულდება წიგნის მეექვსე დავალება</u>** - წააკითხეთ მოსწავლეებს სურათების ქვემოთ წარმოდგენილი წინადადებები. შემდეგ დასვით კითხვები იმავე თემატიკაზე და მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მოსწავლეებმა ბრუნვის სწორი ფორმები გამოიყენონ.
2. **სრულდება მეშვიდე დავალება** - მოსწავლეები აკვირდებიან სპორტსმენთა სახელების წარმოების წესს. გაავარჯიშეთ ისინი ამ სახელების წარმოებაში.

აქტივობა 4. კითხვა-გაგება, კითხვის მოქნილობა

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 62. №4. დაკავშირე შეკითხვა-პასუხთან. იცავთ სავარჯიშოზე მუშაობის ეტაპებს, კერძოდ: სანიმუშოდ ერთობლივად (მოსწავლეების თანამონაწილეობით) ასრულებთ სავარჯიშოს ერთ-ორ პუნქტს; დამოუკიდებლად ამუშავებთ მოსწავლეებს; დადიხ-



ართ რიგებში და, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარებით მოსწავლეებს; პასუხებს ერთობლივად ამოწმებთ დაფაზე.

2. სრულდება რვ. სავ. გვ. 63. №5. წაიკითხე და უპასუხე - თავდაპირველად მუშაობთ გაგების უნარზე. შესაბამისად, მოსწავლეები ჯერ გაეცნობიან ტექსტის ქვემოთ დასმულ კითხვას, შემდეგ ტექსტში ეძებენ პასუხს **(იხ. მასწ. წიგნი, 5. მეთოდიკური რეკომენდაციები, 5, 6).** სანიმუშოდ სავარჯიშოს ერთ-ორ პუნქტს ასრულებთ დაფაზე. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად დასხამთ იმ მოსწავლეებს, რომელთაც კითხვა უჭირთ და ეხმარებით. სამუშაოს შედეგები დაფასთან მოწმდება. შემოწმების პროცესში აუცილებლად ჩართეთ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც დაეხმარეთ.
3. ხმამაღალი კითხვა - ტექსტის ხმამაღლა და გამართულად კითხვაში ავარჯიშებთ იმ მოსწავლეებს, რომელთაც ამის საჭიროება აქვთ.

მიზანი: დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, კითხვა-გაგება, ინტერაქცია.

ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები: რიგობითი რიცხვითი სახელები (I-X); რას თამაშობს? -კალათბურთს; სპორტსმენები: ფეხბურთ-ელ-ი, ჩოგბურთელი და სხვა.

მოსწავლის წიგნი. გვ. 16 (16)

აქტივობა 1. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. **<u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u>** - მოძებნე ეს სიტყვები სურათზე და გაიმეორე.
2. მოსწავლეები პასუხობენ თქვენს შეკითხვებს: *რას თამაშობს გია? რას თამაშობენ რეზო და დათო? ვინ არის მსაჯი? რას თამაშობენ ლია და მზია?*
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 57. № 3. მონიშნე, რა არის აქედან შენი სკოლის დარბაზში და დაასახელე.
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 57. № 4. დახატე შენი სკოლის სპორტული დარბაზი და აღწერე (თუ სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, მოსწავლეებმა დახატონ სკოლის ეზოს სათამაშო მოედანი).

აქტივობა 2. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 58. № 1. დაკავშირე ერთმანეთთან. აუხსენით მოსწავლეებს: *ფეხბურთელი თამაშობს ფეხბურთს* (თუ მოგეპოვებათ ფეხბურთელის

სურათი, აჩვენეთ მოსწავლეებს). იკითხეთ: - *რას თამაშობს ხელბურთელი? წყალბურთელი?* და სხვა.

2. სრულდება რვ. სავ. გვ. 58. № 2. დააკვირდი სურათს და ჩაწერე ნიმუშის მიხედვით. ჰკითხეთ მოსწავლეებს: - *რამდენი ცხენბურთელია ცხენბურთის გუნდში? რამდენი კალათბურთელია კალათბურთის გუნდში?* და სხვა.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 59. № 3. მოძებნე ზედმეტი და გადახაზე.
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 59. № 4. დაახარისხე.

აქტივობა 3. კითხვა-გაგება

1. **<u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u>** - წაიკითხე, მოძებნე სურათზე და დაასახელე, ვინ არის. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს: - *რას აკეთებს გია? რეზო? დათო? რას აკეთებენ ია და მზია?*
2. დაუკავშირეთ შეკითხვები მოსწავლეთა პირად გამოცდილებას: *ვინ თამაშობს ფეხბურთს? სად თამაშობთ, სკოლის დარბაზში თუ ეზოში? რამდენი თამაშობთ? ვინ დგას კარში? კიდევ რას თამაშობთ ბურთით?* და სხვა.
3. **<u>სრულდება წიგნის მესამე დავალება</u>** - წაიკითხე და დაასახელე შესაბამისი სურათის ნომერი.



აქტივობა 4. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, წერა

სრულდება რვეულის შემდეგი სავარჯიშოები:

1. გვ. 59. № 5. ნიმუშის მიხედვით შეადგინე წინადადებები.
2. გვ. 60. № 1. შეცვალე ნიმუშის მიხედვით.
3. გვ. 60. № 2. დაასრულე ნიმუშის მიხედვით.
4. გვ. 60. № 3. დაასახელე, ვინ არის და რას თამაშობს.

მიზნები: ინტერაქცია სპორტულ აქტივობებზე, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, კითხვა-გაგება, წერა.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: ფეხბურთი-ფეხბურთელი, კალათბურთი -კალათბურთელი; არტყამს/ისვრის ბურთს, დგას კარში.

მოსწავლის წიგნი. გვ. 17

აქტივობა 1. ადგილმდებარეობის გამოხატვა *(წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ)*.

1. **<u>თამაში "გამოცანა":</u>** სურათზე დაყრდნობით, ამბობთ გამოცანას. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რა არის ჩაფიქრებული. მაგ., *არის მაღალი, დგას კარების მარჯვნივ; არის დაბალი, დგას კარადის წინ; არის პატარა და მრგვალი, დევს საწოლის წინ* და ა.შ.
2. შემდეგ ერთი მოსწავლე ამბობს გამოცანას, რომელიც სხვებმა უნდა გამოიცნონ. შეიძლება კლასი დაყოთ ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს დაეხმაროთ გამოცანის შედგენაში.
3. მოაძებნინეთ მოსწავლეებს, კიდევ რა არის ოთახში, რა დევს მაგიდაზე, ვინ არიან ოთახში, ვისი ოთახია და სხვა. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოსწავლეებს ყურადღება მიაქცევინეთ სათაურზე.
4. **<u>თამაში „რა მახსოვს?"</u>** - მოსწავლეები ხურავენ წიგნებს. ხედვით მეხსიერებაზე დაყრდნობით, იხსენებენ და ასახელებენ, რა დგას ოთახში. შემდეგ თქვენ დაზუსტებთ რაიმე ავეჯის ან საგნის ადგილმდებარეობას, მოსწავლეებმა უნდა თქვან, სად დგას.
5. გამოიყვანეთ 4-5 მოსწავლე. დააყენეთ ისინი ერთმანეთის უკან სიმაღლის მიხედვით, რათა ყველა მათგანი კარგად ჩანდეს და იკითხეთ: *ვინ არის ნიკოს წინ? ვინ არის ნიკოს უკან? ვინ არის სანდროს წინ?* და ასე შემდეგ.
6. დააყენეთ მოსწავლეები ერთმანეთის გვერდით და დასვით კითხვები: *ვინ არის*

დიტოს მარჯვნივ? მარცხნივ? და ასე შემდეგ.

7. დააყენეთ მოსწავლეები შუა რიგებში და შეასრულებინეთ ინსტრუქციები: *ერთი ნაბიჯი წინ! ერთი ნაბიჯი მარცხნივ! ერთი ნაბიჯი მარჯვნივ! უკან!* შემდეგ წარმოთქვით ინსტრუქციები არეული რიგით და მოუმატეთ ტემპს. შეიძლება გუნდური შეჯიბრებების მოწყობა.
8. გამოიყენეთ რესურსად საკლასო ოთახში განლაგებული ნივთები, ავეჯი: *რა დგას მაგიდის უკან? რა კიდია დაფის მარჯვნივ?* და ასე შემდეგ.
9. ვინ სად ზის: *ვინ ზის თინას წინ/ უკან? ვინ ზის ლელას მარჯვნივ? მარცხნივ?*
10. გაავარჯიშეთ მოსწავლეები -ზე, -ში თანდებულების გაგება-გამოყენებაზე. ამისათვის გამოიყენეთ კლასში არსებული რესურსი *(რა არის ჩანთაში? მაგიდაზე? წიგნზე?* და მისთ.).

აქტივობა 2. კითხვა-გაგება

1. რვეულის 63-ე გვერდის მე-6 სავარჯიშოს ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლეებს გააცანით სავარჯიშოს ქვემოთ წარმოდგენილი კითხვები და სქემა „საკლასო ოთახი“.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 63. №6. მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ ტექსტს და ავსებენ წინასწარ განხილულ სქემას. პასუხები მოწმდება მთელი კლასის მონაწილეობით. იგივე მიდგომა გამოიყენეთ მეორე სქემის შესავსებადაც.
3. გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება დასმულ კითხვებზე: *რა დგას? როგორია? რა დევს მაგიდაზე?...*



აქტივობა 3. მარტივი კითხვების დასმა

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 64. №2. დააკვირდი სურათს. წაიკითხე წინადადებები და დასვი შეკითხვები. ჩაწერე შეკითხვები სრულად. მოსწავლეები აკვირდებიან ნახატს, კითხულობენ წინადადებებს. სავარჯიშოს პირველი პუნქტი (1. სად . . .) გადაიტანეთ დაფაზე და სანიმუშოდ შეასრულეთ იგი მოსწავლეებთან ერთად. შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებელად აგრძელებენ მუშაობას. ბოლოს, შეამოწმეთ მოსწავლეთა პასუხები.
2. გაავარჯიშეთ მოსწავლეები კითხვების დასმაში. ამისთვის გამოიყენეთ კლასში არსებული რესურსი (ავეჯი, ნივთები, სხვ.) და შეადგინეთ შესაბამისი წინადადებები. მიაწოდეთ მოსწავლეებს კითხვითი წინადადების დასაწყისი, მათ უნდა დაასრულონ იგი (მაგ., *კარადა დგას ფანჯრის მარჯვნივ. სად ..... ?*).
3. **თამაში 1. “დასვი შეკითხვა “** - კლასს დაყოფთ ჯგუფებად. ჩაიფიქრებთ ამა თუ იმ სასკოლო ავეჯს ან ნივთს. მოსწავლეებმა კითხვების დასმით უნდა ამოიცნონ, რომელი კონკრეტული ნივთი ჩაიფიქრეთ *(სად დგას? . . . სად დევს? როგორია?...)*.
4. **<u>თამაში 2 „დასვი შეკითხვა“</u> -** ჩანთაში ისე ჩადებთ რომელიმე საგანს (ამ თუ იმ სასკოლო ნივთს ან სხვა საგანს, რომელიც ნაცნობი უნდა იყოს მოსწავლეთათვის), რომ მოსწავლეებმა ვერ დაინახონ იგი. შეკითხვების დასმის გზით, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რა დევს ჩანთაში. პასუხს მიიღებს ის მოსწავლე, ვინც სწორად დასვამს შეკითხვას *(რა დევს ჩანთაში?)*. ამ ტიპის სავარჯიშოები თქვენც შეგიძლიათ მოიფიქროთ.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 65. №3. დაუსვით ერთმანეთს ეს შეკითხვები და უპასუხეთ. წინა პუნქტებში აღწერილი მიდგომების მსგავსად ათამაშეთ მოსწავლეები ერთმანეთთან.
6. 📖 სრულდება რვ. სავ გვ. 65. №4. წაიკითხე და შეავსე ტექსტი. №5. დაუსვით ერთმანეთს მსგავსი შეკითხვები თქვენი საკლასო ოთახის გარშემო და უპასუხეთ.

აქტივობა 4. კითხვა-გაგება, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 65. №6. დააკვირდი ინფორმაციას <u>სათამაშო მოედნის</u> შესახებ. №7. შეავსე ტექსტი ამ ინფორმაციის მიხედვით.

2. **<u>სრულდება წიგნის მეოთხე დავალება.</u>** წაიკითხე გიას სპორტული დარბაზის აღწერა. სვამენ კითხვებს და თავად პასუხობენ მათ.
3. მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს მეოთხე დავალებისა და 30-ე სავარჯიშოს სქემებს.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 66, №1, წაიკითხე ტექსტი გიას სკოლის შესახებ. №2. წაიკითხე შეკითხვები და უპასუხე. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და პასუხობენ კითხვებს. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ მოსწავლეებს დაფაზე გააკეთებინეთ გიას სკოლის სპორტული დარბაზისა და მოედნის სქემები. სქემები უნდა იყოს იმ ტიპის, როგორიც წიგნის პირველ დავალებაშია მოცემული *(სად არის? როგორია? რას აკეთებენ?)*. ბოლოს, მოსწავლეები ერთმანეთს უდარებენ მონაცემებს.

აქტივობა 5. სკოლის აღწერა, წერა

1. **სრულდება წიგნის მეხუთე დავალება** - დაწერე რვეულში გიას სპორტული დარბაზის შესახებ (იხ. რვეულის სავარჯიშო გვ. 67, №3). სავარჯიშოს შესრულებამდე გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება წიგნში წარმოდგენილ ენობრივ კონსტრუქციებზე.
2. **სრულდება წიგნის მეექვსე დავალება** - შენც გააკეთე მსგავსი სქემა - რა აქვს შენს სკოლას, როგორია, სად არის და რას აკეთებთ იქ?
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 67, №4. წაიკითხე და უპასუხე შენი სკოლის შესახებ. სავარჯიშოს დაწერამდე, მოსწავლეები კითხვებს ზეპირად გასცემენ პასუხს. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მათ.

4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 67, № 5. დაწერე შენი სკოლის შესახებ.

მიზნები: ინტერაქცია სპორტულ აქტივობებზე, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, კითხვა-გაგება, სკოლის აღწერა, წერა.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები

მოსწავლის წიგნი. გვ. 18 18

აქტივობა 1. ინტერაქცია სპორტის სახეობებზე

1. 🎧 track 14 **<u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u>** - მოისმინე და გამოიცანი, რომელი სპორტული თამაშია. მოსმენამდე მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს და აზუსტებენ სიტუაციას თქვენი დახმარებით (ბიჭმა გამოცანა უნდა გამოიცნოს).
2. შეადგინეთ და შესთავაზეთ მოსწავლეებს იმავე ტიპის გამოცანები.
3. **<u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u>** - ახლა თქვენ ჩაიფიქრეთ და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები. დიალოგების გათამაშებამდე გაიარეთ შემდეგი მოსამზადებელი ეტაპები:
   ა) გაახსენეთ მოსწავლეებს სპორტის ნასწავლი სახეობები და შეეკითხეთ თითოეულ მათგანზე, რით თამაშობენ, რამდენი თამაშობს, სად თამაშობენ და მისთ.
   ბ) გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია, კერძოდ: დაფაზე გადაიტანეთ წიგნის მეორე დავალების მონაცემები და იქვე ჩამოწერეთ სპორტის ნასწავლი სახეობები. აირჩიეთ ყველას დანასახად ერთ-ერთი მათგანი და ხმამაღლა შეადგინეთ გამოცანა დაფაზე დაწერილი მონაცემების გამოყენებით.
   გ) დაყავით კლასი ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს დაავალეთ გამოცანის შედგენა. მუშაობის პროცესში იარეთ კლასში და, საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ ჯგუფებს.
   დ) თქვენი დახმარებით, თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის გამოცანას.
4. **<u>მომზადება წიგნის მესამე დავალების</u>** შესასრულებლად: დაუსვით მოსწავლეებს ორი ტიპის შეკითხვა: *ვის უყვარს ფეხბურთის ყურება? კალათბურთის? კიდევ სპორტის რომელი სახეობის ყურება*

უყვართ? ბ) ვინ იცის ფეხბურთის/კალათბურთის . . . თამაში?

5. track 15 **<u>სრულდება წიგნის მესამე დავალება</u>** - მოისმინე და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.

6. **სრულდება წიგნის მეოთხე დავალება** - ახლა თქვენ გაითამაშეთ მასგავსი დიალოგები. რიგრიგობით გამოიყვანეთ რამდენიმე მოსწავლე და გაითამაშეთ მათთან იმავე ტიპის დიალოგები. შემდეგ მოსწავლეები დიალოგებს ერთმანეთში გაითამაშებენ.

მიზნები: ინტერაქცია სპორტის სახეობებზე.

მოსწავლის წიგნი. გვ. 19 19


5. ვინ არიან შენი საყვარელი სპორტსმენები?

თემა 1

ჩემი საყვარელი სპორტსმენები

ეს არის მოთა ანწელიძე.
ის თამაშობს ფეხბურთს. მოთა ანწელიძე ფეხბურთელია.

ეს არის თათია მიქაძე.
ის თამაშობს ჩოგბურთს. თათია მიქაძე ჩოგბურთელია.

ეს არის ზაზა ფაჩულია. ის თამაშობს ...

19

აქტივობა 2. პროექტების შესრულება და წარდგენა

მიზანი: ნასწავლი ენობრივი მასალის გამეორება და გამოყენება.

მოსწავლის წიგნი. გვ. 20–21



აქტივობა 1. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. თემის ძირითად სურათზე დაყრდნობით, დაუსვით მოსწავლეებს რაც შეიძლება მეტი შეკითხვა ნაცნობი ლექსიკის გამოყენებით. მაგ., *რამდენი ბიჭია/გოგოა? რამდენი ქალია/კაცია? რომელ სურათზეა გემი?* მისთ.
2. წააკითხეთ დედის ნათესავებთან დაკავშირებული სურათების წარწერები *(დეიდა, ბიძა, დეიდაშვილი* და სხვა).
3. წინა დონეზე ნასწავლი სიტყვების გამოყენებით აუხსენით, ვინ არიან ეს პერსონაჟები (დეიდა და ბიძა - გიას დედის და და ძმა). დაფაზე გააკეთეთ შესაბამისი სქემა, რომ მოსწავლეებს აღქმა გაუადვილდეთ.
4. დაუკავშირეთ კითხვები მოსწავლეთა პირად გამოცდილებას: *ვის ჰყავს დეიდა? ბიძა? რამდენი? ვის ჰყავს დეიდაშვილები? ბიძაშვილები? რამდენი? რა ჰქვიათ?* და მისთ.
5. განუმარტეთ მოსწავლეებს სიტყვა "ნათესავი" - დეიდა, ბიძა, დეიდაშვილი . . . არიან ნათესავები.
6. ანალოგიური თანამიმდევრობით განიხილავთ გიას ნათესავებს მამის მხრიდან (წარწერების წაკითხვა, ახსნა-განმარტებები სქემის გამოყენებით, კითხვების დაკავშირება მოსწავლეთა პირად გამოცდილებასთან).
7. სურათებზე დაყრდნობით, ასწავლეთ/გააცანით მოსწავლეებს ახალი ლექსიკური ერთეულები *(კაპიტანი, დელფინი, მეზღვაური)*.

აქტივობა 2. თვლა 20-დან 30-მდე

1. გაამეორებინეთ მოსწავლეებს რიცხვები 1-დან 20-მდე.
2. დაათვლევინეთ მოსწავლეებს: გოგონების, ბიჭების, ფანქრების, თითების და სხვ. რაოდენობა.
3. დაწერეთ დაფაზე რიცხვები: 21-დან 30-მდე. დასაახელეთ 21, 22 და გაამეორებინეთ მოსწავლეებს. შემდეგ თვლა გააგრძელებინეთ მოსწავლეებს და, საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მათ. ბოლოს ყველამ ერთად დაითვალეთ 21-დან 30-მდე.
4. ანალოგიური თანამიმდევრობით იმუშავეთ რიცხვებზე 30-დან 40-მდე.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 68, №1. ამოხსენი რებუსი. №2. წაიკითხე და შეავსე. №3. წაიკითხე და ჩაწერე ციფრები. გვ. 68, №4. დაასახელე და ჩაწერე. №5. ამოხსენი რებუსი. № 6. წაიკითხე და დააკავშირე.

აქტივობა 3. ინტერაქცია ოჯახზე, წერა

1. შეახსენეთ მოსწავლეებს ოჯახთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები *(დედა, მამა, ბებია, ბაბუა, და, ძმა)*.
2. ჰკითხეთ რამდენიმე მათგანს, რა ჰქვია დედას, მამას, რამდენი ძმა/და ჰყავს, რამდენი წლისაა ძმა და მისთ.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 69, №7. გაიხსენე შენი ოჯახი. დახატე ოჯახის წევრები და ისაუბრე მათ შესახებ. გვ. 70, №1. შეავსე წინადადებები შენი ოჯახის წევრების შესახებ. №2. იმუშავეთ წყვილებში. დასვით შეკითხვები და უპასუხეთ.
4. ასწავლეთ სიტყვები „უფროსი", „უმცროსი". დახატეთ დაფაზე ია და გია. დააწერეთ სახელები და ასაკი, მიუთითეთ და თქვით: ია გიაზე პატარაა, ია გიაზე უმცროსია. სიტყვას "ია" ზემოდან დააწერეთ - სიტყვა "უმცროსი", "გიას" — "უფროსი".
5. დაუკავშირეთ შეკითხვები მოსწავლეთა პირად გამოცდილებას: - *ძმა გყავს? უმცროსი თუ უფროსი? და გყავს? უმცროსი თუ უფროსი?* გამოიყენეთ ჟესტიკულაციაც (მაგ., უფროსი - ხელი მაღლა ასწიეთ; უმცროსი - ხელი დაბლა დასწიეთ).

აქტივობა. 4. მარტივი კითხვების დასმა, მოსმენა-გაგება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 70, №3. დაა-

კავშირე შეკითხვა პასუხთან. პასუხების შემოწმების შემდეგ მოსწავლეებს ხმამაღლა წააკითხეთ შეკითხვები.

2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 70, №4. წაიკითხე და დასვი შეკითხვები.
3. 🎧 track 16 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 71, №5. მოისმინე და ჩაწერე, რა ჰქვიათ და რამდენი წლის არიან. ტექსტის მოსმენამდე მოსწავლეები უნდა გაეცნონ ცხრილის მონაცემებს. ცხრილის შევსებამდე მოსწავლეებს ორჯერ მოასმენინეთ ტექსტი, შემდეგ აცადეთ მათ დამოუკიდებლად მუშაობა. ცხრილის შევსების შემდეგ მოსწავლეებს კვლავ მოასმენინებთ ტექსტს ინფორმაციის შევსება-გასწორების მიზნით. ბოლოს, გაასწორეთ პასუხები მთელი კლასის თანამონაწილეობით.

<u>მოსასმენი ტექსტი :</u>

გამარჯობა, მე რეზო ვარ. ვარ 8 წლის. ვსწავლობ მესამე კლასში. მყავს დედა, მამა, ბებია და ერთი ძმა. დედაჩემს ლია ჰქვია. ის 39 წლისაა. მამაჩემს ჰქვია რამაზი, მამაჩემი 45 წლისაა. ჩემს ძმას ზურა ჰქვია. ის ჩემზე უფროსია. ზურა 10 წლისაა და მეხუთე კლასში სწავლობს.

აქტივობა 5. კითხვა - გაგება, კითხვის მოქნილობა, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 71, № 6. წაიკითხე და უპასუხე. ტექსტის წაკითხვამდე გააცანით მოსწავლეებს შეკითხვები, რაც მათ დაეხმარება ტექსტის გაგებაში **(იხ. მასწ. წიგნი, 5. 5, 6).**
2. დაიცავით საკითხავ სავარჯიშოებზე მუშ-



აობის თანამიმდევრული ეტაპები: ა) მისცემთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობისათვის საჭირო დროს. ბ) დამოუკიდებლად მუშაობისას ერთად სვამთ მათ, ვისაც კითხვა უჭირს და ეხმარებით. გ) სამუშაოს შედეგებს დაფასთან ამოწმებთ. შემოწმების პროცესში აუცილებლად ჩართეთ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც დაეხმარეთ.

3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 72, № 1. წაიკითხე და ჩაწერე **კი** ან **არა.** აცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა. დაეხმარეთ მხოლოდ მათ, ვისაც კითხვა ძალიან უჭირს. პასუხების შემოწმებისას ყოველთვის იკითხეთ, არის თუ არა **განსხვავებული აზრი/პასუხი**. თუ არის, აცადეთ მოსწავლეებს, დაასაბუთონ საკუთარი ვარიანტები. ეცადეთ, რომ სწორი პასუხების ამოცნობის, მათი გაანალიზების **<u>პროცესში ჩააბათ მთელი კლასი.</u> (იხ. მასწ. წიგნი, 5. 5. გ).**
4. გაავარჯიშეთ მოსწავლეები ტექსტის გამართულად წაკითხვაში.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 71, №2. შეადგინე წინადადებები.

აქტივობა 6. ინტერაქცია ოჯახზე, მოსმენა-გაგება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 72, №3. იმუშავეთ წყვილებში. ჰკითხეთ ერთმანეთს ოჯახის წევრების შესახებ და შეავსეთ ცხრილი. გვ. 73, №.4. დაწერე და ისაუბრე შენი მეწყვილის ოჯახის წევრების შესახებ.
2. გაავარჯიშეთ მოსწავლეები შემდეგი ლექსიკური ერთეულების გაგება-დამახსოვრებაზე: მშობელი/მშობლები, შვილი/შვილები.
3. 🎧 track 17 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 73, №5. მოისმინე და მიუთითე სურათზე. ტექსტის მოსმენამდე მოსწავლეებს წააკითხეთ სურათის ქვემოთ მოცემული წინადადება. დაუსვით მოსწავლეებს კითხვები და დარწმუნდით, რომ მათ გაიაზრეს, ვინ არის ანა.

მოსასმენი ტექსტი

ეს ანას დიდი ოჯახია. ანა გიას დედაა. ესენი ანას მშობლები არიან. ანას მამას გიორგი ჰქვია, ანას დედას ჰქვია თამარი. მათ სამი შვილი ჰყავთ. ეს ულვაშიანი კაცი ანას ძმაა. მას რეზო ჰქვია. რეზო ანას უფროსი ძმაა. ის 42 წლისაა. ეს კი ანას დაა. მას ნატო ჰქვია. ნატო ანაზე უმცროსია. ის 35 წლისაა.

4. 🎧 track 17 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 73, № 6. მოისმინე თავიდან და შეავსე გამოტოვებული ადგილები. ტექსტის მოსმენამდე მოსწავლეები ეცნობიან სავარჯიშოს პი-

რობასა და მონაცემებს. გვ. 74, № 1. ჩაწერე სიტყვიერად, ვინ რამდენი წლისაა. დაიცავით მოსასმენ სავარჯიშოზე მუშაობის ეტაპები. ესენია: (იხ. მასწ. წიგნი 5.1).

აქტივობა 7. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, ინტერაქცია და-ძმაზე

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 74, №2. დააკვირდი, წაიკითხე და შეავსე. №3. მოძებნე ერთნაირი სიტყვები და ჩაწერე. გვ. 75, №4. წაიკითხე და შეცვალე ნიმუშის მიხედვით.
2. 📖 სრულდება რვ. სავ გვ. 75, №5. ისაუბრე შენი და-ძმების შესახებ. დაასახელე, ვინ არის უფროსი და ვინ არის უმცროსი.

აქტივობა 8. კითხვა-გაგება, კითხვის მოქნილობა

შენიშვნა: ქვემოთ წარმოდგენილ ამოცანებზე მუშაობისას დაიცავით საკითხავ სავარჯიშოებზე მუშაობის თანამიმდევრული ეტაპები, კერძოდ: ა) სანიმუშოდ სავარჯიშოს ერთიორი პუნქტი შეასრულეთ დაფაზე. ბ) აცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად დასხით ის მოსწავლეები, რომელთაც კითხვა უჭირთ და დაეხმარეთ. გ) სამუშაოს შედეგები შეამოწმეთ დაფასთან. შემოწმების პროცესში აუცილებლად შეაჩერეთ ყურადღება განსხვავებულ პასუხებზე და გამოიყენეთ ისინი მოსწავლეთა უნარების გასაუმჯობესებლად.

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 75, №6. დააკვირდი და შეავსე წინადადებები. სავარჯიშოს შესრულებამდე გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება ჯერ სურათზე ასახულ პერსონაჟებზე, შემდეგ კი ოჯახის წევრების შესახებ მოცემულ ინფორმაციაზე. ამისათვის დაუსვით მათ შეკითხვები: *ვინ არიან სურათზე? რა ჰქვია გიას მამას? რომელია სურათზე ლევანის ძმა? რა ჰქვია ლევანის ძმას ? რამდენი წლისაა?* და ასე შემდეგ. სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, შეავსებინეთ მოსწავლეებს წინადადებები.


1. წაიკითხე და მიუთითე სურათზე.
ეს გიას დეიდაა. ესენი გიას დეიდაშვილები არიან. გიას დეიდაშვილები ბაღაურში ცხოვრობენ. ისინი ბაღაურელები არიან.
ეს გიას მამიდაა. ეს გიას მამიდაშვილია. გიას მამიდა თელავში ცხოვრობს. გიას მამიდაშვილი თელაველია.
ესენი გიას ბიძა და ბიძაშვილები არიან. ისინიც ბაღაურში ცხოვრობენ. გიას ბიძაშვილებიც ბაღაურელები არიან.
ის ცხოვრობს ბაღაურში. ის ბაღაურელია.
დეიდა ------- დეიდაშვილი
მამიდა ------- მამიდაშვილი
2. დაასახელე შენი ნათესავები, ვინ არიან, სად ცხოვრობენ და სადაურნი არიან.
3. მოისმინე და წაიკითხე.
ციცა და პიცა
- მოიფიქრეთ ჩემთან, ციცა. მაგრამ ვეფრილი პიცა.
- ეგ ვინ, ეგ ეგ ... ეგ ... ეგ ...
- ეგ ... ეგ ... ეგ ...

აქტივობა 2. ინტერაქცია ნათესავებზე, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე.

1. დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები მათი ნათესავების შესახებ: *ვის ჰყავს დეიდა? რამდენი? რა ჰქვია? ვის ჰყავს ბიძა? მამის ძმაა თუ დედის? ვის ჰყავს მამიდა? რამდენი ბიძაშვილი გყავს?* და მისთ.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 79, №5. იმუშავეთ წყვილებში. ჰკითხეთ ერთმანეთს ნათესავების შესახებ და უპასუხეთ.
3. გაავლებინეთ მოსწავლეებს პარალელი ქართულ ენასა და მათ მშობლიურ ენებს შორის. ამისათვის დაფაზე დაწერეთ: *დედის და - დეიდა; მამის ძმა - მამიდა; დედის ძმა - ბიძა; მამის ძმა - ბიძა*. ჰკითხეთ მოსწავლეებს, გამოიყენება თუ არა მათ ენაში სხვადასხვა სახელი, ერთი მხრივ, დედისა და მამის დების, მეორე მხრივ, დედისა და მამის ძმების აღსანიშნავად.
4. სრულდება რვ. გვ 79 სავ. №6. დააკავშირე ერთმანეთთან. №7. დააჯგუფე სიტყვები დედისა და მამის ნათესავების მიხედვით. №8. დააჯგუფე ქალები და მამაკაცები.

აქტივობა 3. კითხვა -გაგება, კითხვის მოქნილობა

1. <u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება**</u> - წაიკითხე და მიუთითე სურათზე. მოსწავლეები ჩუმად, დამოუკიდებლად კითხულობენ ტექსტს. დაუსვით მათ შეკითხვები: *ეს ვინ არის? სად ცხოვრობს? ესენი ვინ არიან? სად ცხოვრობენ?*
2. ავარჯიშეთ მოსწავლეები ტექსტების ხმამაღლა და გამართულად წაკითხვაში.



3. გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება ჩარჩოში ჩასმულ ენობრივ საკითხზე: დეიდა - დეიდაშვილი, ცხოვრობს ბათუმში, ბათუმელია;
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 80, №1. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან. აპოვნინეთ მოსწავლეებს იგივე პერსონაჟები წიგნის სურათებზეც. №2. უპასუხე კითხვებს. №3. უპასუხე კითხვებს.
5. გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება ჩარჩოში ჩასმულ მეორე ენობრივ საკითხზე: ის ცხოვრობს ბათუმში, ის ბათუმელია. დასვით კითხვა და თავადვე უპასუხეთ: *სადაურია? - ბათუმელია.*
6. ჰკითხეთ მოსწავლეებს: *სადაურია გიას მამიდა? სადაურები არიან გიას ბიძაშვილები?*
7. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 81, № 4. დაუსვით წინა დავალების შეკითხვები ერთმანეთს. № 5. წაიკითხე და უპასუხე.
8. <u>**სრულდება წიგნის მეორე დავალება**</u> - დაასახელე შენი ნათესავები - ვინ არიან, სად ცხოვრობენ და სადაურები არიან.

აქტივობა 4. კითხვა-გაგება, მოსმენა-გაგება, ლექსის დასწავლა

1. მომზადება <u>**წიგნის მესამე დავალების**</u> შესასრულებლად - მოსწავლეები ათვალიერებენ მესამე დავალების სურათებს. თქვენ თითოეულ მათგანზე უსვამთ მათ შეკითხვებს და, საჭიროებისამებრ, განმარტავთ უცნობ სიტყვებს:
   ა) პირველი სურათი: *სად არის რუ? რომელი ცხოველია ამ სურათზე? სად დევს პიცა? რას აკეთებს კუ?*
   ბ) მეორე სურათი: *რომელი ცხოველები არიან? რას აკეთებენ?*
   გ) მესამე სურათი: გადაუთარგმნეთ მოსწავლეებს სიტყვა „ძიძა“ მშობლიურ ენაზე და აუხსენით, რომ ეს კატა არის კნუტების ძიძა.
   დ) მეოთხე სურათი: *რა მანქანაა? რომელი ცხოველები არიან მანქანაში? სად მიდიან?*
   ე) მეხუთე სურათზე რომელი ცხოველია? რას აკეთებენ? რატომ არ არის პიცა? თქვენი აზრით, რამ ჭამა პიცა, კუმ თუ კატებმა?
2. მოსწავლეები კითხულობენ რეპლიკებს და პასუხობენ თქვენს შეკითხვებს: *რას ამბობს კუ ტელეფონში? რას ამბობს ძიძა*

კატა? რას ამბობენ კატები მანქანაში? რას ამბობს დედა კატა?

3. track 19 **<u>სრულდება წიგნის მესამე დავალება:</u>** მოისმინე და წაიკითხე. მოსწავლეები ისმენენ და ზეპირად სწავლობენ ლექსს. დაზეპირებისთვის გამოიყენეთ შემდეგი სტრატეგიები: ტექსტის თქმა მონაცვლეობით, ტემბრისა და ტემპის ცვლით;
   - კლასი გაყავით ორ ჯგუფად. ტექსტის მონაკვეთი, სხვადასხვა ვარიაციით, ათქმევინეთ ჯერ ერთ ჯგუფს, შემდეგ - მეორეს (ეს ბავშვებს ძალიან ახალისებს):
   - ხმის ტემბრის დაბოხებით ან დაწვრილებით;
   - ჩურჩულით, ხმამაღლა;
   - ნელი/ჩქარი ტემპით;
   - ამბობთ სტრიქონის დასაწყისს, მოსწავლე ასრულებს სტრიქონს;
   - ბოლოს ტექსტს ყველა ერთად იმეორებს.

მოსასმენი ლექსი:

ციცა და პიცა

კუმ დააცხო პიცა,
დაპატიჟა ციცა.
ციცას ჰყავდა კნუტი,
ექვსი, განა ხუთი?!
კნუტებს ჰყავდათ ძიძა,
ძიძას ჰყავდა ბიძა,
ბიძას ჰყავდა ცოლი,
ცოლს - მამიდა ორი.
იმ მამიდებს დობილები,
ჯიპებით და მობილებით.
დაურეკეს მეგობრებს,



კლასელებს და მეზობლებს.
შეიყარნენ რუსთან,
აგარაკზე კუსთან.
აღარ შეხვდა ციცას
კუს დამცხვარი პიცა.
-კუმ რაღა ქნა?- ციცას
რეცეპტიღა მისცა.

მარიამ წიკლაური

4. track 20 მოსწავლეები ისმენენ სიმღერას და შემდეგ მღერიან (კომში, კომში, კომარა...).

მიზნები: კითხვა-გაგება, კითხვის მოქნილობა, ლექსიკური ცოდნის განმტკიცება, მოსმენა-გაგება, ინტერაქცია ნათესავებზე, წერა, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, კითხვების დასმა.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: სადაურია? თბილისელია; დედის და მამის ნათესავები; რამდენი დეიდაშვილი გყავს? რა ჰქვია შენს მამიდაშვილს?

რომელ კლასშია შენი ბიძაშვილი? 23

მოსწავლის წიგნი. გვ. 23

აქტივობა 1. კითხვა-გაგება, სურათის აღწერა, ლექსიკის სწავლა: დელფინარიუმი, დელფინი, გემის კაპიტანი.

1. **მომზადება წიგნის მეოთხე დავალების** შესასრულებლად - სურათზე დაყრდნობით ასწავლეთ მოსწავლეებს: დელფინარიუმი, დელფინი; ჰკითხეთ, თუ უნახავთ დელფინი ტელეგადაცემაში ან კინოში.
2. თქვენი დახმარებით მოსწავლეები აღწერენ თითოეულ სურათს. შეკითხვების საშუალებით გაამახვილეთ მათი ყურადღება მნიშვნელოვან დეტალებზე.
3. **სრულდება წიგნის მეოთხე დავალება** - წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან. დაიცავით საკითხავ აქტივობებზე მუშაობის თანამიმდევრული ეტაპები, კერძოდ: ა) აცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად დასხით ის მოსწავლეები, რომელთაც კითხვა უჭირთ და დაეხმარეთ. გ) სამუშაოს შედეგები დაფასთან შეამოწმეთ (იხ. მასწ. წიგნი, 5. 5,6).
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 81, №6. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან. სავარჯიშოს შესრულების შემდეგ ჰკითხეთ: *ვინ არის მასწავლებელი? მეზღაური? სპორსტმენი?* და მისთ.
5. სრულდება რვ. სავ. გვ. 82, №1. გაიხსენე გიას ნათესავები. მოცემული სიტყვებით დაასრულე წინადადებები.
6. სრულდება რვ. სავ. გვ. 82, №2. დააკვირდი სურათებს, წაიკითხე და შემოხაზე

სწორი ვარიანტი. რამდენადაც მოსწავლეები ასეთი ტიპის სავარჯიშოების შესრულებას არ არიან მიჩვეულნი, სანიმუშოდ სავარჯიშოს ერთი-ორი პუნქტი შეასრულეთ დაფაზე. შემდეგ გააგრძელეთ ჩვეული გზით, კერძოდ: ა) აცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად დასხით ის მოსწავლეები, რომელთაც კითხვა უჭირთ და დაეხმარეთ. გ) სამუშაოს შედეგები დაფასთან შეამოწმეთ. შემოწმების პროცესში აუცილებლად ჩართეთ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც დაეხმარეთ.

აქტივობა 2. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, კითხვების დასმა

1. გაამეორებინეთ მოსწავლეებს რიგობითი რიცხვითი სახელები.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 83, №3. დააკვირდი სურათებს; ჩაწერე, რომელ დღეს სად იყვნენ ია და გია და წაიკითხე.
3. დასვით შეკითხვა და თავადვე უპასუხეთ: *ვისთან ერთად არიან ია და გია ამ სურათზე? - ბებიასთან ერთად.* შემდეგ მიუთითეთ რომელიმე მერხზე მსხდომ მოსწავლეებზე და იკითხეთ: *ვისთან ერთად ზის თამრიკო?* გააგრძელეთ იმავე ტიპის კითხვების დასმა. რესურსად შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ წინა თემების სურათები.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 84, №1. დააკვირდი სურათებს, ჩაწერე, ვისთან ერთად იყვნენ ია და გია და წაიკითხე.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 84, №2. დააკვირდი სურათებს. გამოიყენე შეკითხვები



   და ისაუბრე.
6. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 84, №3. წაიკითხე და შეავსე გამოტოვებული ადგილები.

მიზნები: ახალი ლექსიკის ათვისება, კითხვაგაგება, კითხვების დასმა, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: მეზღვაური, დელფინარიუმი, დელფინი, ვისთან ერთად იყვნენ გემზე? - ბიძაშვილთან ერთად; რომელ დღეს იყვნენ?

მოსწავლის წიგნი. გვ. 24

აქტივობა 1. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. **<u>სრულდება წიგნის პირველი დავალება - წაიკითხე და გაიმეორე.</u>** მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილებინეთ „ელ“ სუფიქსზე.
2. **<u>სრულდება წიგნის მეორე დავალება - დააკვირდი.</u>** დაკვირვების შემდეგ მოსწავლეებს ათქმევინეთ, სად ცხოვრობენ, სადაურები არიან.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 85, №4. დაწერე: რა მოხდა მეხუთე და მეექვსე დღეებში. №5. შეარჩიე და ჩასვი. №6. დაწერე, ვინ სად ცხოვრობს და სადაურია. გვ. 86, №1. დააკვირდი ნიმუშებს და შეავსე. გვ. 86, №2. დაასახელე და დაწერე, შენ სად ცხოვრობ და სადაური ხარ.
4. **<u>სრულდება წიგნის მესამე დავალება.</u>** (ჩემი, ჩვენი, მისი) - **დააკვირდი.** ავარჯიშეთ მოსწავლეები ნაცვალსახელების გამოყენებაზე. გამოიყენეთ კლასში არსებული რესურსი და იკითხეთ: *ეს ვისი კლასია? - ჩვენი; ეს ვის დაფაა? - ჩვენი. ეს ვისი მერხია?* მერხთან მსხდომებმა უნდა უპასუხონ: - ჩვენი. აიღეთ სხვადასხვა მოსწავლის ნივთი: *ეს ვისი კალამია? ეს ვისი რვეულია?* და მისთ.
5. მოიფიქრეთ და გადაათამაშეთ ისეთი სიტუაციები, რომ მოსწავლეებმა გამოიყენონ მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი „მისი“. მაგ., გამოიყვანეთ ორი მოსწავლე, დაფაზე დაწერეთ როლები: და-

ძმა, ათქმევინეთ მოსწავლეებს: *ეს თინაა, ეს მისი ძმაა*. ანალოგიურად გადაათამაშეთ ლექსიკური ერთეულები: *კლასელები, ძმები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები* და სხვა.

6. **<u>სრულდება წიგნის მეოთხე დავალება</u>** (უფროსი, უმცროსი) — სურათზე დაყრდნობით, აუხსენით მოსწავლეებს იქვე მიცემული წინადადებების შინაარსი (მაკა მალხაზ**ზე უმცროსია**). თემაში მოცემულ სურათებზე დაყრდნობით, გადაათამაშებინეთ მოსწავლეებს ეს ორი კონსტრუქცია . . -ზე უმცროსი/უფროსი).

მიზნები : დაკვირვება ენობრივ საკითხებზე.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: . . -ზე უმცროსი/უფროსი; სადაური? ბოლნის**ელი**, ჩემი, ჩვენი, მისი.

25

მოსწავლის წიგნი. გვ. 25

აქტივობა 1. ინფორმაციული ტექსტის წაკითხვა-გაგება, წერა, სურათის აღწერა

1. **<u>სრულდება წიგნის მეხუთე დავალება</u>** - გაეცანი სქემას გიას შესახებ. მოსწავლეთა თანამონაწილეობით იმავე ტიპის სქემა შეასრულეთ დაფაზე ერთ-ერთ მოსწავლეზე.
2. **<u>სრულდება წიგნის მეექვსე დავალება</u>** - გამოიყენე სქემა და დაწერე რვეულში გიას შესახებ. ეს დავალება სრულდება რვეულში, გვ. 86, სავ. №3. წაიკითხე ინფორმაცია და დაწერე გიას შესახებ.
3. **<u>სრულდება წიგნის მეშვიდე დავალება</u>** - გააკეთე მსგავსი სქემა შენ შესახებ. ეს



დავალება სრულდება რვეულში, სავ. №4. ჩაწერე მსგავსი ინფორმაცია შენ შესახებ.

4. **<u>სრულდება წიგნის მერვე დავალება</u>** - გამოიყენე სქემა, ისაუბრე და დაწერე რვეული. ეს დავალება სრულდება რვეულში, გვ. 87, სავ. №5. დაწერე შენ შესახებ.
5. მიუბრუნდით თემის ძირითად სურათს. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა აღწერონ სურათები.

მიზნები: სურათის დამოუკიდებლად აღწერა, საყრდენების დახმარებით სამ-ოთხწინადადებიანი ტექსტის დაწერა ოჯახის შესახებ.

26

მოსწავლის წიგნი. გვ. 26

აქტივობა 1. ზეპირმეტყველება

1. **<u>მომზადება პირველი დავალების</u>** შესასრულებლად - მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს, კითხულობენ იქვე მოცემულ ინფორმაციას და პასუხობენ თქვენს შეკითხვებს: *რამდენი წლის არის ნელი? ვინ არის დათოს დედა? მამა? რამდენი და-ძმა ჰყავს?* და მისთ.
2. იწყებთ რომელიმე წინადადებას, რომელიც მოსწავლეებმა უნდა დაასრულონ წიგნში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მაგ., *ნელი არის მუსიკის . . . . მალხაზი არის მეშვიდე . . . .* და . . . მისთ.
3. ამბობთ ერთ-ერთ სიტყვას, მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ ამ სიტყვასთან დაკავშირებული წინადადება. მაგ., ამბობთ „მასწავლებელი“, მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ შემდეგი წინადადება: *ნელი არის მასწავლებელი.*
4. **<u>სრულდება წიგნის პირველი დავალე-</u>**

ბა - დააკვირდი სურათს და ისაუბრე დათოს ოჯახის შესახებ. მოსწავლეები დამოუკიდებლად წარადგენენ დათოს ოჯახს.

5. track 21 **სრულდება წიგნის მესამე დავალება: სრულდება წიგნის მეორე დავალება** - მოისმინე და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად. სანამ მეწყვილეები მუშაობას შეუდგებიან, წაიკითხეთ მხოლოდ კითხვები.
6. დაუსვით მოსწავლეებს იმავე ტიპის შეკითხვები.
7. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაგისვან შეკითხვები თქვენი ოჯახისა და ნათესავების შესახებ.
8. **სრულდება წიგნის მესამე დავალება** - მოამზადეთ შეკითხვები და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები ერთმანეთთან. შეკითხვების მოსამზადებლად გამოიყვანეთ დაფასთან ერთ-ერთი მოსწავლე, სთხოვეთ კლასელებს, დაუსვან რაც შეიძლება მეტი შეკითხვა. დასმული შეკითხვები დაფაზე დაწერეთ.

მიზნები: ინტერაქცია ოჯახის წევრების შესახებ.

27

მოსწავლის წიგნი. გვ. 27

აქტივობა 2. პროექტების შესრულება და წარდგენა

მიზანი: ნასწავლი ენობრივი მასალის გამეორება და გამოყენება.



მოსწავლის წიგნი. გვ. 20–21 28 29

აქტივობა 1. მოსმენა-გაგება, ახალი ლექსიკის ათვისება, ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. თემის ძირითად სურათზე დაყრდნობით, აცნობთ მოსწავლეებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს: *აკვარიუმი, აკვალანგები, მედუზა, ნიჟარა, ვეშაპი, დელფინი.*
2. მიუბრუნდით სურათს, ჰკითხეთ მოსწავლეებს: *ვინ არიან აკვარიუმში? რომელი ცხოველები არიან აკვარიუმში?*
3. <u>დაუკავშირეთ შეკითხვები მოსწავლეთა პირად გამოცდილებას:</u> *ვინ იყო ზღვაზე? ნახე მედუზა? ვინმეს თუ აქვს აკვარიუმი? ნიჟარა? ტელევიზიით ვეშაპი ან დელფინი გინახავს?* და მისთ.
4. გაახსენეთ მოსწავლეებს წინა დონეზე ნასწავლი სიტყვები: *ზღვა, ვარსკვლავი, ცხენი, ლომი, კატა, კუ, ძაღლი, გოჭი, სოკო, ჟირაფი, ჟირაფის ხალები.*
5. ასწავლეთ მოსწავლეებს: ხმელეთის ცხოველი და ზღვის ცხოველი: *სად ცხოვრობს ლომი, ზღვაში თუ მიწაზე? - მიწაზე. ლომი ხმელეთის ცხოველია; სად ცხოვრობს დელფინი, ზღვაში თუ მიწაზე? - ზღვაში. დელფინი ზღვის ცხოველია.*
6. ჰკითხეთ მოსწავლეებს: - თქვენი აზრით, არსებობს თუ არა ზღვის კატა? ზღვის ძაღლი?
7. track მოსწავლეები ისმენენ ცალკეულ დიალოგებს და აკავშირებენ მათ შესაბამის სურათებთან.



<u>*მოსასმენი ტექსტი*</u>

1. - ნახე, რა ლამაზია!
- სად?
- აი, დელფინის გვერდით.
- ეს ზღვის ვარსკვლავია.
2. - დათო, ნახე, რა დიდი მედუზაა!
- აბა, სად?
- აი, ხალებიანი, შენ წინ. სოკოს ჰგავს.
3. - რამდენი ნიჟარააა! გია, ნახე, ცხენს ჰგავს!
- ეგ ზღვის ცხენია. აი, იქით შეხედე, ზღვის კუ!
- რა მაგარია! ცხენი და კუ წყალშიც ცხოვრობენ?
- წყალში კიდევ ... ზღვის ლომი, ზღვის კატა, ზღვის ძაღლი და ზღვის გოჭიც ცხოვრობს...
(ისმის სიცილის ხმა)
- ჰა, ჰა, ჰა, ზღვის ღორი... რას იტყუები?...
- მართალს ვამბობ. ბიძაჩემმა მითხრა, გემის კაპიტანია და იცის.

8. ჰკითხეთ მოსწავლეებს: - *რა არის დელფინის გვერდით? რას აქვს ხალები?*
9. track მოსწავლეებს დაავალეთ, მოისმინონ და მოინიშნონ ზღვის ცხოველები, რომელთაც ასახელებენ დიალოგში. მოასმენინეთ ტექსტი ორჯერ და შედეგები დაფაზე შეაჯამეთ.
10. ერთად დაასახელეთ ზღვის ცხოველები.

აქტივობა 2. ახალი ლექსიკის ათვისება

1. თანამიმდევრულად სრულდება რვეულის შემდეგი სავარჯიშოები:

- გვ. 88, №1. დააკვირდი და მონიშნე სათანადო უჯრა.
- გვ. 88, №2. დააკვირდი და მოძებნე მსგავსება და განსხვავება.
- გვ. 88, №3. ჩაწერე, რომელია ხმელეთის ცხოველი და რომელია წყლის ცხოველი.
- გვ. 89, №4. შემოხაზე, რომელი წყვილი ჰგავს ერთმანეთს.
- გვ. 89, №5. დააკავშირე ნაწერი სურათთან.
- გვ. 89, №6. დააკვირდი სურათს და მიუწერე, რა არის.
- გვ. 90, №1. წაიკითხე და დააკავშირე, რომელია დიდი და რომელი - პატარა.
- გვ. 90, №2. წაიკითხე და ჩაწერე, რომელია.
- გვ. 90, №3. დააკვირდი, წაიკითხე და გაიმეორე.
- გვ. 91, №4. ჩაწერე, რომელია - თევზი თუ სელაპი.
- გვ. 91, №5. მოძებნე და შემოხაზე.
- გვ. 91, №6. ამოხსენი რებუსი.
- გვ. 92. №1. გაასწორე შეცდომა და გადაწერე.
- გვ. 92, №2. წაიკითხე და ჩაწერე, რა არის.

მოსწავლის წიგნი. გვ. 30

30

აქტივობა 1. ახალი ლექსიკის სწავლა, ინტერაქცია ცხოველებზე

1. **<u>მომზადება წიგნის პირველი დავალების</u>** შესასრულებლად - მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს. კითხვების საშუალებით გააქტიურეთ ის ლექსიკა, რომელიც დასჭირდებათ მოსწავლეებს ცხოველების აღსაწერად: *რომელ ცხოველს აქვს ულვაში? რომელს აქვს ფარფლები? ლაყუჩები? რომელს აქვს დიდი თავი, რომელს - პატარა? რომელს აქვს მოკლე კისერი? რომელია დიდი? პატარა? რომელს აქვს კუდი?* და სხვა.
2. ასწავლეთ მოსწავლეებს: კუდიანი -უკუდო. იკითხეთ: *მედუზას აქვს კუდი?* - *არა, ის არის უკუდო.* დაწერეთ დაფაზე: *კუდიანი - უკუდო; ქუდიანი - უქუდო.* გამოიყენეთ ქუდი და გაავარჯიშეთ მოსწავლეები ქონა-არქონის გამომხატველი სუფიქსებისა და პრეფიქსების გამოყენებაში. დაახურეთ ქუდი მოსწავლეს და თქვით: *მას აქვს ქუდი, ის არის ქუდიანი. მას არა აქვს ქუდი, ის არის უქუდო.*
3. თქვენ ამბობთ რომელიმე ცხოველზე ან პერსონაჟზე: *აქვს/არა აქვს კუდი, ხალი, ულვაში, ფარფლი . . .*, მოსწავლეები კი შესაბამის ფორმას აწარმოებენ. მაგ., *მედუზას არა აქვს კუდი* - ის არის უკუდო; *გიას ბიძას აქვს ულვაში* - *ის არის ულვაშიანი* და ასე შემდეგ.
4. ასწავლეთ მოსწავლეებს სიტყვები: ზოლი - *(ზებრას აქვს ზოლები, ის არის ზოლებიანი)*, კუზი. ამ უკანასკნელისთვის გამოიყენეთ წიგნის მომდევნო გვერდზე გამოსახული აქლემის სურათი და თქვით - *აი, აქლემი.*



აქლემს აქვს კუზი, ის არის კუზიანი.

5. **<u>სრულდება წიგნის პირველი დავალება.</u>**

აქტივობა 2. კითხვა-გაგება, კითხვის მოქნილობა

1. **<u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u>** - წაიკითხე და დააკავშირე შესაბამის ცხოველთან. კითხვის პროცესი ორ ძირითად ეტაპად წარიმართება.
   ა) პირველ ეტაპზე მოსწავლეებმა თითოეული ტექსტი უნდა დააკავშირონ შესაბამის სურათთან. ამ ეტაპზე არ არის აუცილებელი ტექსტების დეტალურად გაგება. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს გააგებინოთ, რომ მათ არ მოეთხოვებათ იმთავითვე ყველაფრის გაგება. როცა მოსწავლეები დაასრულებენ მუშაობას, სათანადო ადგილი დაუთმეთ პასუხების შეჯერება-შემოწმებას **(დეტალებისათვის იხ. მასწ. წიგნი, 5. 5,6)** .
   ბ) მეორე ეტაპზე ტექსტები დეტალურად მუშავდება. ქვემოთ გთავაზობთ დაფაზე ჩამოსაწერ შეკითხვებს, რომლებსაც მოსწავლეებმა უნდა გასცენ პასუხი. პასუხების გასაცემად მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად სვამთ მათ, ვისაც კითხვა უჭირს და ეხმარებით. დასასრულ, სათანადო ადგილს დაუთმობთ შეჯერება-შემოწმების პროცესს.

დაფაზე ჩამოსაწერი შეკითხვები:

ინფორმაციის ამოკრება ცალკეული ტექსტებიდან

1. რა აქვს სელაპს? რა უყვარს მის ნაშიერს?
2. როგორი ვეშაპები არსებობს? რომელი ვეშაპია საშიში? რა უყვარს ვეშაპს?
3. რას აკეთებს დელფინი? რა აქვს დელფინს?
4. რა ფერის არის მედუზა? რას ჰგავს მედუზა? რა აქვს ზოგ მედუზას?
5. ინფორმაციის ამოკრება ყველა ტექსტიდან
6. რომელ ცხოველებს უყვართ თამაში? (კუზიან ვეშაპს, სელაპის ნაშიერს, დელფინს);
7. რომელ ცხოველებს აქვთ ხალები? (მედუზას, დელფინს)
8. რომელ ცხოველებს აქვთ ყურები? (სელაპს, დელფინს)
9. რომელი ცხოველია მიწაზეც და წყალშიც? (სელაპი)

2. ავარჯიშეთ მოსწავლეები ტექსტების ხმამაღლა და გამართულად კითხვაში.
3. **<u>სრულდება წიგნის მესამე დავალება</u>** - ყუთში მოცემული სიტყვები დააკავშირე შესაბამის ცხოველთან.

აქტივობა 3. მოსმენა-გაგება, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. track 23 სრულდება რვ. სავ. გვ. 92, №3. მოისმინე და მონიშნე ცხრილში, რომელ ცხოველს რა აქვს. ტექსტის მოსმენამდე კარგად წააკითხეთ მოსწავლეებს ცხრილი და დარწმუნდით, რომ ყველა სიტყვა მათთვის ნაცნობია. დაიცავით მოსასმენ სავარჯიშოზე მუშაობის ეტაპები, კერძოდ: ა) ერთი ნიმუში შეასრულეთ დაფაზე; ბ) ამუშავეთ მოსწავლეები დამოუკიდებლად; გ) ხელმეორედ მოასმენინეთ მოსწავლეებს სავარჯიშო ინფორმაციის შევსება-გასწორების მიზნით; ე) ერთობლივად (მოსწავლეების თანამონაწილეობით) შეამოწმეთ და შეაჯერეთ მოსწავლეთა პასუხები. შემოწმებისას, საჭიროებისამებრ, კვლავ მოასმენინეთ ტექსტი მოსწავლეებს (იხ. მასწ., წიგნი 5.1).

<u>*მოსასმენი ტექსტი*</u>

ვეშაპი, დელფინი და სელაპი წყლის დიდი ცხოველები არიან. ვეშაპს და დელფინს დიდი თავები აქვს. სელაპს აქვს პატარა თავი და მოკლე კისერი. ზოგიერთ ვეშაპს და დელფინს ზურგზე აქვთ ფარფლები. ზოგიერთ სელაპს კი აქვს ყურები. ყურები აქვს დელფინსაც. ვეშაპს და სელაპს აქვთ ულვაშები. დელფინს ულვაში არ აქვს. ზოგიერთ დელფინს ზურგზე აქვს ხალები. ზოგიერთ ვეშაპს კი ზურგზე ზოლები და კუზი აქვს.

2. track 23 სრულდება რვ. სავ. გვ. 93, №4. დაწერე, რა აქვს ვეშაპს, სელაპს და დელფინს და წაიკითხე. ამ სავარჯიშოს შესასრულებლად მოსწავლეებს კვლავ მოასმენინეთ ტექსტი.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 93, №4. წაიკითხე, დააკავშირე და გადაწერე. გვ. 94, №1. დააკვირდი და დაასრულე. №2. წაიკითხე და დააკავშირე სურათთან. №3. მოძებნე, დაასახელე და დაწერე.



აქტივობა 4. მოსმენა-გაგება, ლექსიკის ათვისება, სურათის აღწერა

1. track 24 სრულდება რვ. სავ. გვ. 95, №4. მოისმინე და მონიშნე, რომელი ცხოველი როგორია.

მოსასმენი ტექსტი:

კბილებიანი ვეშაპი საშიში ცხოველია, კუზიანი ვეშაპი კი მხიარულია. კუზიან ვეშაპს უყვარს სიმღერა და თამაში. თამაში უყვარს სელაპის ნაშიერსაც. პატარა სელაპები ძალიან მხიარულები არიან. ჭკვიანი და მხიარული ცხოველია დელფინიც. დელფინს უყვარს თამაში და წყალში ხტუნვა.

2. სრულდება რვ. სავ. გვ. 95, №5. გამოიყენე ცხრილი. დაწერე, როგორი ცხოველია და წაიკითხე.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 95, №6. დააკავშირე ერთმანეთთან. №7. მონიშნე, რომელს აქვს ფაფარი.
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 96, №1. წაიკითხე და გაანაწილე ცხრილში. №2. დააკავშირე საპირისპირო სიტყვები.
5. დაფაზე გამოხაზეთ ოთხი სვეტი, თითოეულში ჩაწერეთ შემდეგი ცხოველები: *კუ, აქლემი, დელფინი, ვეშაპი.* თითოეულ მათგანზე დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები ორ ეტაპად:
   - *როგორი გარეგნობისაა?*
   - *როგორი თვისებები აქვს?*
6. <u>**მიუბრუნდით წიგნის პირველ დავალებას**</u>- დააკვირდი სურათებს და აღწერე. მოსწავლები წყვილებში მუშაობენ - თვითონ ირჩევენ სურათს, ერთად ემზადებიან მის აღსაწერად (მათ უნდა ისაუბრონ, როგორც გარეგნობაზე, ისე თვისებებზე. როცა რომელიმე მოსწავლე დაასრულებს სურათის აღწერას, ჰკითხეთ სხვებს: *რას დაამატებთ?*
7. დაასახელებინეთ მოსწავლეებს, მათთვის ნაცნობი ცხოველებიდან რომელია სწრაფი/ნელი/ საშიში.

მიზნები : ლექსიკის ათვისება, სურათის აღწერა, ინფორმაციული ტექსტის გაგება, მოსმენა -გაგება, ინტერაქცია წყლის ცხოველებზე.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: ცხოველების დახასიათება (გარეგნობა და თვისებები): კბილიანი ვეშაპი საშიშია; კუზიანი ვეშაპები მხიარულები არიან, თევზს ფარფლები აქვს და სხვა.

მოსწავლის წიგნი. გვ. 31

31

აქტივობა 1. ლექსიკის ათვისება (კვერცხი, ინახავს, სრიალებს, ხტუნავს, დაფრინავს, ბაჯბაჯებს)

1. წიგნის მეოთხე დავალების სურათებზე დაყრდნობით ასწავლეთ მოსწავლეებს ლექსიკური ერთეული *კვერცხი*.
2. ასწავლეთ მოსწავლეებს სიტყვა: „ინახავს“. ამისათვის ჰკითხეთ: *რა აქვს ამ პინგვინს ფეხებში? - კვერცხი. პინგვინი კვერცხს ინახავს.* შეინახეთ სხვადასხვა ნივთი (მაგ., წიგნი თაროზე ან ჩანთაში და სხვა) და ყოველ ჯერზე თქვით, სად რას ინახავთ (მაგ., *ჩანთაში ვინახავ წიგნს* და ა.შ.).
3. პინგვინის სურათზე დაყრდნობით აუხსენით/შეახსენეთ მოსწავლეებს: *სრიალი, ცურვა, ბაჯბაჯი, წყალში ხტომა, ხოხვა.*
4. პინგვინის სურათზე დაყრდნობით ჰკითხეთ მოსწავლეებს და დაეხმარეთ პასუხების გაცემაში: *რას აკეთებს ნიანგი? - დახოხავს* (განასახიერეთ ხელების მოძრაობით); *რას აკეთებს აქ პინგვინი? აქ? - დაცურავს, სრიალებს, წყალში ხტება, ბაჯბაჯებს.*
5. შეუსაბამეთ მიმიკა-ჟესტიკულაცია შემდეგ მოქმედებებს: სრიალი, ხტომა, ხოხვა, ცურვა, ბაჯბაჯი და შეასრულეთ შემდეგი ლექსიკური სავარჯიშო: ა) პირველად განასახიერეთ თითოეული ფორმულა და თან დაასახელეთ ისინი; ბ) დაასახელეთ ფორმულები და განასახიერეთ მოსწავლეებთან ერთად; გ) დაასახელეთ ფორმულები ჯერ თანამიმდევრულად, შემდეგ კი არეული რიგით; მოსწავლეები ისმენენ და განასახიერებენ მათ; დ) ბოლოს ყველა ერთად იმეორებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს.



6. ჰკითხეთ მოსწავლეებს: *ვის უყვარს ცურვა? ყინულზე სრიალი? წყალში ხტომა?*
7. **განსახიერებულის დასახელება** - თქვენ ან რომელიმე მოსწავლე განასახიერებთ მოქმედებებს, მოსწავლეები ასახელებენ მათ.
8. გაავარჯიშეთ მოსწავლეები ენობრივ კონსტრუქციაზე: *დებს კვერცხებს.* ჰკითხეთ მათ: *-ქათამი დებს კვერცხებს? ძაღლი? ნიანგი?* და სხვა.
9. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 96, № 3. მოძებნე მსგავსი სიტყვები და გადმოწერე.

აქტივობა 2. მოსმენა-გაგება, კითხვა-გაგება

1. 🎧 track 25 <u>**სრულდება მეოთხე დავალება**</u> - მოისმინე ტექსტი და დააკავშირე სურათთან. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელ სურათთან არის ტექსტი დაკავშირებული.

<u>მოსასმენი ტექსტი:</u> *ცხოვრობს ანტარქტიდაში. წყალში სწრაფად დაცურავს, ხმელეთზე კი ნელა და სასაცილოდ დაბაჯბაჯებს. უყვარს ყინულზე სრიალი და სიმაღლიდან ხტომა წყალში. სადილის შემდეგ იძინებს. დედა დებს კვერცხებს და მამას აძლევს შესანახად. მამა კვერცხებს ფეხებში ინახავს.*

2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 97, № 4. წაიკითხე და მიუწერე შესაბამისი რიცხვი. დაიცავით საკითხავ სავარჯიშოებზე მუშაობის თანამიმდევრული ეტაპები. ამისთვის: ა) ნიმუშის საჩვენებლად სავარჯიშოს ერთ ან ორ პუნქტს ასრულებთ დაფაზე. ბ) აცდით მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობას. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად სვამთ მათ, ვისაც კითხვა უჭირს და ეხმარებით. გ) სამუშაოს შედეგებს დაფასთან ამოწმებთ. შემოწმების პროცესში აუცილებლად ჩართეთ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც დაეხმარეთ (დეტალურად იხ. მასწ. წიგნი 5.5. ა, ბ, გ, დ).
3. <u>**სრულდება წიგნის მეხუთე დავალება**</u> - წაიკითხე და მიუთითე შესაბამისი სურათის ნომერი.
4. <u>**სრულდება წიგნის მეექვსე დავალება**</u> - წაიკითხე. ასწავლეთ მოსწავლეებს სქემის წაკითხვა - მათ კარგად უნდა გაიგონ, რომ ყველა შეკითხვა უკავშირდება ცენტრალურ რგოლს: ნიანგს.
5. მოსწავლეებთან ერთად დაფაზე გამოსახეთ იმავე ტიპის სქემა დელფინისათვის. ამისთვის უნდა დაეყრდნოთ მოსწავლის წიგნის **წინა გვერდზე მოცემულ ტექსტს დელფინზე.** წააკითხეთ ეს ტექსტი მოსწავლეებს და შემდეგ დაიწყეთ მათთან ერთად მსგავსი სქემის აგება. აცადეთ მოსწავლეებს, თვითონ მოიძიონ კითხვებზე

პასუხები *(როგორი ცხოველია? - ჭკვიანი, მხიარული; რა აქვს? - ფარფლები, ყურები; სად ბინადრობს? - ზღვაში; რას აკეთებს - უსტვენს, დაცურავს).*

6. **სრულდება წიგნის მეშვიდე დავალება** - წაიკითხე და დაასახელე, რა ნახეს აქედან აკვარიუმში ბავშვებმა (კითხვის სტრატეგიების შესახებ იხ. მასწ. წ. 5.5. ა, ბ, გ, დ). ავარჯიშეთ მოსწავლეები ტექსტის ხმამაღლა და გამართულად წაკითხვაში.

აქტივობა 3. წერა, ზეპირმეტყველება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 97, № 5. გამოიყენე სქემა, შეავსე ტექსტი და წაიკითხე. გვ. 98, № 1. წაიკითხე ტექსტი პინგვინზე და შეავსე სქემა.პასუხების შესამოწმებლად მოსწავლეებს წააკითხეთ მათ მიერ შევსებული ტექსტი/სქემა.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 98, №2. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.
   ა) დააწერინეთ მოსწავლეებს 3-4- წინადადებიანი ინფორმაციული ტექსტი ერთ-ერთ ცხოველზე. აღნიშნული ტექსტის მოსამზადებლად სამუშაო უნდა წარიმართოს ორ თანამიმდევრულ ეტაპად - ჯგუფებში და ინდივიდუალურად.

ჯგუფური მუშაობა:

ბ) დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად.

გ) ჩამოწერეთ დაფაზე ნასწავლი ცხოველებიდან შემდეგი: *სელაპი, მედუზა, ვეშაპი, თევზი, ლომი.* სურვილისამებრ, ჯგუფები ამოირჩევენ ერთ-ერთ მათგანს.

დ) თითოეული ჯგუფი ამზადებს სქემას



ჯერ ფურცელზე, შემდეგ გადააქვს იგი დაფაზე.

ე) თითოეული სქემა მოწმდება მთელი კლასის მონაწილეობით.

ვ) სქემაზე დაყრდნობით, მოსწავლეები საუბრობენ შესაბამის ცხოველზე.

ინდივიდუალური მუშაობა:

ზ) დაფაზე წარმოდგენილ ერთ-ერთ სქემაზე დაყრდნობით, თითოეული მოსწავლე წერს 3-4-წინადადებიან ტექსტს. (სასურველია,დავალებები შეამოწმოთ ინდივიდუალურად).

მიზნები : ახალი ლექსიკის თვისება, მოსმენა-გაგება, კითხვა-გაგება, კითხვის მოქნილობა, მოდელის მიხედვით მიკროტექსტის შედგენა.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: როგორი ცხოველია? სად ბინადრობს? რა აქვს? რას აკეთებს? - დაცურავს, დახოხავს; რა უყვარს?- წყალში ხტომა, ყინულზე სრიალი და სხვა.

მოსწავლის წიგნი. გვ. 32 32

აქტივობა 1. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. <u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება**</u> - წაიკითხე და დააკვირდი.
2. გადაათამაშეთ: "ვინ?", „რა?" ჰკითხეთ მოსწავლეებს: *ვის აქვს ულვაში? სათვალე? კიკინები? რას აქვს კოპლები? ზოლები? კუზი? ფარფლები?*
3. <u>**სრულდება წიგნის მეორე დავალება**</u> - დასვი შეკითხვა და უპასუხე.
4. თამაში „რა მახსოვს?" - მოსწავლეები ხურავენ წიგნს, თქვენ სვამთ შეკითხვებს. მოსწავლეებმა, ხედვით მეხსიერებაზე დაყრდნობით, უნდა გიპასუხონ: *ვინ არის კიკინებიანი? ვინ არის სათვალიანი? რა არის ზოლებიანი?*
5. <u>**სრულდება წიგნის მესამე დავალება**</u> - წაიკითხე და დააკვირდი.
6. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 99, №3. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან. ჩაწერე შესაბამისი სურათის ნომერი. №4. წაიკითხე შეკითხვები. დააკვირდი სურათებს და უპასუხე. №5. აირჩიე და ჩაწერე კონტექსტის მიხედვით. გვ. 100. №1. დააკვირდი სურათებს, აირჩიე სათანადო ფორმები და შეავსე ტექსტი. №2. წაიკითხე, რას ამბობს დათო და დააკავშირე სურათთან. გვ. 101, №3. წაიკითხე და უპასუხე.

მოსწავლის წიგნი. გვ. 33 33

1. track 26 **<u>სრულდება წიგნის მეოთხე დავალება</u>** - მოისმინე და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.
2. მომზადება **<u>წიგნის მეხუთე დავალების</u>** შესასრულებლად - დაფაზე დაწერეთ შემდეგი კატეგორიები: შინაური ცხოველი, გარეული ცხოველი, მცენარე, კაცი, გოგო. მოსწავლეებმა ამ კატეგორიების მიხედვით უნდა დაახარისხონ სურათებზე წარმოდგენილი პერსონაჟები თუ ცხოველები. ბოლოს ამოწმებთ პასუხებს.
3. კითხვების საშუალებით გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება ცხოველების გარეგნულ ნიშან-თვისებებზე: *რას აქვს კოპლები? ვის და რას აქვს ულვაშები?* და სხვა.
4. მეორე დავალების ჩარჩოში მოცემულია დამხმარე კონსტრუქციები. მათზე დაყრდნობით შეადგინეთ და თქვით რამდენიმე გამოცანა; მოსწავლეები ამოიცნობენ, რა გაქვთ ჩაფიქრებული (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. 5. 4).
5. **<u>სრულდება წიგნის მეხუთე დავალება</u>** - ახლა შენ სცადე, ჩაიფიქრე ერთი და დაახასიათე. სასურველია, მოსწავლეებმა წყვილებში მოამზადონ გამოცანა. მომზადების პროცესში იარეთ რიგებში და, საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მოსწავლეებს.
6. **<u>სრულდება წიგნის მეექვსე დავალება</u>** - ისაუბრე შენი საყვარელი ცხოველის ან ფრინველის შესახებ. მოსწავლეთა დასახმარებლად გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია (იხ. მასწ. წ. 5. 4).

მიზნები : ინტერაქცია ცხოველებზე, ცხოველის დახასიათება.







მოსწავლის წიგნი. გვ. 34 34

აქტივობა 1. განვლილი მასალის გამეორება

ამ გვერდზე წარმოდგენილი აქტივობების საშუალებით მოსწავლეები იმეორებენ თემაში განვლილ მასალას. თქვენ აკვირდებით, რამდენად აითვისეს იგი მოსწავლეებმა და, საჭიროებისამებრ, გეგმავთ დამატებით აქტივობებს.

<u>თანამიმდევრულად სრულდება წიგნში მოცემული დავალებები</u>

1. **<u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u>** - დააკვირდი სურათს და დაასახელე, რა ცხოველებია.
2. **<u>სრულდება მეორე დავალება</u>** - წაიკითხე და მოძებნე სურათზე. მიუთითე შესაბამისი ციფრი.
3. **<u>სრულდება მესამე დავალება</u>** - წაიკითხე და გამოიცანი, რომელ ცხოველზე ამბობს ია.
4. **<u>სრულდება მეოთხე დავალება</u>** - რა ნახა გიამ ზოოპარკში. აღწერე ეს ცხოველები და წაიკითხე. ეს დავალება წერილობით სრულდება რვეულში.

მოსწავლის წიგნი. გვ. 35 35

აქტივობა 1. პროექტების შესრულება და წარდგენა

მიზანი: თემაში ნასწავლი ენობრივი მასალის გამეორება და გამოყენება.

მოსწავლის წიგნი. გვ. 36-37

აქტივობა 1. ლექსიკის ათვისება, ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. მოსწავლეები ათვალიერებენ თემის ძირითად სურათს, ასახელებენ ნაცნობ პერსონაჟებს, ნაცნობ საგნებს.
2. ჰკითხეთ მოსწავლეებს: *რა ჩანს სურათზე, სოფელი თუ ქალაქი? თქვენ სად ცხოვრობთ, სოფელში თუ ქალაქში? სად ცხოვრობენ გია და ია, სოფელში თუ ქალაქში?*
3. მოსწავლეები კითხულობენ წარწერებს, ეცნობიან ახალ სიტყვებს.
4. მოსწავლეები პასუხობენ თქვენს კითხვებს: *სად არის სკოლა? მარკეტი? თეატრი?*
5. ჩამოათვლევინეთ მოსწავლეებს, რა არის და რა არ არის მათ სოფელში/ქალაქში. მაგ., ჩვენს სოფელში/ ქალაქში არის: *ქუჩა, მაღაზია, ტროტუარი, სკოლა, კინო, ავტობუსის გაჩერება, გადასასვლელი; არ არის შადრევანი, თეატრი* და სხვა.
6. დაუსვით მოსწავლეებს რაც შეიძლება მეტი შეკითხვა: *სად დგას ავტობუსი? ვინ დგას გაჩერებაზე? ვინ ხატავს? რა არის ბიჭის წინ? სად არიან მანქანები? ვის ელაპარაკება პოლიციელი? რას აკეთებს ლია? სად არიან დათო და ლია?*
7. მოსწავლის რვეულის პირველი სავარჯიშოს სურათზე დაყრდნობით შეასრულეთ შემდეგი ლექსიკური სავარჯიშო: **ა)** ასახელებთ სიტყვას, მოწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი სურათის ნომერი; **ბ)** ასახელებთ სურათების ნომრებს; მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამის სურათზე გამოხატული საგანი. ბოლოს ყველანი ერთად ასახელებთ სიტყვებს. **გ)** ასახელებთ სიტყვას და ნომერს. ნომერი ხან შეესაბამება სიტყვას, ხან არა. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, სწორია თუ არა თქვენი ნათქვამი. თუ ნათქვამი არასწორია, მათ უნდა თქვან თქვენ მიერ დასახელებული სიტყვის შესაბამისი სურათის ნომერი.
8. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 102, № 1. წაიკითხე და დააკავშირე სურათთან. ჩაწერე შესაბამისი სურათის ნომერი. №2. დაასახელე და ჩაწერე: რა არის აქედან მარტო ქალაქში? რა არის მარტო სოფელში? რა არის ქალაქშიც და სოფელშიც? გვ. 103, №3. რა არის აქედან შენს სოფელში/ ქალაქში? დაასახელე და ჩაწერე. გვ. 103, №4. დახატე შენი (ან ნაცნობი) ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა, გააფერადე და აღწერე. მოსწავლეები აღწერენ საკუთარ ნახატს.
9. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 103, №5. წაიკითხე და ჩასვი შესაბამისი სიტყვა. წააკითხეთ მოსწავლეებს შევსებული ტექსტი და შემდეგ დაუსვით კითხვები იმავე ენობრივი მასალის გამოყენებით: *ბევრი მანქანა დადის ჩვენს ქალაქში/სოფელში? არის თუ არა სუპერმარკეტი? დგას თუ არა შუქნიშანი ჩვენს გადასასვლელზე? არის თუ არა შადრევანი ჩვენს სოფელში/ ქალაქში?*
10. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 104, №1. აღწერე სურათი. მოძებნე მსგავსება და განსხვავება შენს ნახატთან და დაასახელე. № 2. მოძებნე სურათზე და დაასახელე.

აქტივობა 2. მოსმენა-გაგება, კითხვა-გაგება, ინტერაქცია

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 104, №3. წაიკითხე ტექსტი, უპასუხე შეკითხვებს და ჩაწერე. დაიცავით საკითხავ სავარჯიშოებზე მუშაობის თანამიმდევრული ეტაპები: ა) ნიმუშის საჩვენებლად სავარჯიშოს ერთ ან ორი პუნქტი შეასრულეთ დაფაზე. ბ) დააცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად უნდა დასხათ ის მოსწავლეები, რომელთაც კითხვა უჭირთ და დაეხმაროთ. გ) სამუშაოს შედეგები შეამოწმეთ დაფასთან. რვ. სავ. გვ. 105, №4. თავიდან წაიკითხე ტექსტი და დახატე. სამუშაოს დასრულებისას მოსწავლეები აღწერენ საკუთარ ნახატს.
2. 🎧 track 27 მოსწავლეები ისმენენ დიალოგებს და მიუთითებენ შესაბამის ნახატებზე.

პოსტერის მოსასმენი დიალოგები:

1. **<u>ია და ვიღაც ბაბუა:</u>**
   - *რატომ ტირიხარ, გოგონა?*
   - *არ ვიცი, სად არის ჩემი სახლი...*
   - *სად ცხოვრობ, იცი?*
   - *კი, აბაშიძის ქუჩაზე.*
   - *ნუ ტირიხარ, აქვეა შენი ქუჩა. წამოდი, მეც იქით მივდივარ.*
2. **<u>რეზო და პოლიციელი:</u>**
   - *აქ რატომ დგახარ?*
   - *იქით მინდა გადასვლა და...*
   - *მერე აქ არის გადასასვლელი?*
   - *არ ვიცი, სად არის გადასასვლელი...*
   - *წამოდი, გაჩვენებ. აი, შუქნიშანს ხედავ? იქ...*
3. **<u>მზია და ვიღაც ქალი:</u>**
   - *გამარჯობა! ექვსი ნომერი ავტობუსი აქ ჩერდება?*
   - *კი, აქ ჩერდება. ზუსტად ახლა წავიდა ექვსი ნომერი.*
4. **<u>გია და ვიღაც ბიჭი:</u>**
   - *რა გქვია?*
   - *გია, შენ?*
   - *მე - სოსო.*
   - *რას ხატავ, სოსო?*
   - *ახლა იმ ძაღლს ვხატავ. შენ რას აკეთებ აქ მარტო?*
   - *მეგობრებს ვეძებ...*
5. **<u>დათო და ლია:</u>**
   - *კიდევ შორს არის ჩვენი გაჩერება?*
   - *არა, აი, მოვედით უკვე.*

3. track 29 სრულდება რვ. სავ. გვ. 105, №5. მოისმინე და მოძებნე, ვის რა უნდა. მოსმენამდე კარგად გააცანით მოსწავლეებს ცხრილის მონაცემები. დაიცავით მოსასმენ სავარჯიშოზე მუშაობის ეტაპები: ა) ერთი პუნქტი შეასრულეთ დაფაზე; ბ) აცადეთ მოსწავლეებს და-

მოუკიდებლად მუშაობა; გ) ხელმეორედ მოასმენინეთ მოსწავლეებს ტექსტი ინფორმაციის შევსება-გასწორების მიზნით; ე) ერთობლივად (მოსწავლეების თანამონაწილეობით) შეამოწმეთ პასუხები. შემოწმებისას, საჭიროებისამებრ, კვლავ მოასმენინეთ ტექსტი მოსწავლეებს.

მოსასმენი ტექსტი

1. ია და ბაბუა
- *რატომ ტირიხარ, გოგონა?*
- *არ ვიცი, სად არის ჩემისახლი...*

2. რეზო და პოლიციელი
- *აქ რატომ დგახარ?*
- *იქით მინდა გადასვლა და...*

3. მზია და ქალი
- *გამარჯობათ! ექვსი ნომერი ავტობუსი აქ ჩერდება?*
- *კი, აქ ჩერდება.*

4. გია და ბიჭი
- *შენ რას აკეთებ აქ მარტო?*
- *მეგობრებს ვეძებ.*

4. track 30 სრულდება რვ. სავ. გვ. 106, №1. მოისმინე და მონიშნე სწორი ვარიანტი (მოასმენინეთ მოსწავლეებს რეზოსა და პოლიციელის დიალოგი).
5. track 31 სრულდება რვ. სავ. გვ. 106 №2. მოისმინე და მონიშნე სწორი ვარიანტი (მოსწავლეებს მოასმენინეთ გიას და სოსოს დიალოგი.

მოსასმენი ტექსტი

- *რა გქვია?*
- *გია, შენ?*
- *მე - სოსო.*
- *რას ხატავ, სოსო?*
- *ახლა იმ ძაღლს ვხატავ. შენ რას აკეთებ აქ მარტო?*
- *მეგობრებს ვეძებ...*

6. მიუბრუნდით ძირითად სურათს. წარმოთქვით სურათზე გამოსახულ სიტუაციებთან დაკავშირებული რაიმე სიტყვა. მოსწავლეებმა ამ სიტყვის გამოყენებით უნდა შეადგინონ წინადადება. მაგ., *მანქანები - ქუჩაში მანქანები მიდიან; დგას - შუქნიშანი დგას გადასვლელთან/მზია დგას გაჩერებასთან* და სხვა. ერთ სიტყვაზე შეიძლება რამდენიმე წინადადების შედგენა. მოსწავლეთა მიერ ნათქვამი წინადადებები დაწერეთ დაფაზე და მათთან ერთად გაასწორეთ. სწორი ვარიანტი გაამეორებინეთ რამდენიმე მოსწავლეს.
7. track 28 მოსწავლეები ისმენენ სიმღერას (ლეგენდა თბილისზე)

მიზნები: ახალი ლექსიკის ათვისება, ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით, მოსმენა-გაგება, კითხვა-გაგება.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: ქალაქი, გადასასვლელი, შადრევანი, ქუჩა, ტროტუარი, გაჩერება, გა-

დასასვლელი, შუქნიშანი, თეატრი, კინო, სუპერმარკეტი.

მოსწავლის წიგნი. გვ. 38 38

აქტივობა 1. ლექსიკის ათვისება

1. **<u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u>** - დააკვირდი და დაასახელე, რომელი ტრანსპორტი დადის შენს ქალაქში.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 106, №3. დააკვირდი და მონიშნე, ამათგან რომელი გყავს სახლში.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 106, № 4. დასვი შეკითხვა და უპასუხე. იმუშავეთ წყვილებში. ნიმუშის მისაცემად თავდაპირველად თქვენ გაითამაშეთ დიალოგი მოსწავლეებთან ერთად.
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 107, № 5. მონიშნე , როგორი შეიძლება იყოს მანქანა, ველოსიპედი.
5. სრულდება რვ. სავ. გვ. 107, №6. დააკვირდი და დაასახელე, რომელია უფრო სწრაფი. მოსწავლეებს ათქმევინეთ დასრულებული წინადადებები *(მოტოციკლეტი ველოსიპედზე უფრო სწრაფია)*.
6. სრულდება რვ. სავ. გვ. 107, №7. წაიკითხე, მოძებნე და მიუწერე. გვ. 108, №1. დაასახელე და ჩაწერე.
7. დაუკავშირეთ შეკითხვები მოსწავლეთა პირად გამოცდილებას: *ვის აქვს/ჰყავს ველოსიპედი, მანქანა, სატვირთო მანქანა? როგორი? - სწრაფი, ძველი, ახალი, დიდი, პატარა; ვის უნდა ველოსიპედი, მოტოციკლეტი, გემი?* და ა.შ.



აქტივობა 2. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით, მოსმენა-გაგება

1. **<u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u>** - მოძებნე განსხვავება და დაასახელე. სთხოვეთ მოსწავლეებს სურათის აღწერა. გაამახვილეთ მათი ყურადღება შუქნიშანზე და ბიჭის ქცევაზე (პირველი და მეორე სურათის მიხედვით): *რომელი ფერი ანთია? აქ რას აკეთებს ბიჭი? დგას თუ მიდის? - მიდის, გადადის ქუჩაზე. რას აკეთებს, გადადის? - არა, დგას. რას უყურებს? - შუქნიშანს. რას ელოდება? - ელოდება მწვანე შუქს.*
2. **<u>მომზადება მესამე დავალების შესასრულებლად</u>** - ავარჯიშეთ მოსწავლეები შემდეგ ლექსიკურ ერთეულებზე: *შუქი, გამწვანდა, გაყვითლდა, გაწითლდა, ელოდება.* ამისათვის გამოიყენეთ მწვანედ, წითლად და ყვითლად გაფერადებული მრგვალი ფორმის ქაღალდები. დახატეთ დაფაზე შუქნიშანი, მონაცვლეობით დაადეთ მწვანე, ყვითელი და წითელი ქაღალდები და ლექსიკის გადასათამაშებლად გამოიყენეთ შემდეგი ტიპის შეკითხვები: *ეს რა ფერის შუქია? ახლა რა მოხდა, შუქნიშანი გამწვანდა თუ გაწითლდა?*
3. **გადაათამაშეთ** *„ელოდება“* წიგნის შესაბამის სურათებზე დაყრდნობით: *ამ სურათზე ბიჭი რას ელოდება? - მწვანე შუქს. ამ სურათზე ელოდება თუ არა მწვანე შუქს? სწორია თუ არა? - არა. უნდა დაელოდოს მწვანე შუქს.*
4. track 32 **<u>სრულდება წიგნის მესამე დავალება</u>** - მოისმინე და მიუთითე სურათზე. დავალების შესრულებამდე ასწავლეთ მოსწავლეებს სახელი უჩა: *უჩა ბიჭის სახელია, ვნახოთ, რომელია უჩა, ეს ბიჭი თუ ის.*

   <u>მოსასმენი ტექსტი:</u>

   ელოდება გულდასმით,-
   ამწვანდება კაცუნა,
   უჩა მაშინ გადაჭრის
   ქუჩას... როგორ? - კაცურად!
5. **დაწერეთ დაფაზე:** მოძრაობის წესები და აუხსენით უჩასთან დაკავშირებული სიტუაციის გამოყენებით: *უჩა იცავს მოძრაობის წესებს - უყურებს შუქნიშანს; მეორე ბიჭი არ იცავს მოძრაობის წესებს - არ უყურებს შუქნიშანს!*
6. **დაუკავშირეთ შეკითხვები მოსწავლეთა პირად გამოცდილებას:** *შენ უყურებ შუქნიშანს ქუჩაზე გადასვლის დროს?*
7. სრულდება რვ. სავ. გვ. 108, №2. მოძებნე განსხვავება და დაასახელე. კითხვების გამოყენებით გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება შემდეგ ელემენტებზე:

რომელ სურათებზე არის/არ არის გადასასვლელი, შუქნიშანი.

8. სრულდება რვ. სავ. გვ. 108, №3. მონიშნე ცხრილში.

აქტივობა 3. ლექსის მოსმენა-გაგება და დასწავლა

1. track 33 სრულდება რვ. სავ. გვ. 108, №4. მოისმინე და მიუთითე, რომელ სურათზეა უჩა?
2. ასწავლე მოსწავლეებს ლექსი ზეპირად. (იხ. მასწ. წიგნი, გვ. 35, აქტივობა 5)

მოსასმენი ტექსტი

უჩა მიდის ქუჩაში,
უჩა დიდი ბიჭია,
უჩას ხელა ბიჭებმა
უკვე კარგად იციან,
რომ უსაფრთხოდ მგზავრობას
წესები აქვს თავისი,
უამრავი ნიშანი
მოიგონეს ამისთვის.
ყველა გადასასვლელთან,
როგორც დედამ ურჩია,
უჩა დინჯად ჩერდება,
უჩა განა ურჩია?
ელოდება გულდასმით,-
ამწვანდება კაცუნა,
უჩა მაშინ გადაჭრის
ქუჩას... როგორ? - კაცურად!

3. track 34 მოსწავლეები ისმენენ სიმღერას და შემდეგ მღერიან (ავტომობილი).

აქტივობა 4. ინსტრუქციების გაგება, მოსმენა-გაგება, კითხვა-გაგება

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 109, №5. გააფ-

ერადე და დააკავშირე ერთმანეთთან.

2. სრულდება რვ. სავ. გვ. 109, №6. გააფერადე შუქნიშანი. წაიკითხე და დააკავშირე ფერებთან. №7 . წაიკითხე და დააკავშირე შესაბამის ნიშანთან. გვ. 110, №1. დააკვირდი სურათს და მიუთითე, სად შეიძლება იყოს ეს საგზაო ნიშნები.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 110, №2. დააკვირდი სურათს. წაიკითხე და ჩაწერე, ვინ არიან რეზო, გია და ია. №3. იპოვე სიტყვაში სიტყვა და შემოხაზე.
4. დაუკავშირეთ კითხვები მოსწავლეთა გამოცდილებას: *ვის ჰყავს ოჯახში/ნათესაობაში პოლიციელი ან მძღოლი? ვინ არის? როგორია? სად ცხოვრობს? რა მანქანა ჰყავს?* და *სხვა.*
5. track 35 <u>**სრულდება წიგნის მეოთხე დავალება**</u> - დააკვირდი სურათებს და მოისმინე ჯანი როდარის მხიარული ამბავი.

მოსასმენი ტექსტი.

ლურჯი შუქნიშანი *(ჯანი როდარის მიხედვით)*

ერთხელ ერთ ქალაქში ერთ მოედანზე შუქნიშანს ერთი უცნაური ამბავი დაემართა. სამივე ფერი გალურჯდა - წითელიც, ყვითელიც და მწვანეც. შუქნიშანი სამივე თვალს ლურჯად აბრიალებდა და მარტო ლურჯ შუქს ანათებდა.

- რა მოხდა, რა ამბავიაო?! - ყვიროდნენ მანქანების ფანჯრებიდან თავგამოყოფილი მძღოლები. ყველა დაიბნა, არ იცოდნენ, რა ექნათ, წასულიყვნენ თუ გაჩერებულიყვნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა პოლიციელი და შუქნიშანს თავისი ფერები დაუბრუნა.

6. <u>**სრულდება წიგნის მეხუთე დავალება**</u> - წაიკითხე და მოძებნე სურათებზე. დაასახელე შესაბამისი სურათის ნომერი.
7. მოსწავლეები აღწერენ ჯერ ერთ, შემდეგ მეორე სურათს (თქვენი დახმარებით).
8. ამ ეტაპზე შეგიძლიათ მიუბრუნდეთ თემის ძირითად სურათს და დეტალურად ააწერინოთ იგი მოსწავლეებს.

მიზანი: ლექსიკის ათვისება, ინტერაქცია მოძრაობის წესებზე, მოსმენა-გაგება, ლექსის დასწავლა, ინსტრუქციების გაგება.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: გალურჯდა, გამწვანდა, აქ შეიძლება/არ შეიძლება ველოსიპედით მოძრაობა/გადასვლა, აქ არის გადასასვლელი. ტრანსპორტის სახეობები: ტრაქტორი, სატვირთო მანქანა, მატარებელი და სხვა.

მოსწავლის წიგნი. გვ. 39

39

აქტივობა 1. ლექსიკის ათვისება, კითხვა-გაგება

1. აუხსენით მოსწავლეებს შემდეგი სიტყვების მნიშვნელობა: *სუფთა, ჭუჭყიანი, დასვრილი*. გამოიყენეთ ამისთვის სუფთა და ჭუჭყიანი ან დასვრილი ნივთები (მა., წიგნი, ფურცელი, ჩანთა, ჭიქა, რვეული და სხვა).
2. აუხსენით მოსწავლეებს სიტყვა *„ლაქის“* მნიშვნელობა. გამოიყენეთ ამისთვის თვალსაჩინოება (მაგ., შეგიძლიათ მელნის, წვენის ან სხვა სითხის გამოყენებით მოსწავლეთა თვალწინ დაალაქავოთ ფურცელი ან რაიმე ნაჭერი; ან თან იქონიოთ რაიმე დალაქული ნივთი).
3. აუხსენით მოსწავლეებს სიტყვა *„თხუპნიას“* მნიშვნელობა.
4. მოსწავლეები აკვირდებიან წიგნის სურათებს *(ერთი პატარა ლაქა)* და პასუხობენ თქვენს კითხვებს: *რომელი ბიჭუნაა თხუპნია? როგორი ტანსაცმელი აცვია? რა აქვს ტანსაცმელზე?*
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 110, № 4. წაიკითხე და იპოვე განსხვავებული სიტყვა. №5. დააკვირდი და თქვი, როგორია. გვ. 111, №6. მოძებნე წყვილები და შეაერთე.
6. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 111, №7. წაიკითხე და უპასუხე შეკითხვებს. გვ. 112, №1. წაიკითხე და შემოხაზე სწორი პასუხი. დაიცავით საკითხავ სავარჯიშოებზე მუშაობის თანამიმდევრული ეტაპები: ა) ნიმუშის საჩვენებლად სავარჯიშოს ერთი ან ორი პუნქტი შეასრულეთ დაფაზე. ბ)


6. დააკვირდი სურათებს და აღწერე.

7. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან.

ერთი პატარა ლაქა
(ლეონა ცუცქირიძის მიხედვით)

ა. იყო ერთი თხუპნია ბიჭი. ბიჭს არ უყვარდა ხელ-პირის დაბანა. ამიტომ მის ტანსაცმელზე თოსნანირი ლაქა იდო: ეს ფლოსასტერის ლაქაო, ეს კანარეიკაო, ეს კი ნაყინისაო. ერთხელაც ერთი პატარა ლაქა გადმოხტა ბიჭის მაჯიდან და იატაკზე მოადინა ზღაპრისაენ.

ბ. პატარა ლაქა ხტუნე-ხტუნეიო ერთ დიდ პარკ მი მივიდა. ვიგაფიტულის თამალი დიდე ადგა. პატარა ლაქა მაჯრეკენის ერთი პატარა ქვაზე დაჯდა და ამეთ-ოქეთ ვეკრეგა დაიწყო.

გ. მაჯრეკენთან ერთი პატარა ბიჭი მივიდა და ამ ქვის ვეკრეგაი დაიგა. ალიო ფეფილეები და ფანტრეები და ფალიგეთ ხატეგა. ჯერ ძალელი დახატა, მერე მაჯრეკენი და წოიელი მანქანა დახატა.

8. მოისმინე ამბის დასასრული და დახატე.

დააცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად სვამთ მათ, ვისაც კითხვა უჭირს და ეხმარებით. გ) სამუშაოს შედეგებს ერთობლივად (მოსწავლეების თანამონაწილეობით) განიხილავთ შეცდომების გასწორების მიზნით (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. 5, 5).

აქტივობა 2. სურათის აღწერა, კითხვა-გაგება, კითხვის მოქნილობა

1. **<u>სრულდება მეექვსე დავალება</u>** - დააკვირდი სურათებს და აღწერე.
2. სათაურსა და სურათებზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა - წააკითხეთ მოსწავლეებს ტექსტის სათაური და დარწმუნდით, რომ მისი შინაარსი ყველასთვის გასაგებია.
3. მოსწავლეები კვლავ აკვირდებიან სურათებს, ეძებენ კავშირს სათაურსა და სურათებს შორის და გამოთქვამენ ვარაუდებს ტექსტის შინაარსზე.
4. **<u>სრულდება მეშვიდე დავალება</u>** - წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან. ამ ეტაპზე მოსწავლეებს არ სჭირდებათ ტექსტის თითოეული მონაკვეთის დეტალურად და ამომწურავად გაგება (იხ. მასწ. წ. 5, 6).
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 112, №2. წაიკითხე და მიუწერე **კი** ან **არა**. ასეთი ტიპის სავარჯიშოების შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ პასუხების შედარება-შეჯერების პროცესს. სწორი პასუხის დასადგენად მოსწავლეები მიაბრუნეთ ტექსტთან და აცადეთ, ტექსტზე დაყრდნობით გაამყარონ საკუთარი მოსაზრება (საიდან ჩანს, რომ მათი პასუხი სწორია). ასეთი მიდგომით თქვენ შეძლებთ წარმატებული მკითხველების აღზრდას (დაწვრილებით იხ. მას.წ. 5, 5).
6. მოსწავლეები გკარნახობენ იმ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა არ იციან. თქვენ მათ დაფაზე ჩამოწერთ. განმარტავთ სიტყვებს კლასის მონაწილეობით - თავდაპირველად გაარკვიეთ, ვინმემ თუ იცის ეს სიტყვა. თუ კლასში აღმოჩნდება ასეთი მოსწავლე, სთხოვეთ მას, რომ აუხსნას თანაკლასელებს მისი მნიშვნელობა. თუ სიტყვის მნიშვნელობა ყველასთვის უცნობია, მოსწავლეებს გამოათქმევინეთ ვარაუდები კონტექსტზე დაყრდნობით *(როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვა?)*. დასასრულ, განუმარტეთ მოსწავლეებს სიტყვის მნიშვნელობა.
7. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 112, №3. გაასწორე არასწორი წინადადებები და გადაწერე.

8. ავარჯიშეთ მოსწავლეები ტექსტის ხმამაღლა წაკითხვაში.

აქტივობა 3. სურათზე დაყრდნობით ამბის გადმოცემა, მოსმენა-გაგება, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. მოსწავლეები სურათებზე დაყრდნობით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. საჭიროებისამებრ, ეხმარებით მათ.
2. track 36 <u>**სრულდება წიგნის მერვე დავალება**</u> - მოისმინე და დახატე, როგორ დამთავრდა ეს ამბავი.

მოსასმენი ტექსტი *(ამბის დასასრული)*

ბიჭმა აიღო წითელი ფანქარი და ლაქაზე წითელი ვაშლი დახატა. მერე ყვითელი ფანქრით მსხალი დახატა, მერე მწვანე ფანქრით - მინდორი. მერე ყავისფერი ფანქრით ხეები დახატა. ხეებზე ბიჭმა ვარდისფერი და იისფერი პატარა ყვავილებიც დახატა და ეს ნახატი თავის დედას აჩუქა.

3. სრულდება რვ. სავ. გვ. 113, №4. დააკავშირე ერთმანეთთან. №5. დააკავშირე, გადაწერე და წაიკითხე. №6. აირჩიე და ჩაწერე. გვ. 114, №1. წაიკითხე, აირჩიე და ჩაწერე. № 2. აირჩიე და ჩაწერე, ვინ რითი თამაშობს ბურთს.

მოსწავლის წიგნი. გვ. 40

აქტივობა 1. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, მოსმენა-გაგება

1. <u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება**</u>- დააკვირდი და წაიკითხე.
2. <u>**სრულდება წიგნის მეორე დავალება**</u> - წაიკითხე და გაიმეორე.
3. ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვინ რით მიდის სკოლაში/სახლში.



4. track 37 სრულდება რვ. სავ. 40 114, №3. მოისმინე და მონიშნე სათანადო უჯრა. სავარჯიშოს დაწყებამდე გააცანით მოსწავლეებს შესავსები ცხრილი. დაიცავით მოსასმენ სავარჯიშოზე მუშაობის ეტაპები: ა) ერთი ნიმუში შეასრულეთ ; ბ) აცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა; გ) ხელმეორედ მოასმენინეთ ტექსტი მოსწავლეებს ინფორმაციის შევსება-გასწორების მიზნით; ე) პასუხები შეამოწმეთ-შეასწორეთ ერთობლივად (მოსწავლეების თანამონაწილეობით). შემოწმებისას, საჭიროებისამებრ, კვლავ მოასმენინეთ ტექსტი მოსწავლეებს (იხ. მასწ., წიგნი 5.1, 2).

მოსასმენი ტექსტი

1. რეზო: - სკოლა ჩემს სახლთან არის. გადასასვლელზე გადავდივარ და იქვეა. ამიტომ სკოლაში ფეხით მივდივარ.
2. მზია: — ჩემი სკოლა არ არის ახლოს, მაგრამ მე მაინც ფეხით მივდივარ.
3. დათო: — ავტობუსი არ მიყვარს, მაგრამ მაინც ავტობუსით მივდივარ სკოლაში.
4. ლია: — ჩემი სკოლა არ არის შორს, მაგრამ მე მაინც მამაჩემის მანქანით მივდივარ სკოლაში.

5. track სრულდება რვ. სავ. გვ. 115, №4. მოისმინე, რა მიზეზებს ასახელებენ ბავშვები და მონიშნე სწორი ვარიანტები. მოსწავლეები ისმენენ იმავე ტექსტს. არ დაგავიწყდეთ, მოსმენამდე მოსწავლეებს წააკითხოთ სავარჯიშოს მონაცემები, რათა მათ ტექსტი მიზნობრივად მოისმინონ.

მოსასმენი ტექსტები: *(ისმენენ ცალ-ცალკე)*

1. <u>*მოუსმინე რეზოს:*</u>
სკოლა ჩემს სახლთან არის. გადასასვლელზე გადავდივარ და იქვეა. ამიტომ სკოლაში ფეხით მივდივარ.
2. <u>*მოუსმინე მზიას:*</u>
ჩემი სკოლა არ არის ახლოს, მაგრამ მე მაინც ფეხით მივდივარ იმიტომ, რომ ფეხით სიარული ძალიან მიყვარს.
3. <u>*მოუსმინე დათოს:*</u>
ავტობუსი არ მიყვარს, მაგრამ მაინც ავტობუსით მივდივარ სკოლაში იმიტომ, რომ შორს ვცხოვრობ.
4. <u>*მოუსმინე ლიას:*</u>
ჩემი სკოლა არ არის შორს, მაგრამ მე მაინც მამაჩემის მანქანით მივდივარ სკოლაში. მამაჩემი ჩვენს სკოლაში მუშაობს, მათემატიკას ასწავლის.

6. სრულდება რვ. სავ. გვ. 116, №1. აირჩიე, ჩაწერე და წაიკითხე. №2. შენ რითი მიდიხარ სკოლაში? ჩაწერე და წაიკითხე. №3. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ. №4. ჩაწერე, გაქვს თუ გყავს.

აქტივობა 2. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე (აქვს/ჰქონდა), კითხვა-გაგება

1. <u>**სრულდება წიგნის მესამე დავალება**</u> - წაიკითხე და დააკვირდი.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 117, №5. დააკვირდი სურათს. აირჩიე და ჩაწერე, რას აკეთებენ. 117, №6. წაიკითხე და უპასუხე.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 117, №7. დააკვირდი სურათს. აირჩიე და ჩასვი შესაბამისი სიტყვა.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 118, №1. დააკვირდი სურათს. წაიკითხე, დაასახელე, ვინ ამბობს და ჩაწერე.

აქტივობა 3. ინტერაქცია, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. ავარჯიშეთ მოსწავლეები წინა სავარჯიშოში მოცემული ზმნების ფორმათა გამოყენებაზე. გთავაზობთ აქტივობებს:

ა) კითხვების დასმა: *რა გქონდა გუშინ? რა დახატეთ გუშინ?*

ბ) სიტუაციების შექმნა. მაგ., მოსწავლეები იმახსოვრებენ, ვინ სად ზის. სვამთ კითხვებს: *სად ზის თამრიკო? თინა? ნიკო? დანიელი?* დასახელებული მოსწავლეები გამოგყავთ დაფასთან და შემდეგ კვლავ ეკითხებით მოსწავლეებს: *მაჩვენეთ, სად იჯდა თამრიკო? თინა?* შემდეგ ჰკითხეთ დაფასთან მდგარ მოსწავლეებს: *სად იჯექი?*

გ) მრავლობითი რიცხვის ფორმების გამოყენების მიზნით გაათამაშეთ იმავე ტიპის აქტივობა წყვილებში: *სად ისხედით?*

დ) დააყენეთ მოსწავლეები სხვადასხვა ადგილზე (კარადის წინ, დაფასთან, კარის



გვერდით და სხვა). აცადეთ, ყველამ დამახსოვროს, ვინ სად დგას (თქვენ შეიძლება მოინიშნოთ, რომ შემდეგ პასუხები გასწოროთ). შემდეგ დასვით მოსწავლეები და დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები: *სად იდგა თამრიკო? ნიკო?* და სხვა. შეიძლება არაერთი სიტუაციის მოფიქრება ამ ფორმების გასათამაშებლად.

2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 118, №2. დააკვირდი და აღწერე სურათი. გვ. 119, №3. დახურე რვეული და გაიხსენე, რომელი სად იდგა, რომელი სად იჯდა, რომელი სად იწვა. №4. წაიკითხე და დააკავშირე. №5. მონიშნე, რა იდგა ოთახში.

მიზნები: დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, ინტერაქცია

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: *რით მიდიხარ? ფეხით. რა გყავს/ რა გაქვს? გია იწვა, დედა და მამა სხედან; მე ვიწექი, მზია იდგა შადრევანთან* და სხვა.

მოსწავლის წიგნი. გვ. 41 41

აქტივობა 1. ინტერაქცია

1. 🎧 track 39 <u>**სრულდება მეოთხე დავალება**</u> - მოისმინე და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად და გაიმეორე.

<u>*მოსასმენი ტექსტი:*</u>

რა იდო ყუთში?
- ჩანთა.
- რა მქონდა ჩანთაში?
- ჩანთაში გქონდა ფანქარი.
- რა ფერის იყო?
- წითელი.
- კიდევ რა მქონდა ჩანთაში?
- კიდევ იყო წიგნი.
- როგორი?
- ნახატებიანი და ჰქონდა წითელი ზოლი.

2. გაავარჯიშეთ მოსწავლეები დიალოგის ხმამაღლა და გამოთქმით წაკითხვაში.
3. <u>**სრულდება წიგნის მეხუთე დავალება**</u> - ნახე, რა აქვს შენს მეწყვილეს ჩანთაში, დაიმახსოვრე და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები. მოსწავლეთა დასახმარებლად გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია (იხ.მასწ. წიგნი, 5, 4).
4. <u>**სრულდება წიგნის მეექვსე დავალება**</u> - დააკვირდი სურათს და დაიმახსოვრე. დახურე წიგნი და გაიხსენე, რა იყო სურათზე. აქაც მოდელირების სტრატეგიას მიმართეთ.

მიზნები: ზეპირმეტყველება, დიალოგების გათამაშება და ნასწავლი ენობრივი ფორმების გამოყენება.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: მქონდა, იყვნენ, იჯდა, ვისხედით, იდო, იწვა და სხვა.

მოსწავლის წიგნი. გვ. 42

42

აქტივობა 1. განვლილი მასალის გამეორება

ამ გვერდზე წარმოდგენილი აქტივობების საშუალებით მოსწავლეები იმეორებენ თემაში განვლილ მასალას. თქვენ აკვირდებით, რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა მასალა და, საჭიროებისამებრ, გეგმავთ დამატებით აქტივობებს.

<u>თანამიმდევრულად სრულდება წიგნში მოცემული დავალებები:</u>

1. დააკვირდი და დაასახელე, ტრანსპორტის რომელი სახეობებია სურათზე?
2. წაიკითხე და მოძებნე სურათზე.
3. დააკვირდი სურათს და მიუთითე.

მოსწავლის წიგნი. გვ. 43

43

აქტივობა 6. პროექტების შესრულება და წარდგენა

მიზანი: თემაში ნასწავლი ენობრივი მასალის გამეორება და გამოყენება.





მოსწავლის წიგნი. გვ. 44-45 (44 45)

აქტივობა 1. ახალი ლექსიკის სწავლა

1. მოსწავლეები აკვირდებიან თემის ძირითად სურათს, კითხულობენ წარწერებს, ასახელებენ ნაცნობ ნივთებსა და პერსონაჟებს.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 120, №1. დააკვირდი სურათებს და წაიკითხე, რისი მაღაზიაა. ჰკითხეთ მოსწავლეებს თითოეულ მაღაზიასთან დაკავშირებით: *რა არის ამ მაღაზიაში?* ამ მაღაზიაში? და ა.შ. დაეხმარეთ მოსწავლეებს ნივთების დასახელებაში.
3. მოსწავლეებთან ერთად დაასახელეთ ყველა ნივთი.
4. რვეულის პირველ სავარჯიშოზე დაყრდნობით შესთავაზეთ მოსწავლეებს სახალისო აქტივობები:

ა) ასახელებთ ნივთს, მოსწავლეები ასახელებენ შესაბამის მაღაზიას. შეიძლება გუნდური შეჯიბრის მოწყობა: ერთი გუნდი ასახელებს ნივთს, მეორე - მაღაზიას; გარკვეული ხნის შემდეგ გუნდები როლებს ცვლიან.

ბ) მოსწავლეები აკვირდებიან თითოეულ სურათს მასზე ასახული ნივთების დასამახსოვრებლად. შემდეგ ხურავენ წიგნებს და ხედვით მეხსიერებაზე დაყრდნობით ასახელებენ თქვენ მიერ დასახელებული მაღაზიის სურათზე წარმოდგენილ ნივთებს.

5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 121, №2. მოძებნე, რა არის მაღაზიაში ზედმეტი, დაასახელე და ჩაწერე. №3. წაიკითხე და დაასახელე, სად იყიდება. გვ. 121, №4. წაიკითხე, გადახაზე ზედმეტი და დაასახელე.
6. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 122, №1. მოძებნე სურათებზე (იხ. სავ. 1) და დაწერე, რომელ მაღაზიებშია.



აქტივობა 2. ინტერაქცია საყიდლებთან დაკავშირებით, კითხვა-გაგება

1. მიუბრუნდით თემის ძირითად სურათს და ჰკითხეთ მოსწავლეებს თითოეულ პერსონაჟზე: *რა აქვს? სად/რომელ მაღაზიაში იყიდა?*
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 122, №2. დააკავშირე, გადაწერე და წაიკითხე.
3. დაუკავშირეთ შეკითხვები მოსწავლეთა პირად გამოცდილებას: *რისი მაღაზიებია შენს ქუჩაზე?*
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 123, , №3. წაიკითხე და დაწერე, რისი მაღაზიებია.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 123, №4. გაიხსენე და დაასახელე, რა იყიდება მაღაზიაში, სადაც შენ დადიხარ? №5. აირჩიეთ, ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.
6. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 124 , №1. დააკვირდი და დააკავშირე მაღაზიებთან.
7. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 124, №2. წაიკითხე და უპასუხე.

მიზნები: ახალი ლექსიკის ათვისება, ინტერაქცია მაღაზიებზე, კითხვა-გაგება.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: მაღაზიის სახეობები: მარკეტი, წიგნების, ნამცხვრების, პურის, სათამაშოების მაღაზიები, აფთიაქი და სხვა. რა იყიდება ამ მაღაზიაში?

მოსწავლის წიგნი. გვ. 46 (46)

აქტივობა 1. მოსმენა-გაგება, ლექსიკური ცოდნის გამყარება

1. <u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება**</u> - წაიკითხე რეპლიკები და თქვი, რომელ მაღაზიაში რას ყიდულობს ია. პირველი სურათი გამოიყენეთ ნიმუშის მისაცემად: ხმამაღლა წაიკითხეთ პირველი რეპლიკა

და ჰკითხეთ მოსწავლეებს: - *ამას ვინ ამბობს, ია თუ გამყიდველი? ესე იგი, რა უნდა იას? რის მაღაზიაშია იგი?* და მისთ. დასასრულ, შეაჯამეთ: - *ია სურსათის მაღაზიაში ყიდულობს თოჯინას.* ნიმუშის მიცემის შემდეგ აცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა.

2. **<u>მეორე დავალების</u>** სურათებზე დაყრდნობით შესთავაზეთ მოსწავლეებს სახალისო ლექსიკური სავარჯიშოები: ა) დაასახელეთ სიტყვები არეული თანამიმდევრობით, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ამ სიტყვების შესაბამისი ნომრები; ბ) ასახელებთ სიტყვას და ნომერს. ნომერი ხან შეესაბამება სიტყვას, ხან არა. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, სწორია თუ არა თქვენი ნათქვამი. თუ ნათქვამი არასწორია, მოსწავლეებმა უნდა გაასწორონ შეცდომა და თქვან დასახელებული სიტყვის შესაბამისი სურათის ნომერი. გ) მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ სათანადო სურათზე გამოხატული საგანი. ბოლოს ყველანი ერთად ასახელებთ სიტყვებს.

3. **<u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u>** - დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ნახატებს და დაასახელე, სად იყიდება ეს ნივთები.

4. track 40 სრულდება რვ. სავ. გვ. 125, № 3. მოისმინე და შემოხაზე, რომელ მაღაზიაში ისმის ეს დიალოგი. ტექსტის მოსმენამდე მოსწავლეებს წააკითხეთ სავარჯიშოს მონაცემები (იხ. მეთოდური კომენტარი, მასწ. წ. 5, 1).

მოსასმენი ტექსტი:

- გაქვთ შოკოლადის ნამცხვარი?
- შოკოლადის ნამცხვარი არ გვაქვს. მხოლოდ ვაშლის ნამცხვარი გვაქვს.
- ერთი ვაშლის ნამცხვარი და ფორ-



თოხლის წვენი მომეცით. კიდევ ერთი კილო კარტოფილიც მინდა.

5. track 40 სრულდება რვ. სავ. გვ. 125, №4. მოისმინე თავიდან და მონიშნე, რისი ყიდვა უნდა დათოს.

6. სრულდება რვ. სავ. გვ. 125, №5. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი. №6. წაიკითხე და შეავსე გამოტოვებული ადგილები. შევსებული დიალოგი ხმამაღლა და სათანადო ინტონაციით წააკითხეთ მოსწავლეებს წყვილებში.

აქტივობა 2. მოსმენა-გაგება, ლექსის დასწავლა

1. track 41 სრულდება რვ. სავ. გვ. 126, №1. მოისმინე ლექსი. დააკვირდი სურათებს და დაასახელე, რისი ყიდვა უნდოდა იას. ტექსტის მოსმენამდე მოსწავლეებს წააკითხეთ სავარჯიშოს მონაცემები (იხ. მეთოდური კომენტარი, მასწ. წ. 5, 1).

მოსასმენი ლექსი:

სუპერმარკეტი
პურის მაღაზიაში
ვერსად ვნახე ჩანთა,
წიგნის მაღაზიაში
პური არსად ჩანდა,
ჭურჭლის მაღაზიაში
ვერ ვიპოვე ბოტი,
სპორტულ მაღაზიაში -
ლიმონათის ბოთლი.

მარიამ წიკლაური

2. track 41 სრულდება რვ. სავ. გვ. 126, № 2. თავიდან მოისმინე და მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა. დაიცავით მოსასმენ სავარჯიშოზე მუშაობის ეტაპები: ა) ერთი ნიმუში შეასრულეთ დაფაზე; ბ) აცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა; გ) ხელმეორედ მოასმენინეთ მოსწავლეებს სავარჯიშო ინფორმაციის შევსება-გასწორების მიზნით; ე) ერთობლივად (მოსწავლეების თანამონაწილეობით) შეამოწმეთ/შეასწორეთ პასუხები. შემოწმებისას, საჭიროებისამებრ, კვლავ მოასმენინეთ ტექსტი მოსწავლეებს (იხ. მასწ. წიგნი 5. 1, 2).

3. track 42 სრულდება რვ. სავ. გვ. 126, №3. მოისმინე და დააკავშირე სურათთან.

დღეს კი სუპერმარკეტში
წავედი და წუთში
ყველაფერი ვიყიდე,
რაც მინდოდა გუშინ.
(მარიამ წიკლაური)

4. რვ. სავ. გვ. 127 № 4. აირჩიე და ჩაწერე.

5. ლექსის მოსმენა და დასწავლა. გთავაზობთ სახალისო აქტივობებს ლექსის დასას-

წავლად:

ლექსის სრული ვარიანტი:

სუპერმარკეტი
პურის მაღაზიაში
ვერსად ვნახე ჩანთა,
წიგნის მაღაზიაში
პური არსად ჩანდა,
ჭურჭლის მაღაზიაში
ვერ ვიპოვე ბოტი,
სპორტულ მაღაზიაში -
ლიმონათის ბოთლი.
ვერაფერი ვიყიდე,
მაგრამ განა ვიტირე?!
დღეს კი სუპერმარკეტში
წავედი და წუთში
ყველაფერი ვიყიდე,
რაც მინდოდა გუშინ.
(მარიამ წიკლაური)

აქტივობა 3. კითხვა-გაგება, ლექსიკის ათვისება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 127, № 5. მოძებნე და დაასახელე, რომელ სართულზე იყიდება. № 6. ჩაწერე სურათის მიხედვით და წაიკითხე.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 128, №1. წაიკითხე და უპასუხე კითხვებს. №2. წაიკითხე, გადახაზე ზედმეტი და დაასახელე, რომელ სართულზე იყიდება ის. გვ. 129, № 3. წაიკითხე და მონიშნე ცხრილში ტექსტის მიხედვით.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 129, №4. წაიკითხე და შეავსე გამოტოვებული ადგილები. დიალოგების შევსებისა და პასუხების შემოწმება-განხილვის შემდეგ (იხ. მასწ. წ. 5. 5,6) მოსწავლეები გაავარჯიშეთ დიალოგების ხმამაღლა და სათანადო



ინტონაციით წაკითხვაში.

4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 130, №1. აირჩიე და ჩასვი. №2. აირჩიეთ ცხრილიდან ნივთები და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები.

მიზნები: მოსმენა-გაგება, კითხვა-გაგება, ლექსის დასწავლა, ლექსიკის სწავლა, ინტერაქცია მაღაზიაში.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: ის თოჯინა მიმეცით! ინებეთ! გაქვთ მზის სათვალე? - არა, არ გვაქვს; რამდენსართულიანია სუპერმარკეტი?

მოსწავლის წიგნი. გვ. 47

აქტივობა 1. ლექსიკის სწავლა, მოსმენა-გაგება

1. <u>**სრულდება წიგნის მესამე დავალება**</u> - დააკვირდი და წაიკითხე.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ.130, 3. დააკავშირე ერთმანეთთან. გვ. 131, №4. დააკავშირე, გადაწერე და წაიკითხე.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 131, № 5. წაიკითხე და უპასუხე. გვ. 132, №1. აირჩიე და ჩაწერე ტექსტის მიხედვით. № 2. დაწერე, ვინ სად მუშაობს და წაიკითხე.
4. 🎧 track 43 <u>**სრულდება წიგნის მეოთხე დავალება**</u> - მოისმინე და მიუთითე სურათზე.
5. მოსასმენი ტექსტი.

მაღაზიობანა *(მაკა მიქელაძის მიხედვით)*

ია და გია თამაშობენ.
- მე გამყიდველი ვიქნები! - ამბობს ია.
- მე მყიდველი! - ამბობს გია.
- მე მექნება თარო და ვიტრინა! - ამბობს ია.
- მე კი ნამდვილი ფული მექნება: ლარები და ბევრი თეთრი! - ამბობს გია.
- მე გავყიდი! - ამბობს ია.
- მე კი ვიყიდი! - ამბობს გია.
- რას იყიდი? - ეკითხება ია.
- ბევრ რამეს! - პასუხობს გია.
- მაინც რას?
- პურს, ხილს, სათამაშოებს და ტანსაცმელს.

აქტივობა 2. კითხვა-გაგება, ლექსიკის სწავლა

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 132, №3. წაიკითხე და ჩაწერე, ვინ ამბობს. №4. დააკავშირე ერთმანეთთან. გადაწერე და წაიკითხე.
2. <u>**სრულდება წიგნის მეხუთე დავალება**</u> - წაიკითხე და უპასუხე.

3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 133, №5. წაიკითხე და ჩაწერე.

4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 133, №6. წაიკითხე და შეავსე. დაიცავით კომპლექსურ სავარჯიშოებზე მუშაობის თანამიმდევრული ეტაპები: ა) ნიმუშის მისაცემად სავარჯიშოს ერთი პუნქტი შეასრულეთ დაფაზე; ბ) აცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა; გ) იარეთ რიგებში და დაეხმარეთ იმ მოსწავლეებს, რომელთაც უჭირთ დავალების შესრულება; ე) პასუხები ერთობლივად (მოსწავლეთა თანამონაწილეობით) შეამოწმეთ, გააანალიზეთ და გაასწორეთ. სავარჯიშოს პასუხების გასწორების შემდეგ მოსწავლეები გაავარჯიშეთ დიალოგის ხმამაღლა წაკითხვაში.

5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 133, №7. შემოხაზე, რომელ მაღაზიაში „მუშაობს“ ია?

6. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 133, №8. წაიკითხე და დასვი სათანადო სასვენი ნიშანი. პასუხების შემოწმება-გასწორების შემდეგ მოსწავლეებს წააკითხეთ დიალოგი სათანადო ინტონაციის დაცვით.

7. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 134, №1. წაიკითხე და ჩაწერე. პასუხების გასწორების შემდეგ დაუსვით მოსწავლეებს იმავე ტიპის კითხვები მათ მასწავლებლებსა და თანაკლასელებზე (მაგ., *რას აკეთებს თამრიკო, სწავლობს თუ ასწავლის? რას აკეთებს ინგლისურის მასწავლებელი? სპორტის მასწავლებელი? შენ?* და სხვა).

8. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 134, №2. წაიკითხე და შეავსე. გაითვალისწინეთ



წინა გვერდის მე-6 სავარჯიშოსთან დაკავშირებული შენიშვნები.

9. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 134, №3. წაიკითხე შევსებული დიალოგები მეწყვილესთან ერთად. №4. აირჩიე და ჩაწერე.

მიზნები: ლექსიკის სწავლა, წაკითხვა-გაგება, მოსმენა-გაგება.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: მზია სწავლობს, ნინო ქართულს ასწავლის. გამყიდველი ყიდის, მყიდველი ყიდულობს.

მოსწავლის წიგნი. გვ. 48

აქტივობა 1. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, დიალოგების გათამაშება

1. <u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება**</u> - დააკვირდი და წაიკითხე.
2. ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვინ რამდენსართულიან სახლში ცხოვრობს.
3. <u>**სრულდება წიგნის მეორე დავალება**</u> - წაიკითხე.
4. *მაღაზიობანას* თამაში - დაყავით კლასი 4-კაციან ჯგუფებად, გაუნაწილეთ ჯგუფის თითოეულ წვერს როლები (სამი მყიდველი, ერთი გამყიდველი) და ქაღალდები, რომლებზედაც სხვადასხვა სურსათის სახელი იქნება დაწერილი. რიგრიგობით გაათამაშებინეთ ჯგუფებს ყიდვა-გაყიდვის სცენა, კლასის დანარჩენ მოსწავლეებს კი დაუსვით შეკითხვები: - *ვინ არის მყიდველი? ვინ არის გამყიდველი? რას ყიდულობს თამრიკო? რას ყიდულობენ ნიკო და თინა?* და სხვა.
5. <u>**სრულდება წიგნის მესამე დავალება**</u> - დააკვირდი.
6. მიუბრუნდით თემის ძირითად სურათს და მასზე გამოსახულ პერსონაჟებს. დასვით მათ შესახებ იმავე ტიპის კითხვები, რომელთაც მესამე დავალებაში ვხვდებით: *სად იყო? რა იყიდა?* და მისთ.

მიზნები: დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, დიალოგის გათამაშება.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: წყვეტილის ფორმები: ლია იყო მარკეტში, ლიამ ნამცხვარი იყიდა.

მოსწავლის წიგნი. გვ. 49 49

აქტივობა 1. კითხვა-გაგება, წერა

1. **<u>სრულდება წიგნის მეოთხე დავალება</u>** - წაიკითხე. დააკავშირებინეთ მოსწავლეებს სქემა შესაბამის ნახატთან.
2. **<u>სრულდება წიგნის მეხუთე დავალება</u>** - გამოიყენე სქემა და შეადგინე ტექსტი.
3. **<u>სრულდება წიგნის მეექვსე დავალება</u>** - შეადგინე მსგავსი სქემები და დაწერე.
4. 📖 თანამიმდევრულად სრულდება რვეულის სავარჯიშოები:
   - გვ. 135, №5. დააკვირდი და დაწერე.
   - გვ. 135, №6. შეადგინე სქემა და დაწერე.
   - გვ. 136, №1. შეადგინე სქემა და დაწერე.
   - გვ. 136, №2. დააკვირდი, დაწერე, ვინ სად იყო, ვინ რა გააკეთა და წაიკითხე.

მიზნები: მოდელის მიხედვით სამ-ოთხწინადადებიანი ტექსტის შედგენა.

მოსწავლის წიგნი. გვ. 50 50

აქტივობა 1. ინტერაქცია მაღაზიაში, კითხვის მოქნილობა

1. 📖 თანამიმდევრულად სრულდება რვეულის სავარჯიშოები:
   - გვ. 137, №3. დააკვირდი და წაიკითხე.
   - გვ. 137 , №4. წაიკითხე შეკითხვა და უპასუხე.
   - გვ. 137, №5. წაიკითხე პასუხი და მოიფიქრე შეკითხვა.







2. 🎧 track 44 **<u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u>** - მოისმინე და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.
3. ავარჯიშეთ მოსწავლეები დიალოგის (მაღაზიობანა) ხმამაღლა და გამართულად წაკითხვაში.
4. **<u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u>** - მოიფიქრე, რისი ყიდვა გინდა და მეწყვილესთან ერთად გაითამაშე დიალოგები (ამ აქტივობის განსახორციელებლად იხ. მასწ. წ., მეთოდური კომენტარები, 5. 4).

მოსწავლის წიგნი. გვ. 51 51

აქტივობა 1. პროექტების შესრულება და წარდგენა

თქვენი მითითებით, მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და ამუშავებენ სუპერმარკეტის პროექტს:

- რამდენი სართული აქვს?
- რა არის პირველ სართულზე, მეორეზე ...?
- სად რა იყიდება? ...

მიზანი: თემაში ნასწავლი ენობრივი მასალის გამეორება და გამოყენება.

მოსწავლის წიგნი. გვ. 52-53

52 53

აქტივობა 1. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. მოსწავლეები აკვირდებიან თემის ძირითად სურათს. დაუსვით მათ რაც შეიძლება მეტი შეკითხვა, მაგ.: *ვინ არიან? რას უყურებენ? თქვენი აზრით, ვინ არის ეს პატარა ბიჭი ფოტოზე? აქ რა აქვს ხელში? რა ახურავს? სად არიან? ვისთან ერთად არიან?* და სხვა.
2. წააკითხეთ მოსწავლეებს სიტყვები: *მახსოვს/არ მახსოვს* და განუმარტეთ მათი მნიშვნელობა.
3. დასვით კითხვები სიტყვის *„მახსოვს“* გამოყენებით, *მაგ.; ვის ახსოვს, რა ჰქვია ამას ქართულად?* (თან მიუთითეთ რაიმე ნივთზე ან სურათზე); *ვის ახსოვს, როდის არის ნიკოს დაბადების დღე?* და სხვ. ყოველ ჯერზე, სიტუაციის შესაბამისად, გააკეთეთ კომენტარი, რათა მოსწავლეებმა გაიგონ ამ სიტყვის (”*მახსოვს*”) მნიშვნელობა (მაგ., *აი, თინას არ ახსოვს; თამრიკოს ახსოვს . . .)*.
4. სასურველია, მოსწავლეებმა ტექსტის მოსმენამდე აღიქვან სურათზე ასახული სიტუაცია: წიგნის პერსონაჟები უყურებენ გიას ბავშვობის სურათებს. ამიტომ ჰკითხეთ მათ: *თქვენი აზრით, რას აკეთებენ აქ გია და მისი ამხანაგები?* გამოათქმევინეთ მოსწავლეებს ვარაუდები და კითხვების საშუალებით მიიყვანეთ ისინი სწორ დასკვნამდე.



აქტივობა 2. მოსმენა-გაგება

1. track 45 **<u>სრულდება წიგნში მოცემული დავალება</u>** - მოისმინე და მიუთითე სურათზე. შეგახსენებთ: ამ დავალების შესასრულებლად არ არის აუცილებელი, რომ მოსწავლეებმა ტექსტში წარმოდგენილი ყველა დეტალი გაიგონ. დეტალების გაგება ეტაპობრივად მოხდება მომდევნო აქტივობებში. დაიცავით მოსასმენ საკარჯიშოზე მუშაობის ეტაპები: ა) ერთი ნიმუში შეასრულეთ დაფაზე; ბ) მიეცით მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება; გ) კიდევ ერთხელ მოასმენინეთ მოსწავლეებს დიალოგი ინფორმაციის შევსება-გასწორების მიზნით; ე) პასუხები შეამოწმეთ/შეასწორეთ ერთობლივად (მოსწავლეების თანამონაწილეობით). შემოწმებისას, საჭიროებისამებრ, კვლავ მოასმენინეთ ტექსტი მოსწავლეებს (დაწვრილებით იხ. მასწ. წიგნი 5.1, 2).

მოსასმენი დიალოგი

1. *- ნახე, აქ რა სასაცილოა გია! რამდენი წლის ხარ აქ?*
   - არ მახსოვს. მე მგონი, ორი წლის ან სამის.
   - სად ხარ?
   - ბათუმში. ეს ბიძაჩემის გემია. მაშინ პირველად ვნახე ნამდვილი გემი.
2. *- ეს შენი დაბადების დღეა?*
   - არა, იასი. კარგად მახოვს, დიდი ყავისფერი სათამაშო დათვი აჩუქეს იას. იაზე დიდი იყო. ძალიან გვიყვარდა მე და იას ის დათვი.
3. *- აქ რატომ ტირიხარ?*
   - არ მახსოვს. მე მგონი, დედა წავიდა და იმიტომ ვიტირე.

2. track 46 სრულდება რვ. სავ. გვ. 138, №1. მოისმინე და შემოხაზე, რომელი იყო გიას პირველი სათამაშო. მუშაობთ იმავე მეთოდიკით. სამუშაოს დასრულებისას ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვის ახსოვს თავისი პირველი სათამაშო.

მოსასმენი დიალოგი

- ეს შენი პირველი სათამაშოა?
- არა, ეს გემი შარშან ვიყიდე ბათუმში.
- შენი პირველი სათამაშო გახსოვს?
- კი, მახსოვს. სათამაშო ცხენი მქონდა. ძალიან დიდი იყო. ზედ ვიჯექი. იაზე დიდი იყო ის ცხენი...

3. track 47 სრულდება რვ. სავ. გვ. 138, №2. მოისმინე და შემოხაზე.

მოსასმენი დიალოგი

- ნახე, აქ რა სასაცილოა გია! რამდენი წლის ხარ აქ?
- არ მახსოვს. მე მგონი, ორი წლის ან - სამის.
- სად ხარ?
- ბათუმში. ეს ბიძაჩემის გემია. მაშინ პირველად ვნახე ნამდვილი გემი.

4. track 48 სრულდება რვ. სავ. გვ. 138, №3. მოისმინე და შემოხაზე.

მოსასმენი დიალოგი

- ეს შენი დაბადების დღეა?
- არა, იასი. მახსოვს, დიდი ყავისფერი სათამაშო დათვი აჩუქეს იას. იაზე დიდი იყო. ძალიან გვიყვარდა მე და იას ის დათვი.

5. სრულდება რვ. სავ. გვ. 138, №4. მონიშნე, რა ახსოვს გიას კარგად და რა - არა.

6. track 49 სრულდება რვ. სავ. გვ. 139, №5. მოისმინე და გადაამოწმე.

მოსასმენი დიალოგი

გიას კარგად ახსოვს პირველი სათამაშო და იას საჩუქარი. კარგად არ ახსოვს, რატომ იტირა ბაღში და რამდენიწლის იყო ბათუმში.

7. სრულდება რვ. სავ. გვ. 139, №6. შეავსე გამოტოვებული ადგილები.

8. track 50 სრულდება რვ. სავ. გვ. 139, №7. მოისმინე და გადაამოწმე.



მოსასმენი დიალოგი

1. მახსოვს, სათამაშო ცხენი მქონდა. ძალიან დიდი იყო. ზედ ვიჯექი. იაზე დიდი იყო ის ცხენი...

2. მახსოვს, დიდი სათამაშო დათვი აჩუქეს იას. იაზე დიდი იყო. ძალიან გვიყვარდა მე და იას ის დათვი.

9. სრულდება რვ. სავ. გვ. 139, №8. აარჩიე და ჩასვი სათანადო ადგილას.

10. track 51 სრულდება რვ. სავ. გვ. 139, №9. მოისმინე და გადაამოწმე.

მოსასმენი დიალოგი

1. *-რამდენი წლის ხარ აქ?*
- არ მახსოვს. მე მგონი, ორი წლის ან - სამის.
- სად ხარ?
- ბათუმში. ეს ბიძაჩემის გემია. მაშინ პირველად ვნახე ნამდვილი გემი.

აქტივობა 3. საუბარი წარსულში მომხდარ ამბებზე, ამინდზე, ლექსიკის სწავლა (შარშან, მომავალ წელს). დროში ორიენტირება

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 139, №10. ჩასვი კონტექსტის მიხედვით.
2. მომზადება მოგონებებზე სასაუბროდ: გაახსენეთ მოსწავლეებს ადამიანის აღწერა-დახასიათებასთან დაკავშირებული ენობრივი მასალა, შემდეგ გადააშლევინეთ წიგნები სათანადო ადგილზე (იხ. Ⅲ დონე, პირველი ნაბიჯები) და გაავარჯიშეთ პერსონაჟების აღწერა-დახასიათებაში (კარლსონი, პეპი, დათო და სხვა).
3. სრულდება რვ. სავ. გვ. ,140, №1. გაიხსენე, დაასახელე და აღწერე, როგორი იყო:
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 140, №2. დააკვირდი და უპასუხე.
5. თანამიმდევრულად სრულდება რვეულის სავარჯიშოები:
   - გვ. 140, №3. გაიხსენე და შემოხაზე.
   - გვ. 141, №4. დააკავშირე. №5. წაიკითხე და ჩასვი ნიმუშის მიხედვით. №6. დააკვირდი და დაასახელე, როდის როგორი ამინდი იყო.
   - გვ. 142, № 1. წაიკითხე და უპასუხე.
   - №2. დააკვირდი სურათებს და უპასუხე.

შენიშვნა: თითოეული სავარჯიშოს შესასრულებლად დაიცავით შემდეგი ეტაპები: ა) ნიმუშის მისაცემად სავარჯიშოს ერთი პუნქტი შეასრულეთ დაფაზე; ბ) აცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა; გ) იარეთ რიგებში და დაეხმარეთ იმ მოსწავლეებს, რომელთაც უჭირთ დავალების შესრულება; ე) ერთობლივად (მოსწავლეთა თანამონაწილეობით) შეამოწმეთ, გააანალიზეთ და შეასწორეთ პასუხები.

მიზნები : წარსულში მომხდარი ამბის გადმოცემა, ლექსიკის სწავლა, მოსმენა-გაგება.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: მახსოვს/არ მახსოვს, კარგად მახსოვს, ეს შარშან ვიყიდე, გუშინ მზიანი/ღრუბლიანი ამინდი იყო.

მოსწავლის წიგნი. გვ. 54

აქტივობა 1. მოსმენა - გაგება, კითხვა-გაგება

1. track 52 <u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება**</u> - მოისმინე იას და გიას დიალოგი და შეასრულე დავალებები. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს და ასრულებენ რვეულის შემდეგ სავარჯიშოებს:
   - გვ. 142, , №3. მოისმინე და მონიშნე, რომელ გაკვეთილებზე საუბრობს გია.
   - გვ. 143, №4. გაიხსენე და ჩაწერე.
   - გვ. 143, №5. მონიშნე სწორი ვარიანტი.

შენიშვნა: დაიცავით მოსასმენ სავარჯიშოზე მუშაობის ეტაპები: ა) ერთი ნიმუში შეასრულეთ დაფაზე; ბ) აცადეთ მოსწავლეებს და-



მოუკიდებლად მუშაობა; გ) ხელმეორედ მოასემნიენთ მოსწავლეებს სავარჯიშო ინფორმაციის შევსება-გასწორების მიზნით; ე) პასუხები შეამოწმეთ-შეასწორეთ ერთობლივად (მოსწავლეთა თანამონაწილეობით). შემოწმებისას, საჭიროებისამებრ, კვლავ მოასმენინეთ ტექსტი მოსწავლეებს (დეტალურად იხ. მასწ. წიგნი 5.1, 2).

მოსასმენი ტექსტი:

რა მოხდა გუშინ სკოლაში?

- მახსოვს. მეორე გაკვეთილი გვქონდა ხატვა და ჩვენი საყვარელი ცხოველები დავხატეთ. ქართულის გაკვეთილზე ზღაპარი წავიკითხეთ და ახალი ლექსი ვისწავლეთ. მესამე გვქონდა სპორტი. ეზოში ფეხბურთი ვითამაშეთ. დათო მეკარე იყო.

2. <u>**სრულდება წიგნის მეორე დავალება**</u> - დააკვირდი სურათებს და თქვი, რა მოხდა გუშინ სკოლაში.
3. <u>**სრულდება წიგნის მესამე დავალება**</u> - წაიკითხე დიალოგი, დააკვირდი სურათებს და თქვი, რა არ ახსოვს გიას.
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 144, №1. დააკვირდი სურათს და უპასუხე.

აქტივობა 2. მოქმედებების გადმოცემა წარსული დროის ფორმით, მოსაუბრის ამოცნობა

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 144, №2. აირჩიე და ჩასვი: რა გააკეთეს რეზომ, გიამ და დათომ გუშინ?. სავ. გვ. 145 №3. წაიკითხე და ჩაწერე, ვინ ამბობს.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 145, №4. დააკვირდი სურათს და უპასუხე. №5. შეავსე გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 145, №6. წაიკითხე და ჩაწერე, ვინ ამბობს.
4. სრულდება რვ. სავ. გვ. 146, №1. მონიშნე, შენ რა გაკვეთილები გქონდა გუშინ. №2. გაიხსენე, კიდევ რა გქონდა და დაასახელე.
5. <u>**სრულდება წიგნის მეოთხე დავალება**</u> - გაიხსენე, რა მოხდა გუშინ შენს სკოლაში.
6. გაახსენეთ მოსწავლეებს რიგობითი სახელები. ამისათვის გამოიყენეთ ამავე წიგნის მეორე თემის აქტივობები.
7. სრულდება რვ. სავ. გვ. 146, № 3. გუშინდელი გაკვეთილები ჩაწერე თანმიმდევრობით. №4. გამოიყენე მოცემული სიტყვები და თქვი, რომელ გაკვეთილზე რა გააკეთე.

აქტივობა 3. ორიენტირება დროსა და სივრცეში

1. გაახსენეთ მოსწავლეებს ზმნიზედები *„წინ“, „უკან“*. ამისათვის გამოიყენეთ ამავე წიგნის პირველ ნაბიჯებში წარმოდგენილი აქტივობები.
2. თანამიმდევრულად სრულდება ქვემოთ ჩამოთვლილი სავარჯიშოები:
   - რვ. სავ. გვ. 146, № 5. წაიკითხე და უპასუხე.
   - გვ. 147, № 6. გაიხსენე, დაასახელე და ჩაწერე, შენ რა გაკვეთილი გქონდა.
   - გვ. 147, № 7. დააკავშირე ერთმანეთთან.
   - გვ. 147, № 8. წაიკითხე, გაასწორე და გადაწერე. რა არის წინ და რა - შემდეგ.
   - გვ. 148, № 1. დააკვირდი, როდის რა გააკეთა იამ გუშინ და ჩაწერე.
   - გვ. 149, № 2. დააკვირდი სურათებს და უპასუხე.
   - გვ. 149, № 3. დააკავშირე შეკითხვა პასუხთან.
   - გვ. 149, № 4. გაიხსენე, შენ როდის რა გააკეთე გუშინ, ჩაწერე და წაიკითხე.

შენიშვნა: თითოეული სავარჯიშოს შესრულებისას ჩვეულებრივ დაიცავით ეტაპები: ა) ნიმუშის მისაცემად სავარჯიშოს ერთი პუნქტი შეასრულეთ დაფაზე; ბ) ამუშავეთ მოსწავლეები დამოუკიდებლად; გ) იარეთ რიგებში და დაეხმარეთ იმ მოსწავლეებს, რომელთაც უჭირთ დავალების შესრულება; ე) ერთობლივად (მოსწავლეთა თანამონაწილეობით) შეამოწმეთ, გააანალიზეთ და გაასწორეთ პასუხები.

ზემოაღნიშნული სავარჯიშოები საკმაოდ კომპლექსური ხასიათისაა, ამიტომ სასურველია, სათანადო დრო დაუთმოთ პასუხების შედარება-შეჯერების პროცესს; აცადოთ მოსწავლეებს, დაფიქრდნენ დაშვებულ შეცდომებზე.



აქტივობა 4. ინტერაქცია გასული დღის რეჟიმზე, მოკლე ამბის გადმოცემა სურათებზე დაყრდნობით

1. ალაპარაკეთ მოსწავლეები წინა დღის განრიგზე. დაეხმარეთ მათ შეკითხვებით: *რა გააკეთე გუშინ დილით? გუშინ შუადღისას, გუშინ საღამოს?*
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 150, №1. ჰკითხე შენს მეწყვილეს და შეავსე ცხრილი.
3. 📖📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 150, №2. თქვი, როდის რა გააკეთა შენმა მეწყვილემ.
4. <u>**სრულდება წიგნის მეხუთე დავალება**</u> - მოძებნე ორი ამბავი და დაალაგე თანამიმდევრულად. სასურველია, მოსწავლეებმა წყვილებში ან პატარა ჯგუფებად იმუშაონ. დაფაზე დახაზეთ სქემის ნიმუში, რომელსაც მოსწავლეები გადაიწერენ ფურცელზე თუ რვეულში (შეიძლება ჯგუფებს დაურიგოთ ფურცლები თქვენ მიერ დახაზული სქემებით). მოსწავლეებმა ამ უჯრებში უნდა ჩაწერონ თითოეული ამბის ამსახველი სურათების ნუმერაცია. ცხადია, შედეგები დაფაზე უნდა შეჯერდეს - მოსწავლეთა თანამონაწილეობით შეავსებთ დაფაზე დახაზულ სქემას და ერთად განიხილავთ, რომელია სწორი ვარიანტი.

1.			
2.			

5. მოაყოლეთ მოსწავლეებს ამბავი სურათებზე დაყრდნობით. პროცესის გასახალისებლად გამოიყენეთ აქტივობა "ტელეეკრანი" (იხ. მასწ. წ. 5, 3).

მიზნები: მოქმედებების გადმოცემა წარსული დროის ფორმით, მოკლე ამბის გადმოცემა, გასული დღის რეჟიმის/განრიგის აღწერა.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: ქართულის წინ/ქართულის შემდეგ მქონდა. . . , რეზომ და დათომ ითამაშეს, გუშინ ხატვის გაკვეთილი მქონდა, დავხატე, მუსიკის გაკვეთილზე ვიმღერე, შუადღეს ვისადილე და სხვა.

მოსწავლის წიგნი. გვ. 55 55

აქტივობა 1. კითხვა-გაგება, ლექსიკის შესწავლა, სურათის აღწერა, ლექსის დასწავლა

1. მომზადება ტექსტის გასაგებად - მოსწავლეები დეტალურად აღწერენ სურათებს. საჭიროებისამებრ, კარნახობთ მათთვის უცნობ სიტყვებს *(ვენახი, თოფი, თხა)*, უხსნით ამ სიტყვების მნიშვნელობას. გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება საგულისხმო დეტალებზე: *რა არა აქვს ვაზს? რა აქვს თხას პირში?* და ასე შემდეგ.
2. **<u>სრულდება წიგნის მეექვსე დავალება</u>** - წაიკითხე. მოსწავლეები კითხულობენ თითოეულ მონაკვეთს და ამოიცნობენ მათ შინაარსს სურათებზე დაყრდნობით, აკავშირებენ ინფორმაციას სურათებზე გამოსახულ დეტალებთან *(ვენახი ფოთლის გარეშე, თხა პირში ფოთლით, მგელი ჩანგლით, თოფი* და სხვა).
3. მოსწავლეებს ზეპირად ასწავლეთ "თხა და ვენახი". პროცესის გასახალისებლად გამოიყენეთ შემდეგი სტრატეგიები: ლექსის თქმა მონაცვლეობით, ტემბრისა და ტემპის ცვლით:

- კლასი გაყავით ორ ჯგუფად. ლექსის მონაკვეთი, სხვადახვა ვარიაციით, ათქმევინეთ ჯერ ერთ ჯგუფს, შემდეგ მეორეს (ეს ბავშვებს ძალიან ახალისებს):
  - ხმის ტემბრის დაბოხებით ან დაწვრილებით;
  - ჩურჩულით, ხმამაღლა;
  - ნელი/ჩქარი ტემპით;
  - ამბობთ სტრიქონის დასაწყისს, მოსწავლე ასრულებს სტრიქონს/ლექსს;
  - ბოლოს ყველა ერთად იმეორებს ლექსს.





აქტივობა 2. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე (მოთხრობითი ბრუნვა)

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 150, №3. დააკვირდი და ჩაწერე. სამუშაოს დასრულებისას მოსწავლეებს ხმამაღლა წააკითხეთ შესრულებული დავალება. გაამახვილეთ მათი ყურადღება მოთხრობით ბრუნვაზე. საჭიროებისამებრ, გაამეორებინეთ სწორი ფორმა.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 151, №4. დააკვირდი და უპასუხე. კვლავ გაამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ მოსწავლეებმა მკაფიოდ წარმოთქვან მოთხრობითი ბრუნვის ფორმა.

მიზნები: მოთხრობითი ბრუნვის კონტექსტში გამოყენება.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: -რა ქნა მზიამ? - მზიამ ნაყინი შეჭამა. - ვინ დახატა სურათი? - გიამ.

მოსწავლის წიგნი. გვ. 56 56

აქტივობა 1. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე

1. **სრულდება წიგნის პირველი დავალება** - დააკვირდი სურათს და წაიკითხე, ვინ რას აკეთებს გიას ოჯახში.
2. **სრულდება წიგნის მეორე დავალება** - წაიკითხე და თქვი, ვინ რა გააკეთა გიას ოჯახში.
3. 📖 თანამიმდევრულად სრულდება რვეულის სავარჯიშოები:
   - გვ. 151, №5. შეავსე წინადადებები და

წაიკითხე. ვინ რას აკეთებს?

- გვ. 152, №1. დააკვირდი სურათს და მონიშნე სათანადო წინადადება.
- გვ. 152, №2. შეავსე წინადადებები და წაიკითხე. ვინ რა გააკეთა?

მიზნები: დაკვირვება მოთხრობითი ბრუნვის ფორმაზე.

მოსწავლის წიგნი. გვ. 57 57

აქტივობა 1. მოსმენა-გაგება, კითხვის-მოქნილობა. ზეპირმეტყველება

1. <u>**სრულდება წიგნის მესამე დავალება**</u> - მოისმინე და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.

<u>**მსრულდება წიგნის მეოთხე დავალება**</u> - გაიხსენე, რა მოხდა გუშინ. მიმართეთ მოდელირების სტრატეგიას (მეთოდიკური განმარტებები იხ. მასწ. წ. გვ. 5, 4).

2. <u>**სრულდება წიგნის მეხუთე დავალება**</u> - გაიხსენე და ისაუბრე.

მიზანი: წინა დღეს შესრულებული მოქმედებების აღწერა.





მოსწავლის წიგნი. გვ. 58 58

აქტივობა 1. მოსმენა-გაგება, კითხვის მოქნილობა

1. track 53 <u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება.**</u> მოისმინე. წაიკითხე მეწყვილესთან ერთად. ტექსტის მოსმენამდე მოსწავლეები აკვირდებიან სურათს და გაიაზრებენ სიტუაციას თქვენ დახმარებით (ერთი ბავშვი ამოწმებს, რა ახსოვს მეორეს სურათიდან)

   - *სად იწვა ძაღლი?*
   - *ტახტზე.*
   - *რა ჰქონდა კაცს ხელში?*
   - *ქუდი.*
   - *ვინ იდგა კაცის გვერდით?*
   - *პატარა ბიჭი.*
   - *ვინ იჯდა ბიჭის უკან?*
   - *მოხუცი კაცი.*
   - *რა იდო მაგიდაზე?*
   - *წიგნი და ვაშლი.*
   - *რა ფერის იყო ვაშლი?*
   - *არ მახსოვს.*

2. <u>**სრულდება წიგნის მეორე დავალება**</u> - დააკვირდი და დაიმახსოვრე, რა ხატია სურათზე.
3. <u>**სრულდება წიგნის მესამე დავალება**</u> - დახურე წიგნი და გაიხსენე, რა ეხატა სურათზე.
4. <u>**სრულდება წიგნის მეოთხე დავალება**</u> - მეწყვილესთან ერთად გაითამაშე პირველი დავალების მსგავსი დიალოგები. გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია (იხ. მასწ. წიგნი, 5, 4).

მოსწავლის წიგნი. გვ. 59

59

აქტივობა 1. პროექტების შესრულება და წარდგენა

1. <u>სრულდება წიგნის მეხუთე დავალება</u>- გაიხსენე და დახატე.

მიზანი: თემაში ნასწავლი ენობრივი მასალის გამეორება და გამოყენება.


5. გაიხსენე და დახატე.

ჩემი პირველი სათამაშო

ჩემი პირველი მასწავლებელი

ჩემს დაბადების დღეზე

59

მოსწავლის წიგნი. გვ. 60-61 60 61

აქტივობა 1. სურათის აღწერა, მოსმენა-გაგება

1. მოსწავლეები აკვირდებიან და აღწერენ თემის ძირითად სურათს (თქვენი დახმარებით).
2. track 54 მოსწავლეები ისმენენ ტექსტს და ასრულებენ სამუშაო რვეულის ქვემოთ ჩამოთვლილ სავარჯიშოებს. სავარჯიშოების პირობა და მონაცემები ტექსტის მოსმენამდე გააცანით მოსწავლეებს. ყოველ ჯერზე დაიცავით მოსასმენ სავარჯიშოებზე მუშაობის თანამიმდევრული ეტაპები (იხ. მასწ. წიგნი, 5. მეთოდიკური რეკომენდაციები, 1, 2). სრულდება შემდეგი სავარჯიშოები:
   - გვ. 153, № 1. მოისმინე და მონიშნე ცხრილში.
   - გვ. 153, № 2. გაიხსენე და ჩაწერე, რა მოსწონთ ყველაზე ძალიან.
   - გვ. 153, №3. წაიკითხე და შეავსე გამოტოვებული ადგილები.

მოსასმენი ტექსტი

- მოდი, დავიწყოთ სპორტით. რეზო, რომელი სპორტული თამაში მოგწონს?
- რა ვიცი, ყველაფერი, მაგრამ ყველაზე ძალიან მაინც ფეხბურთი მომწონს, ლამაზი თამაშია.
- შენ რას იტყვი, ლია?
- რა ვიცი, ჩემთვის სულერთია. მე სპორტზე უფრო ცეკვა და სიმღერა მაინტერესებს. კიდევ ... ლამაზი ტანსაცმელები მომწონს.
- ყველაზე ძალიან?
- ყველაზე ძალიან? ... ყველაზე ძალიან მაინც სიმღერა მომწონს.



-შენ, ია?
- მე ლიას ვეთანხმები. სპორტზე ძალიან მეც სიმღერა მომწონს.
- გია, შენ რას იტყვი?
- სპორტიც კარგია, სიმღერა და ცეკვაც, მაგრამ მე ყველაფერს ხატვა მირჩევნია. ხატვა ყველაზე ძალიან მომწონს. კიდევ ლამაზი მანქანები მომწონს.

3. track 55 გვ. 154, № 1. მოისმინე თავიდან და გადაამოწმე.

მოსასმენი ტექსტი

- რომელი სპორტული თამაში მოგწონს?
- ყველა კარგია, მაგრამ ყველაზე ძალიან მაინც ფეხბურთი მომწონს.
- შენ რას იტყვი ლია?
- ჩემთვის სულერთია.
- შენ, ია?
- მე ლიას ვეთანხმები.

აქტივობა 2. ინტერაქცია საყვარელ საქმიანობებზე/აქტივობებზე, წერა, კითხვა

1. თანამიმდვერულად სრულდება რვეულის შემდეგი სავარჯიშოები:
   - გვ. 154 , №2. შენი აზრით, რა მოსწონთ უფრო ბიჭებს? გოგოებს?
   - გვ. 154, №3. დააკვირდი სურათებს და დასვი შეკითხვები. დაწერილი შეკითხვები აუცილებლად წააკითხეთ მოსწავლეებს და მიაქციეთ ყურადღება ინტონაციას.
   - გვ. , 154, №4. უპასუხე ნიმუშის მიხედვით. მუშაობის დასრულებისას მოსწავლეებს დაუსვით იმავე ტიპის კითხვები: *თამრიკო, ცეკვა მოგწონს?* და მისთ. პროცესის გასახალისებლად მოსწავლეებს შეიძლება შესთავაზოთ პატარა გამოცანები: *გამოვიცნოთ, რას მოსწონს თინას* ! მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს და ბოლოს თინა ასახელებს, რა მოსწონს
   - გვ. 155, №5. დააკვირდი სურათებს. დაასახელე და დაწერე, ვის მოსწონს და ვის არ მოსწონს. მოსწავლეებმა უნდა თქვან, მოსწონთ თუ არა მზიას ქუდი, იას თოჯინა და დათოს მანქანა.
   - გვ. 155. №6. წაიკითხე და ჩასვი გამოტოვებულ ადგილას. ეს სავარჯიშო, ისევე როგორც მისი მომდევნო, №6 სავარჯიშო უკავშირდება წინა გვერდის მეოთხე სავარჯიშოს.
   - გვ. 156. №1. რა მოსწონს შენს მეწყვილეს? ჰკითხე და მონიშნე. სავარჯიშოზე სამუშაოდ მიმართეთ მოდელირების სტრატეგიას (იხ. მასწ. წიგნი, 5, 4).

- გვ. 156. №2. დაწერე, რა მოსწონს და რა არ მოსწონს და წაიკითხე. მიუთითე მეწყვილის სახელი.
- გვ. 156. №3. შენი აზრით, რა მოსწონთ აქედან უფრო მეტად გოგოებს და რა მოსწონთ უფრო მეტად ბიჭებს. მიაქციეთ ყურადღება, რომ ყველა მოსწავლემ დამოუკიდებლად იმუშაოს.
- გვ. 157. №4. შეადარეთ ერთმანეთის ნაწერები. დაასახელეთ, რა დაემთხვა და რა - არა.
- გვ. 157. №5. წაიკითხე და უპასუხე. აუხსენით მოსწავლეებს „*უშნოს*“ მნიშვნელობა. დაასახელებინეთ ტანსაცმელი, ნივთი, მულტფილმის პერსონაჟი ან სხვა რამ, რომელიც მათი აზრით, უშნოა.
- გვ. 157. №6. წაიკითხე და უპასუხე.

მიზანი: საუბარი საყვარელ საქმიანობებზე, აქტივობებზე; მოსმენა-გაგება, სურათის აღწერა, წერა, კითხვა-გაგება.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: რომელი თამაში მოგწონს? მე ცეკვა და სიმღერა მაინტერესებს.

მოსწავლის წიგნი. გვ. 62

აქტივობა 1. ახალი ლექსიკის სწავლა, ინტერაქცია, საგანთა/ პერსონაჟთა შეფასება

1. სრულდება რვ. სავ. გვ.158 , №1. გამოიყენე მოცემული სიტყვები და ჩაწერე, როგორი შეიძლება იყოს: ჩანთა, ბავშვი, ნახატი, გადაცემა. აუხსენით მოსწავლეებს, რას ნიშნავს „გადაცემა“. სავარჯიშოს შესრულებამდე ჰკითხეთ მოსწავლეებს,



რას უყურებენ ტელევიზორით, რა აინტერესებთ, რომელი გადაცემა მოსწონთ მათ/ მათ მშობლებს.

2. სრულდება რვ. სავ. გვ. 158, №2. წაიკითხე და გადახაზე ზედმეტი. №3. წაიკითხე და დააკავშირე. არ დაგავიწყდეთ სავარჯიშოებზე მუშაობის თანამიმდევრული ეტაპების დაცვა, სახელდობრ: ა) ნიმუშის მისაცემად სავარჯიშოს ერთი პუნქტის შესრულება დაფაზე; ბ) დამოუკიდებლად მუშაობა; გ) რიგებში სიარული და იმ მოსწავლეთა დახმარება, რომელთაც უჭირთ დავალების შესრულება; ე) პასუხების ერთობლივად შემოწმება-გაანალიზება და გასწორება.
3. <u>**სრულდება წიგნის პირველი დავალება**</u> - დააკვირდი სურათს. დაასახელე, რა მოგწონს და რა - არა და რატომ.
4. <u>**სრულდება წიგნის მეორე დავალება**</u> - შენ რომელს ეთანხმები? ორივე დავალებისათვის მიმართეთ მოდელირების სტრატეგიას (იხ. მასწ. წიგნი, 5,4).

აქტივობა 2. კითხვა-გაგება, ინტერაქცია

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 159, №4. წაიკითხე და უპასუხე.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 159, №5. შეავსე ცხრილი. გვ. 160, №1. უპასუხე და დაწერე. ამ სავარჯიშოების შესრულებისას არ დაგავიწყდეთ სათანადო სტრატეგიების გამოყენება (იხ. მასწ. წიგნი, 5. 5,6).
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 160, №2. გამოიყენე ეს სიტყვები და დაასრულე წინადადებები. №3. მონიშნე და დაწერე, შენ რომელი პერსონაჟები მოგწონს და რატომ?

აქტივობა 3. საათის ცნობა

1. track 55 <u>**სრულდება წიგნის მესამე დავალება**</u> -მოისმინე და დააკვირდი.

მოსასმენი ტექსტი

სამის ნახევარია. ექვსის ნახევარია. თერთმეტის ნახევარია.

2. სრულდება რვ. სავ. გვ. 160, №4. დააკავშირე და ჩაწერე.
3. track 57 სრულდება რვ. სავ. გვ. 161. №5. მოისმინე და დახატე.

მოსასმენი ტექსტი

სამის ნახევარი, ოთხის ნახევარი, პირველის ნახევარი, ათის ნახევარი, თორმეტის ნახევარი.

4. სრულდება რვ. სავ. გვ. 161. №6. დააკვირდი და დაწერე.

აქტივობა 4. კითხვა-გაგება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 161, №7. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე.
2. გვ. 162, №1. ჩახატე ისრები. როდის რას აკეთებს რეზო? №2. შეავსე ცხრილი. რას აკეთებს რეზო დილით, შუადღისას და საღამოს? №3. უპასუხე და ჩაწერე.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 163. №4. წაიკითხე და ჩაწერე *კი* ან არა. №5. დააკვირდი და დაწერე.

აქტივობა 5. კითხვა-გაგება, ინტერაქცია ტელეგადაცემათა განრიგზე, წერა

1. <u>**სრულდება წიგნის მეოთხე დავალება**</u> - წაიკითხე და უპასუხე. მოსწავლეებს წააკითხეთ სათაური და გამოათქმევინეთ ვარაუდები ქვემოთ წარმოდგენილი ტექსტის (ტელეპროგრამის) რაობაზე, მახასიათებლებზე, დანიშნულებაზე. ჰკითხეთ: - *ვის გინახავთ ან წაგიკითხავთ ტელეპროგრამა? რას მიუთითებს საათები?* ამის შემდეგ ჩვეულებრივ მიჰყევით საკითხავ ტექსტებზე მუშაობის თანამიმდევრულ ეტაპებს: ა) ნიმუშის საჩვენებლად სავარჯიშოს ერთი ან ორი პუნქტი შეასრულეთ დაფაზე. ბ) აცადეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობა. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად უნდა დასხათ ის მოსწავლეები, რომელთაც კითხვა უჭირთ და დაეხმაროთ. გ) ერთობლივად (მოსწავლეთა თანამონაწილეობით) განიხილეთ სამუშაოს შედეგები და გაასწორეთ შეცდომები (დაწვრილებით იხ. მასწ. წიგნი, 5. 5,6).



2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 163, №6. დააკავშირე გადაცემები სურათებთან.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 164, №1. წაიკითხე და ჩაწერე, რომელი გადაცემაა. №2. წაიკითხე და ჩაწერე, ვის რა გადაცემა აინტერესებს.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 165, №3. დააკავშირე, ვის რა აინტერესებს. №4. დასრულე წინადადებები და წაიკითხე. №5. წაიკითხე და დააკავშირე.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 166, №1. რომელი გადაცემები გაინტერესებთ შენ და შენს მეწყვილეს? შეეკითხე და მონიშნე უჯრა ცხრილში. №2. დაწერე და წაიკითხე, რა გაინტერესებს შენ და რა აინტერესებს შენს მეწყვილეს.

მიზანი: საგანთა/პერსონაჟთა შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ინტერაქცია დღის/ტელეგადაცემების განრიგზე, კითხვა-გაგება, წერა.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: ლამაზი, უშნო, სასაცილო, საინტერესო, მხიარული; მომწონს იმიტომ, რომ ლამაზია, . . ., არ მომწონს იმიტომ, რომ უშნოა; რომელ საათზე იწყება სპორტული გადაცემა/მულტფილმი?

მოსწავლის წიგნი. გვ. 63 63

აქტივობა 1. ლექსიკური ცოდნის განმტკიცება- გამდიდრება, მოვლენათა შეფასება, კითხვა-გაგება.

1. <u>**მომზადება წიგნის მეხუთე დავალების შესასრულებლად**</u> -
   - 📖 სრულდება რვ. სავ. გვ.167 , №7. წაიკითხე და დააკვირდი. №8. მოძებნე საპირისპირო სიტყვები და გადაწერე.
   - 📖 სრულდება რვ. სავ. გვ.168, №1. დაასახელე და ჩაწერე.
   - **სათაურის გააზრება** - მიუბრუნდით მოსწავლის წიგნს, კერძოდ, ჯანი როდარის სევდიან ამბავს. მოსწავლეებს წააკითხეთ სათაური „ია ყინულეთში“. საჭიროებისამებრ, განუმარტეთ მოსწავლეებს სიტყვის მნიშვნელობა სურათების გამოყენებით.
   - **ვარაუდების გამოთქმა** - მოსწავლეები აკვირდებიან ნახატებს და გამოთქვამენ ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ. დაფაზე მონიშნეთ მოსწავლეთა მიერ გამოთქმული ვარაუდები.
   - ჰკითხეთ მოსწავლეებს: - *თქვენი აზრით, როგორი ამბავია - სევდიანი თუ მხიარული? რატომ ფიქრობთ ასე?*

- დაკვირვება ტექსტის დიზაინზე - გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება ჩარჩოში ჩასმულ ტექსტზე; ჰკითხეთ მოსწავლეებს: - *რატომ არის ჩარჩოში? ვინ ამბობს ამ სიტყვებს?- პერსონაჟები.*

2. **<u>სრულდება წიგნის მეხუთე დავალება</u>** - წაიკითხე ჯანი როდარის სევდიანი ამბავი. პირველ ეტაპზე მოსწავლეებს წააკითხეთ მხოლოდ ჩარჩოში ჩასმული სიტყვები. თავიანთი ვარაუდის საფუძველზე მათ სიტყვები პერსონაჟებს უნდა დაუკავშირონ. ამის შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ მთელ ტექსტს და პასუხობენ თქვენ მიერ დაფაზე ჩამოწერილ კითხვებს:
   - *სად ხდება ეს ამბავი?*
   - *რა დაინახეს ბელებმა?*
   - *რომელი ცხოველები მოვიდნენ იას სანახავად?*
   - *რამ თქვა იას სახელი?*
   - *ბოლოს რა მოხდა?*

არ დაგავიწყდეთ საკითხავ სავარჯიშოებზე მუშაობის თანამიმდევრული ეტაპები: ა) ნიმუშის საჩვენებლად სავარჯიშოს ერთ ან ორი პუნქტის შესრულება დაფაზე. ბ) მოსწავლეების დამოუკიდებლად მუშაობა. დამოუკიდებლად მუშაობის დროს ერთად სვამთ მათ, ვისაც კითხვა უჭირს და ეხმარებით. გ) სამუშაოს შედეგების ერთობლივად განხილვა, შეცდომების გასწორება (დეტალურად).

3. 📖 თანამიმდევრულად სრულდება რვეულის შემდეგი სავარჯიშოები:
   - გვ. 166, №3. ამოხსენი რებუსი; №4. უპასუხე შეკითხვას.
   - გვ. 167, №5. შეცვალე ერთი სიტყვით. №6. წაიკითხე და შეცვალე.



- გვ. 168, №2. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე. №3. აირჩიე და ჩაწერე.
- გვ. 169, №4. შენი აზრით, რატომ ჰქვია ამ ქვეყანას ყინულეთი? №5. შემოხაზე სწორი ვარიანტი. №6. შემოხაზე, რომელმა იცოდა ყინულეთში უცნაური ყვავილის სახელი. №7. შემოხაზე, როგორია ეს ამბავი.

მიზანი: ლექსიკური ცოდნის განმტკიცება-გამდიდრება, მოვლენათა შეფასება, კითხვა-გაგება.

მოსწავლის წიგნი. გვ. 64 64

აქტივობა 1. დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, საგანთა/პერსონაჟთა შეფასება, შედარება, წერა

1. **<u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u>** - წაიკითხე და დააკვირდი. წააკითხეთ მოსწავლეებს ეს გვერდი და ყოველ ჯერზე გაამეორებინეთ შედარებითი და უფროობითი ხარისხის გამომხატველი კონსტრუქციები (მხიარული, უფრო მხიარული, ყველაზე მხიარული).
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 169, №8. დააკვირდი და დაასახელე.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 170, №1, 2. დააკვირდი სურათს და შეავსე გამოტოვებული ადგილები. №3. დაასახელე, ვინ არიან კლასში შენზე მაღალი, შენზე დაბალი? . . . №4. დააკვირდი სურათებს და უპასუხე.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 171, №5. დააკვირდი, დაასახელე და ჩაწერე. №6. ჰკითხე, რომელი უფრო მოსწონს შენს მეწყვილეს. №7. აირჩიეთ და ჰკითხეთ ერთმანეთს.

აქტივობა 2. კითხვა-გაგება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 172, №1. წაიკითხე და უპასუხე (მეთოდიკური რეკომენდაციები, იხ. მასწ. წიგნი, 5. 5,6).
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 172, №2. ჩაწერე, რა უყვართ, რა მოსწონთ და რა აინტერესებთ ლიას და მზიას.

მიზანი: დაკვირვება ენობრივ საკითხებზე, კითხვა-გაგება, ინტერაქცია.

ძირითადი ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები: მხიარული, უფრო მხიარული, ყველაზე მხიარული; სპორტზე უფრო ხატვა მაინტერესებს, ყველაზე მეტად ხატვა მაინტერესებს.

მოსწავლის წიგნი. გვ. 65 65

აქტივობა 1. ზეპირმეტყველება

1. **<u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u>** - ისაუბრე შენ შესახებ. მოსწავლეთა დასახმარებლად მიმართეთ მოდელირების სტრატეგიას (იხ. მასწ. წიგნი, 5. 4).
2. track 58 **<u>სრულდება წიგნის მესამე დავალება</u>** - მოისმინე და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად. გაავარჯიშეთ მოსწავლეები დიალოგის ხმამაღლა და გამოთქმით წაკითხვაში.
3. **სრულდება მეოთხე დავალება** - გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები. დაფაზე ჩამოწერეთ დასასმელი კითხვები. პროცესის გასახალისებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ აქტივობა „ტელეეკრანიდან“ (იხ. მასწ. წიგნი, 5. 3).

მოსწავლის წიგნი. გვ. 66 66

აქტივობა 1. განვლილი მასალის გამეორება, ზეპირმეტყველება

ამ გვერდზე მოცემული აქტივობები საშუალებას მოგცემთ, აღმოაჩინოთ თქვენი მოსწავლის ინტერესები. ამას გარდა, აღნიშნული აქტივობები წიგნში განვლილი მასალის გამეორების საშუალებას იძლევა.

<u>თანამიმდევრულად სრულდება წიგნში მოცემული დავალებები:</u>

1. დაასახელე, რომელი თემა მოგეწონა ყველაზე მეტად და რომელი არ მოგეწონა. ამ აქტივობის შესასრულებლად აუჩქარებლად დაათვალიერებინეთ მოსწავლეებს







დასახელებული თემები; ერთად გაიხსენეთ ამა თუ იმ თემაში წარმოდგენილი მასალა.

2. დაასახელე, რომელი იყო შენთვის ყველაზე საინტერესო და რომელი არ იყო საინტერესო.
3. დაასახელე, რომელი ზღაპარი, ამბავი ან ლექსი მოგეწონა ყველაზე მეტად.

მოსწავლის წიგნი. გვ. 67 67

აქტივობა 1. პროექტების შესრულება და წარდგენა

მიზანი: თემაში ნასწავლი ენობრივი მასალის გამეორება და გამოყენება.